# ლელო

№091
(12 161)

20 აპრილი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

## უმედლო პირველი დღე

### დღეს ბედინაძე, კვირკველია და ნოზაძე ჭიდაობენ

ირაკლი თავაძე



მუხრან მაჭუტაძეს ბრინჯაოს მედლამდე ერთი მოგება დააკლდა

სოფიაში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე პირველი დღე ჩვენთვის წარუმატებელი აღმოჩნდა - საუკეთესო შედეგი მუხრან მაჭუტაძის (66) მეხუთე ადგილია. გუშინ ოთხი წონითი კატეგორიის ფალავნებმა იჭიდავეს, თუმცა ჩვენებურთაგან მხოლოდ სამმა იასპარეზა, რადგან მძიმე წონაში მონაწილე არ გვყავდა. ირაკლი ჭოჭუა (55) მერვეა, ბადრი ხასაია (84) - მეთოთხმეტე.

დღეს ჭიდაობენ დავით ბედინაძე (60), მანუჩარ კვირკველია (74) და რამაზ ნოზაძე (96). ხვალ და ზეგ თავისუფალი ჭიდაობის ტურნირია.

11

## კახა ცხადაძე: უამბიციო გუნდში მუშაობა არ მსურს



სიონის ვიცე პრეზიდენტი დავით სილაგაძე: ცხადაძეს გუნდთან კონტრაქტი 1 ივნისს უმთავრდება

2



## შოთა არველაძე პოლანდიის თასის ფინალშია

გუშინ: ალკმაარი-ბრედა 6:0





## ლეო მესი მარადონაა?

8

სასწაულებრივი გოლი კამპ ნოუზე

## ერთი ნაბიჯი I ჯგუფამდე

FedCup by BNP PARIBAS

13

ჩოგბურთი. ფედერაციის თასი.
**დღეს: საქართველო-სამხრეთი აფრიკა**



## ნიკოლა ფულკიე: ქართველ მორაგბეებს კარგად ვიცნობ

ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელთან

11

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# ამბიციადაკარგული

**კახა ცხადაძემ სათასო ნახევარფინალში თბილისის "ამერთან" წაგება ვერ იგუა და ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა - მე ჩემი თავი "სიონში" ამოვწურეო.**

**- კახა, საკუთარი თავი ამოწურეთ "სიონში", თუ ამ გუნდმა ამოწურა თქვენს წარმოდგენაში თავი?**

- ბოლო ორი წლის განმავლობაში "სიონში" მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოდით ჩემპიონატში და თასზეც. შარშან ოქროს მედლები მოვიპოვეთ, წლეულს კი თასს ვუმიზნებდით. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე დავინახე, რომ წლეულს "სიონს" რესურსი არ ეყო. თასიდან გამოვარდნის შემდეგ ამბიცია დამეკარგა. ეს ჩემი მხრიდან. რაც შეეხება თავად გუნდს - მისი მომავალი დამოკიდებული იყო, ვითამაშებდით თუ არა უეფას თასზე. "ამერთან" წაგებამ ეს პერსპექტივაც გააქრო. აქედან გამომდინარე ამბიცია აღარ დაგვრჩა.

**- მართალია, თითქოს თანამეგობრობის ტურნირის შემდეგ "სიონში" ხელფას-პრემიები აღარ დაურიგებიათ?**

- ტყუილია, ასე მართლა არ ყოფილა. ეს არ იყო ჩემი წამოსვლის მიზეზი. ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ ორი გეგმა შემუშავდა. პირველის თანახმად, თუკი უეფას თასზე გავიდოდით, დაფინანსება გაიზრდებოდა და ახალ მოთამაშეებსაც შევიძენდით. თუკი შანსი დაიკარგებოდა, მხოლოდ ხუთეულში მოსახვედრი გუნდის ბიუჯეტი გვექნებოდა.

ბოლნისის გამგებელი ყველანაირად დაგვეხმარა. პირობებიც საუკეთესო იყო, დარასელია, სილაგაძე, კორღალიძე, ბაბუნაშვილი, ორბელაძე ჩამოვიყვანეთ. მოკლედ, პირობები შეგვიქმნეს, შედეგი კი ვერ მივიღეთ.

სამწუხაროდ, თამაშის შემდეგ ისეთი აღელვებული ვიყავი, ბოლნისის გამგებელ გია არევაძესთან ვერ დავრეკე. ჯერ მისთვის უნდა მეთქვა გადადგომას რომ ვაპირებდი და მერე გამომეცხადებინა. ის არის ერთადერთი ადამიანი, ვისი დამსახურებაცაა "სიონი" სოლიდურად რომ დაფინანსდა და ჩემპიონები გავხდით. პიროვნულად მასთან არასწორად მომივიდა და უნდა მოვუბოდიშო. თუმცა ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ველარ დავრჩებოდი.

**- გუნდი კიდევ ვინმემ დატოვა?**

- ჩემთან ერთდა მოვიდა "სიონში" ბადრი კვარაცხელია და როდესაც გადავდექი, ისიც წამოვიდა. გუნდში გიორგი ყიფშიძე დარჩა, რომელიც ჩვენ გვერდით მუშაობდა, საქმეში ჩახედულია და დიდი იმედი მაქვს, რომ "სიონი" დარჩენილ თამაშებს წარმატებით ჩაატარებს. რაც მთავარია, სახიფათო ზონაში არაა და გავარდნა არ ემუქრება.

**- ახლა რას აპირებთ?**

- მწვრთნელობას თავს რომ არ დავანებებ, ორი აზრი არაა. თუმცა რას გავაკეთებ, მოსაფიქრებლად დრო მჭირდება.

**- მაინც რა მოუვიდა გუნდს ოთხი დღის შუალედში? ჩემპიონატში "ამერთან" საკმაოდ კარგად ითამაშეთ, თასზე კი საშინლად გამოიყურებოდით.**

- ფეხბურთში ფორტუნა ბევრს ნიშნავს. რამდენიმე თამაში ვერ მოვიგეთ, არაკვალიფიციური იყო მსაჯობაც. ყველაფერმა ამან გუნდზე იმოქმედა.

**- თქვენი ვაჟი, ბაჩანა "სიონში" რჩება?**

- აუცილებლად, მას კონტრაქტი აქვს.

**- უკვე სამ ქართულ კლუბში - "ლოკომოტივში", "დინამოსა" და "სიონში" იმუშავეთ და ჩვენი ფეხბურთის პრობლემებში კარგად გაერკვეოდით. უმთავრეს პრობლემად რა მიგაჩნიათ?**

- ინფრასტრუქტურაა აუცილებლად გასაუმჯობესებელი. თუკი ნორმალური სათამაშო და სავარჯიშო მოედნები არ გვექნება, არაფერი არ გამოვა. ეს მთელი საქართველოს პრობლემაა. რამდენიმე დღის წინათ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელმა მითხრა, წვიმაა და სად ვივარჯიშებთ არ ვიცითო. აბა, ასეთ პირობებში ფეხბურთი როგორ განვითარდება და ფეხბურთელი როგორ გაიზრდება?

**მერაბ მამულაშვილი**



ნოდარ ახალკაცი

ფეხბურთის ფედერაცია. არჩევნები

## ნოდარ ახალკაცმა რეგისტრაცია გაიარა

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, **ნოდარ ახალკაცის** კანდიდატურა ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა რომ წარადგინა. გუშინ ფედერაციის გენერალურ სამდივნოში ახალკაცმა ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა.

*" ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა 13 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ნოდარ ახალკაცის კანდიდატურის რეგისტრაციისთვის დღეს მოგვმართა. წარდგენილ დოკუმენტაციას გავეცანით და ყველაფერი წესრიგშია. ასე რომ, ერთმა კანდიდატმა უკვე გაიარა რეგისტრაცია. მსგავსი ფორმალობის გასავლელად, კანდიდატობის სხვა მსურველებს ჯერ არ მოუმართავთ",* - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**

## ქართველები სომხეთის თასზე

თანამედროვე ფეხბურთში ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ჩემპიონატისა თუ თასის მატჩებზე მომსახურებისათვის ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაცია უცხოელ მსაჯებს იწვევს. სწორედ ამ როლში ვიხილეთ ქართველი არბიტრები, რომლებიც მეზობელ სომხეთში, თასის ნახევარფინალში სამსაჯოდ მიიწვიეს.

ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, სომხეთის ფედერაციიდან მოსული თხოვნის საფუძველზე, სამიოდე დღის წინათ ერევანში ქართველ მსაჯთა ბრიგადა გაემგზავრა, ფიფას არბიტრ **ლევან ფანიაშვილისა** და ფიფას ასისტენტების, **გურამ ჩოგოვაძისა** და **მამუკა ელიკაშვილის** შემადგენლობით.

გუშინწინ, 18 აპრილს, სომხეთის თასის ნახევარფინალში ერთმანეთს "არარატი" და "პიუნიკი" დაუპირისპირდნენ. მატჩი, რომელსაც ჩვენი მსაჯები, "არარატმა" მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგო.



კახა ცხადაძე

სიონი

## ცხადაძეს კვლავაც მოქმედი კონტრაქტი აქვს

### გუნდი გუშინ ყიფშიძემ ავარჯიშა

**"სიონიდან" კახა ცხადაძის წასვლის შემდეგ გუნდი მისმა თანაშემწე, გიორგი ყიფშიძემ ავარჯიშა. ეს ამბავი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა. მოგვიანებით "სიონის" ვიცე-პრეზიდენტს დავით სილაგაძეს დავუკავშირდით...**

- კახა ცხადაძეს კლუბთან ჯერაც მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, რომელიც 1 ივნისს მთავრდება. მან საჯაროდ განაცხადა გადადგომის შესახებ, მაგრამ კლუბისთვის ოფიციალური განცხადებით არ მოუმართავს. დღეს გუნდი გიორგი ყიფშიძემ ავარჯიშა. ჩვენს პრეზიდენტს, გია არევაძეს მამიდა გარდაეცვალა და დაკრძალვაზეა. ხვალ კლუბის დირექტორატი შევიკრიბებით და ამ საკითხზე ვიმსჯელებთ. მართალია, "ამერთან" 0:3 წავაგეთ და დასანანია, მაგრამ ამით ტრაგედიის შექმნა არ შეიძლება. რა, იგივე 3:0 ან უფრო დიდი ანგარიშით თამაშები არ მოგვიგია?

**- ცხადაძის შემცვლელად ვის მიიჩნევთ?**

- მართალი გითხრათ, ამ საკითხზე საერთოდ არ გვიმსჯელია, რადგან ჯერჯერობით გუნდის მწვრთნელთან მოქმედი კონტრაქტი გვაკავშირებს.

**- შაბათს მორიგი ტურია, "ტორპედოსთან" საშინაო მატჩში გუნდს ვინ უხელმძღვანელებს?**

- დღეს გუნდი გიორგი ყიფშიძემ ავარჯიშა და ვნახოთ... ამ საკითხზე ხვალ ან ზეგ ვიმსჯელებთ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, "ამერთან" თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში წავაგეთ, მაგრამ ამით ტრაგედიის შექმნას არ ვაპირებთ.

**- ჩვენი ინფორმაციით კლუბის ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არაა და კლუბს ფეხბურთელების დავალიანებაც აქვს...**

- ვიცით, მაგრამ ეს არაა პრობლემა. საამისო თანხა არის და საერთოდ, კლუბის ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელო ნამდვილად არაა.

**დავით ცაბაძე**




21..04.2007 - 21-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-ბორჯომი | სიონი-ტორპედო |
| ოლიმპი-ჩიხურა | მესხეთი-მგლები |
| მერანი-დინამო(ბთ) | სამტრედია-მეშახტე |
| ლოკომოტივი-დინამო(თბ) | ნალჩიკი-ლოკომოტივი |
| ზესტაფონი-დილა | კრივბასი-მეტალისტი |
| კახეთი-ამერი | |

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულინაკრები. მწვრთნელის ირგვლივ

# ყველაფერს დრო გვიჩვენებს...



**კლაუს ტოპმიოლერის ქართული კარიერა გუშინ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს შევაფასებინეთ. რესპონდენტების აზრით, გერმანელ სპეციალისტთან კონტრაქტის გახანგრძლივება უპრიანი იქნება. დღეს კი ამ თემაზე ქართველ მწვრთნელთა აზრს გთავაზობთ.**

**რევაზ ძოძუაშვილი**
**ოლიმპი**

- ბუნებრივია, ეს ქართული საფეხბურთო სამყაროს გადასაწყვეტია, რომლის აზრსაც ფეხბურთის ფედერაცია გაახმოვანებს. საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს, სათუთია. სჯობს, მას ცოტა სიღრმისეულად მივუდგეთ.

უკეთესი იქნებოდა, თავის დროზე ეროვნული ნაკრებისთვის ისეთი მწვრთნელი შეგვერჩია, რომელსაც ნაკრებში მუშაობის გამოცდილებაც ექნებოდა. მერწმუნეთ კლუბსა და ნაკრებში მუშაობის სპეციფიკა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა ისეც ხშირად ხდება, როცა საკლუბო დონეზე გამორჩეული მწვრთნელი ნაკრებსაც ჩინებულად ერგება და ამ ფრონტზეც წარმატებები აქვს. სწორედ ეს მინდა დაამტკიცოს ტოპმიოლერმა. ის უკვე წელიწადზე მეტია ჩვენს ნაკრებს ხელმძღვანელობს და ქართულ საფეხბურთო სამზარეულოში გარკვეულწილად ჩახედულია. ბუნებრივია, ახლა მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია. ამავე დროს მნიშვნელოვანია თავად მწვრთნელის სურვილიც, მონდომებული უნდა იყოს მიზნის მისაღწევად. ტოპმიოლერს გერმანული კლუბებიდან აქვს წინადადებები. კარგია, რომ ამ ვარიანტებზე არც კი ფიქრობს.

დასაფიქრებელია კიდევ ერთი მომენტიც... ეს სანაკრებო პროექტი სოლიდურ თანხადაა შეფასებული და ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, სასურველ ვითარებაში არ ალმოვჩნდებით.

მართალია, ნაკრების შედეგების მიხედვით, გერმანელი მწვრთნელისგან ჯერჯერობით იმ მაქსიმუმს ვერ ვხედავთ, რასაც ველოდით, მაგრამ დროის ფაქტორი ნუ დაგვავიწყდება. ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. მწვრთნელთა ხშირი ცვლა კი არასდროსაა სასურველი.

**გიორგი ჩიხრაძე**
**ამერი:**

- მართალია, ეროვნულ ნაკრებს განვლილი მატჩებიდან მხოლოდ 6 ქულა აქვს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნდის თამაშში უკეთესობა შეინიშნება. ბევრია დადებითი მომენტი. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ნაკრებს შესარჩევის ყველა შეხვედრაში აკლდა წამყვანი ფეხბურთელები. ფაქტობრივად, ძირითად ბირთვს ერთად თამაში არ მოუწია. ამასთან, ზოგ მატჩში წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ არ გაგვიმართლა.

ერთი სიტყვით, უპრიანი იქნება კლაუს ტოპმიოლერს კონტრაქტი გავუგრძელოთ. მას კარგი კურსი აქვს აღებული, ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების ნაზავით უნდა ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. საამისოდ კი დრო და საშუალება უნდა მივცეთ.

**ვლადიმერ ხაჩიძე**
**(ბორჯომი):**

- ვფიქრობ, ტოპმიოლერის მუშაობის შეფასება ჯერ ნაადრევია. ისე კი, ნაკრების თამაშში გარკვეული პროგრესი შეინიშნება, გუნდი თანამედროვე ფეხბურთის ჩვენებას ცდილობს.

ჩემი აზრით, კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი მოგვიანებით სჯობს. რა თქმა უნდა, ტოპმიოლერი მსოფლიო დონის მწვრთნელია, სწორედ ამიტომ, ჩვენი ნაკრები უფრო ხშირად უნდა იმარჯვებდეს. თუ დარჩენილ ოფიციალურ მატჩებში იგი მინიმუმ ცხრა ქულას მაინც მოიპოვებს, მის დარჩენას მხარს დავუჭერ.

**ხვიჩა ძასრაშვილი**
**ჩიხურა**

- ნაკრების შედეგები სახარბიელო არაა. მე, როგორც რიგითი გულშემატკივარი ტოპმიოლერისგან გაცილებით მეტს ვითხოვ. ამბობენ, გუნდი უფრო ხარისხიან ფეხბურთს თამაშობსო. რა გითხრათ, იმედია, ეს ხარისხი შედეგზეც აისახება. ვნახოთ, რომელ ადგილზე ჩავამთავრებთ საკვალიფიკაციო ციკლს.

კონტრაქტის გაგრძელება ფედერაციის პრეროგატივაა და შესაბამისად, შედეგზეც ფედერაცია აგებს პასუხს. დღეისათვის გადაჭრით ვერ გეტყვით, ღირს თუ არა ტოპმიოლერთან თანამშრომლობის გაგრძელება.

**ლევან ჯანეზაშვილი**
**დავით ცაბაძე**



ვოლფგანგ ვოლფი

# კლაუს, მოგცლია, რა!

რამდენიმე დღის წინათ, „ლელომ" **კლაუს ტოპმილოერის** ინტერვიუს ამონარიდი გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, გერმანულ პრესასთან საუბარში საქართველოს ნაკრების თავკაცმა განაცხადა, რომ „კაიზერსლაუტერნის" დაინტერესების მიუხედავად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან აპირებს ხელშეკრულების გახანგრძლივებას.

მან იქვე მწვავედ გააკრიტიკა „კაიზერის" აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ვოლფგანგ ვოლფი**, კერძოდ კი მის არაეფექტურ საკადრო პოლიტიკაზე გაამახვილა ყურადღება. ტოპის თქმით, ვოლფია ამ გუნდის კრიზისის მთავარი მიზეზი.

თავის მხრივ, ვალში არც ვოლფი დარჩა და ტოპმიოლერის განცხადება უპასუხოდ არ დაუტოვებია. *„საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ კოლეგების კრიტიკა მისი სტილია, თანაც, ამას მიზანმიმართულად აკეთებს. კარგად მახსოვს, თავის დროზე ტოპმიოლერმა „ჰამბურგის" ყოფილი მწვრთნელი კურტ იარა გაასწორა მიწასთან, სულ მცირე ხანში კი ამ გუნდში თავად მივიდა. ეჭვი მაქვს, ახლა იგი „კაიზერის" დამრიგებლის პოსტს უმიზნებს. ტოპმიოლერმა ვერა და ვერ მოისვენა, როგორც ჩანს, თავისი ამჟამინდელი საქმიანობა უკვე მობეზრდა"*, - აცხადებს ვოლფი.

მის კვალდაკვალ, ტოპმიოლერის განცხადებას გერმანელ მწვრთნელთა კავშირის თავმჯდომარე **ჰორსტ ცინგრაფიც** გამოეხმაურა. *„მისი საქციელი ეთიკის ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება. მწვრთნელის ქცევის ელემენტარული ეთიკაა, რომ კოლეგა აუგად არ მოიხსენიოს. ჰერ ტოპმიოლერს წლების წინ იარაზეც უთქვამს ცუდი და სამწუხაროა, რომ ამ მავნე ჩვევას არ ღალატობს. ეს კაცი აქედან ძალიან შორს მოღვაწეობს, მაგრამ გერმანიაში, რატომღაც, ძალიან ბევრ დროს ატარებს. მას ქართული ფეხბურთის აღორძინება დაავალეს, ამ საქმით დაკავებულ ადამიანს კი წესით და რიგით, გერმანულ საკლუბო ფეხბურთში მიმდინარე პროცესებისთვის არ უნდა ეცალოს"*, - აღშფოთებულია ცინგრაფი.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მიხეილ აშვეთია

# აშვეთია ფრაიბურგთან

## სირაძე ტრავმირებულია

დღეს იწყება ტური გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში. **მათე ღვინიანიძის** “მიუნხენ1860”, რომელმაც უკვე დაკარგა ბუნდესლიგაში ალზევების შანსი, “კიოლნს” უმასპინძლებს. **დავით სირაძის** “აუე” კი ესენის “როტ ვაისს” შინ დაუპირისპირდება. ამ შეხვედრაში დათო სირაძის თამაში გამორიცხულია. გერმანული პრესის ცნობით, სირაძე ტრავმის შემდეგ ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა და ამ ტურსაც გამოტოვებს.

ქართული დერბი კი კვირას შედგება. **ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის “ფრაიბურგი” გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას** “კარლ ცაისს” უმასპინძლებს. მეტოქე გუნდებიდან თითო ქართველი იყო ტრავმირებული. გერმანული სააგენტოების ინფორმაციით, ოპერაციის შემდეგ ოთარ ხიზანეიშვილი სარეაბილიტაციო კურსს გადის და მისი თამაში კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. რაც შეეხება აშვეთიას, “კარლ ცაისის” ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ტრავმის შემდეგ, აშვეთია უკვე მწყობრშია და 22 აპრილის მატჩში დაუბრუნდება გუნდს. ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება ქულები - “ფრაიბურგი” ბუნდესლიგაში ალზევებისთვის იბრძვის, “კარლ ცაისი” კი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

# ლიდერობა დაიბრუნა

აზერბაიჯანში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ლიდერობა დაიბრუნა ბაქოს "ნეფთჩიმ". ბაქოელებმა ევლახში ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი მოუგეს "ქარვანს" - 1:0. "ნეფთჩიმ" 57-ე წუთზე გააზერბაიჯანელებული სერბის, **ბრანიმირ სუბაშიჩის** ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა. **გიორგი ადამიას** თავი არ გამოუჩენია, მან ფორვარდთა უკან ითამაშა. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ ერთმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა, ცენტრალურმა მცველმა **ალექსანდრე ინწკირველმა**. ტურის ცენტრალური მატჩი "ინტერსა" და "ხაზარს" შორის 0:0 დასრულდა, რითაც ყველაზე მეტად "ნეფთჩიმ" იხეირა. სტუმართა რიგებში სასტარტოში იყო **ვალერი აბრამიძე**. მეორე ტაიმში სტუმართა ქართველი მცველი იმდენად გააქტიურდა, რომ ერთხელ მისი დარტყმული ძელსაც მოხვდა. ჩემპიონმა "ბაქიმ" სტუმრად 1:0 მოუგო "გილანს". "ყარაბაღსა" და "თურანს" შორის მატჩი 1:1 დასრულდა, მასპინძელთა რიგებში **გოგა ბერაია** თამაშობს, სტუმართა შორის კი - **ირაკლი ვაშაკიძე**.

22-ე ტურის შემდეგ ქართველთა კლუბებს ასეთი მდგომარეობა აქვთ ჩემპიონატში: 1. "ნეფთჩი" - 39, 2. "ხაზარი" - 37, 4. "ბაქი" - 36, 7. "ქარვანი" - 30, 8. "ყარაბაღი" - 21, 10. "თურანი" - 19, 11. "გილანი" - 9.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ლევან ყიფიანთან

# ჩვენი გზა შესაცვლელია!

**თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი გენერალური დირექტორი ლევან ყიფიანი ნახევარი წლის წინათ აზერბაიჯანის ჩემპიონ "ბაკის" კონსულტანტი გახდა. თუმცა ჩვენი საუბარი უმთარესად ქართული ფეხბურთის სატკივარს შეეხება.**



- "ბაკიში" კონსულტანტი ვარ და არა შტატიანი თანამშრომელი, ბაქოში არ ვცხოვრობ, თუმცა თანამდებობა და იქ ცხოვრება კი შემომთავაზეს.

**- ქართული კლუბები არ გიწვევენ?**

- ყველამ იცის, აზერბაიჯანელებთან ვთანამშრომლობ, ყაზახებთან და აზერბაიჯანელებთან საერთო პროექტებს ვამუშავებ და აქაური წინადადებეზე არ მიფიქრია.

**- რა პროექტზეა საუბარი?**

- ჩვენი სამი ქვეყნის წამყვანი გუნდების ტრადიციული ტურნირის დაფუძნება ვიგულისხმე. მსგავსი პროექტი ბალტიისპირეთსა და სკანდინავიაში უკვე განახორციელეს და წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენი ფეხბურთის გამოცოცხლებისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე სასურველი გზაა. ყაზახეთსა და აზერბაიჯანში ფეხბურთის განვითარებისთვის მეტი რესურსია და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, საქართველო ღარიბი ქვეყანაა, სახელმწიფოც ვერ ეხმარება ფეხბურთს, საფეხბურთო სკოლებსაც აღარ აფინანსებს და ასეთ პირობებში, განვითარება შეუძლებელია.

**- სანამ დაგიკავშირდებოდით, თქვენი ერთი წლის წინანდელი ინტერვიუ ვნახე, სადაც ამტკიცებდით, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და ტოპმიოლერისთვის გადასახდელი ფულით ინფრასტრუქტურის განვითარება აჯობებსო...**

- ტოპმიოლერის კვალიფიკაცია ეჭვქვეშ არ დამიყენებია. ეს სასაცილოც იქნებოდა. დღეს რომ ჯგუფში მეორე ადგილზე ვიყოთ, იმ სიტყვებისთვის ბოდიშსაც მოვიხდიდი და მინდა გითხრათ, რომ ტომპიოლერს ახლაც არ ვაკრიტიკებ. ჩემთვის მთავარი მიდგომაა. 2010 წელს საქართველო მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა მოხვდესო. კი, მაგრამ გაგვაჩნია ამ გუნდისთვის საჭირო რესურსი, ინფრასტრუქტურა, შესაბამისი კადრების აღსაზრდელად საჭირო ეროვნული ჩემპიონატი და გუნდები?

ვითარების სწორად შეფასება მნიშვნელოვანია. უმაღლესი ლიგის გუნდებს საკუთარი სტადიონები არ აქვთ და ამით მორჩა საუბარი! მინი-სტადიონების მშენებლობა ძალიან კარგია, მაგრამ პროფესიული ფეხბურთის ინფრასტრუქტურა არ გაგვაჩნია. გუშინ ინტერნეტში წავაწყდი ინფორმაციას, რომ უზბეკეთის ერთ-ერთმა სამინისტრომ გუნდებს სტადიონები და ბაზები უსასყიდლოდ გადასცა. ჩვენთანაც ასევე უნდა გაკეთდეს - გორის, რუსთავის თუ ფოთის გუნდებმა სტადიონები კი არ უნდა იყიდონ, გადაეცეთ და მოუვლიან, სპონსორებსაც დააინტერესებენ და გუნდი გუნდს დაემსგავსება.

ჩვენთან ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ფიქრობენ, "ლოკომოტივი", "ოლიმპი", "მგლები", "დილა". სტადიონებს და ბაზებს აშენებენ, მაგრამ ბოლო დროს რამდენი გაიყიდა? რაგბი ძალიან მიყვარს და ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა უზომოდ გამიხარდა, მაგრამ მათთვის "შევარდენის" და "სინათლის" ნაცვლად, თავისუფალი ტერიტორიები გადაეცათ, ან ახალი სტადიონი აეშენებინათ.

ფეხბურთში ისედაც მიზერული ინფრასტრუქტურაა, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად საკმარისი არაა. ბავშვთა ფეხბურთში არსებული ვითარებაც ხელს არ გვიწყობს. რომ ამბობენ, საფეხბურთო სკოლებში ბუმიაო, ტყუილია.

**- კომუნისტების დროს 24 ათასი ბავშვი თუ დადიოდა, დღეს ეს რიცხვი 35 ათასამდე გაიზარდა.**

- არაა ასე, მაქსიმუმი 23 ათასია. ამ დროს აქსიომასავითაა დამკვიდრებული მოსაზრება, რომ საფეხბურთოდ ითვლება ის ქვეყანა, სადაც ფეხბურთში მოსახლეობის სამი პროცენტია ჩართული. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტიც არაა. ანუ ჯერ ფეხბურთზე შესულთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს და მეტი ნიჭიერიც გამოჩნდება.

**- გინდათ თქვათ, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანა არაა?**

- "ლოკომოტივში" მუშაობისას, ჩვენი სტუმარი გერმანელები ლიდერების მატჩს დაესწრნენ და ტრიბუნაზე 100 მაყურებელი იყო. რამდენიმე დღეში საქართველო-დანიის შეხვედრაზე კი სტადიონი შეივსო და კაცი გაოცებული ამბობდა, თქვენთან ფეხბურთი არ უყვართ, ან სხვა რამაა მიზეზი, ჩემპიონატზე ხალხი რომ არ დადისო.

სხვა მიზეზი მგონია მთავარი. საბჭოთა საქართველოს ფეხბურთი 1990 წელს მოკვდა და მას შემდეგ ახალი ქვეყნის ფეხბურთი უნდა აგვეშენებინა. ეს პროცესი კი დღემდე არ დაწყებულა და რომელ წარმატებაზეა საუბარი? მე ტომპიოლერზე კი არ ვსაუბრობ, თავად პროცესია სხვა მიმართულებით წასაყვანი.

საქართველოში ხშირად გაიგებთ უცნაურ ფრაზას - შედეგი გვაჩვენეთ და დაგაფინანსებთო. ყაზახეთში ბოლო ხუთი წელია მილიონებს აბანდებენ და ჯერ ვერაფერს მიაღწიეს და ვერც მიაღწევდნენ, რადგან ჯერ საფუძველი უნდა ჩაყარო და შეიძლება, რაღაცას 10-15 წელიწადში მიაღწიო. დღეს საკუთარი სტადიონი ქართული ფეხბურთის ბრენდად მიჩნეულ "დინამოს" არ გააჩნია და აქ მორჩა ფეხბურთის ბიზნესზე საუბარი.

პირდაპირ ვიტყვი - დარწმუნებული ვარ, უახლოეს 10 წელიწადში საქართველოს ნაკრები მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ვერ მოხვდება. უდიდესი მწვრთნელიც ვერ გვიშველის, სანამ უდიდესი პრობლემები მოუგვარებელია. თვითონ მწვრთნელია ცოდო. ნუთუ ტოპმიოლერი ბოლოდან მეორე ადგილის დასაკავებლად მოვიყვანეთ? ამას ჩვენი მწვრთნელის გაზრდა არ სჯობია? მე ნაკრებს დღესვე ჩავაბარებდი თემურ ქეცბაიას, მიშა ყაველაშვილს, შოთა არველაძეს და დარწმუნებული ვარ, ისინი გუნდთან ერთად გაიზრდებიან, ისე, როგორც რიიკაარდს ზრდიდნენ "ბარსელონაში".

**- პრობლემას ყველა ხედავს, თქვენ გამოსავალი გვითხარით.**

- ერთ-ერთი გზა კლუბებისთვის სტადიონების პირდაპირი წესით გადაცემაა. უკვე იმდენი სტადიონი გაასხვისეს, მალე წყალბურთელთა მდგომარეობაში ჩავვარდებით, რომლებსაც საკუთარი აუზი არ აქვთ და უნიჭიერესი ბიჭები ხან უკრაინაში თამაშობენ და ხან სად.

ფეხბურთის განვითარება ქვეყნის სოციალურ ინტერესებსაც პასუხობს. მოსახლეობის სამი პროცენტი რომ იყოს ამ სახეობაში ჩართული, ნარკომანიის სენი ერთი პროცენტით მაინც არ შემცირდება?

ამ ყოველივეს ოპოზიციონერის მხრიდან კი არ ვამბობ, კრიტიკა ადვილია. ქართულ ფეხბურთის გადარჩენა სჭირდება და სამისოდ გაერთიანება გვჭირდება.

**- სანამ ჩვენ პრობლემებისგან გული შეგვიღონდა, უკრაინამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა დაიმტკიცა. პლატინის ახალი პოლიტიკის გათვალისწინებით, ვითომ უეფა საქართველოს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას მაინც გვაღირსებს?**

- ეს უფრო იოლი და მარტივი საქმეა, ვიდრე დიდების ჩემპიონატის მასპინძლობა. თუმცა საქართველოში რამდენ სტადიონზეა ნორმალური ინფრასტრუქტურა და საფარი? სამი სტადიონიც რომ მოვაწყოთ უმაღლეს დონეზე, ეს შესაძლებელი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან

# პანიონიოსს აუცილებლად დავტოვებ

## მჯერა, ტოპმიოლერის შრომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს

**პარგა ხანია, რაც ლევან ცქიტიშვილი „პანიონიოსის" ძირითადი ფეხბურთელია. ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კლუბის შეცვლა. როგორც შევიტყვეთ, მას საკმაო არჩევანი აქვს და გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს.**

- საბედნიეროდ, ბოლო დროს, „პანიონიოსის" ძირითადში ხშირად ვთამაშობ. მწვრთნელი მენდობა და ვფიქრობ, დაკისრებულ ფუნქციებს თავს ურიგოდ არ ვართმევ.

**- ზამთარში კლუბის შეცვლას აპირებდი, ხომ არ გადაგიფიქრებია?**

- არა, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ სეზონის დასრულებისთანავე, „პანიონიოსს" დავტოვებ. მართალია, ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდი, მაგრამ კლუბის შეცვლა ისევ მსურს. გაცილებით მაღალ დონეზეც შემიძლია თამაში. საბერძნეთში დარჩენა არ მინდა.

**- კონკრეტული შემოთავაზებები თუ გაქვს?**

- დიახ, რამდენიმე საკმაოც ცნობილი კლუბი დამიკავშირდა, თუმცა, ჯერჯერობით, მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**- ალბათ, მათ შორის გერმანულ კლუბებიც არიან.**

- დიახ, მაგრამ არა მხოლოდ გერმანულები. სხვა დასავლეთევროპული ქვეყნებიდანაც მაქვს ვარიანტები. ჩემი მსურველების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ჯერჯერობით, რომელიმე კლუბის სასარგებლოდ არჩევანი არ გამიკეთებია. ყველაფერს სეზონის დასრულების შემდეგ გადავწყვეტ, შესაძლოა, ივნისამდეც ვიფიქრო.

**- როგორ ფიქრობ, პირველ წრეში ლინენი რატომ არ გენდობოდა?**

- ვერაფერს გეტყვით, მონდომებით ვვარჯიშობდი, მაინცდამაინც არც ახალ გუნდთან ადაპტაცია გამჭირვებია, მაგრამ მოედანზე გასვლა მაინც იშვიათად მიწევდა. მწვრთნელი ყოველთვის დადებითად მახასიათებდა, მაგრამ მხოლოდ ბოლო დროს მენდობა. ვერც იმას ვიტყვი, რომ ახლა გაცილებით უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე სეზონის პირველ ნახევარში ვიყავი...

**- ბოლო სანაკრებო მატჩებზეც გკითხავ.**

- შოტლანდიაში მარცხი ძალიან გულდასაწყვეტი იყო, გლაზგოდან მინიმუმ ქულის წამოღება შეგვეძლო. კარგად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, მატჩის ბოლო წუთებში წნეხს ველარ გავუძელით. ფარერებთან კი ნამდვილად არ წაგვივიდა თამაში, მაგრამ საერთო ჯამში, კლასის ხარჯზე დამსახურებულად გავიმარჯვეთ. თავის გასამართლებლად არ გამოგვადგება, მაგრამ ამ მატჩში არაერთი მოთამაშე გვაკლდა. მწვრთნელი იძულებული გახდა, დაცვაში გავემწესებინე. საბედნიეროდ, თამაში უხეში შეცდომის გარეშე ჩავატარე.

**- მომდევნო ორ შეხვედრაში რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?**

- ლიტვაში გამარჯვების დიდი იმედი მაქვს, საფრანგეთში კი შევეცდებით, არაფერი დავთმოთ და თუ ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში გვეყოლება, მეტოქე ადვილად ვერ დაგვჯაბნის. მჯერა, კლაუს ტოპმიოლერის შრომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



## შოთა ფინალშია

**შოთა არველაძემ** კვლავ გაიბრწყინა ჰოლანდიაში, ქართველმა ვეტერანმა ქვეყნის თასის ნახევარფინალში გაიტანა, მისმა "ალკმაარმა" კი 6:0 გაანადგურა "ბრედა". შოთამ 51-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა, მან პენალტი შეასრულა უნაკლოდ. ამას გარდა ქართველი ფორვარდის ანგარიშზე ერთი საგოლე პასიცაა. შოთა **ბუხარიმ** 67-ე წუთზე შეცვალა, მაშინ როცა ანგარიში 4:0 იყო. გასულ თვეში **ლუის ვან გაალის** გუნდმა ჩემპიონატშიც დაჩაგრა "ბრედა", როცა მეტოქეს 4:1 მოუგო. 1982 წლის მერე "ალკმაარი" პირველად არის ასე ახლოს ქვეყნის თასის მოპოვებასთან.

## კაუნასი წინ გაიჭრა

ლიტვის A ლიგაში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. მწვრთნელშეცვლილმა ჩემპიონმა "კაუნასმა" იოლად მოუგო "ატლანტასს" 4:0, რომლის რიგებშიც **გივი კვარაცხელიამ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ნუკრი მანჩხავა** მოედანზე კვლავ არ გამოჩენილა. ის ტრავმირებულია და, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად, ტრიბუნიდან ადევნებდა "ატლანტასთან" მატჩს თვალყურს. 46-ე წუთზე გივი კვარაცხელია გააფრთხილეს. ამ მატჩში მასპინძელთა ფორვარდმა **რიკარდას ბენიუნისმა** სამი გოლი გაიტანა. "შილაულიაიმ" 1:0 მოუგო "შილიუტეს". სტუმართა შორის შეუცვლელად ითამაშა "კაუნასიდან" განათხოვრებულმა **აკაკი ხუბუტიამ**, რომელიც 45-ე წუთზე გააფრთხილეს. "კაუნასი" 10 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, "შილიუტეს" კი მხოლოდ 2 ქულა აქვს და ათგუნდიან ჩემპიონატში მერვეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნუკრი მანჩხავა

### ჭაბუკთა ლიგა

1989 წ. დაბადებულები

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 4:0 |
| დინამო-ცხინვალი | 3:0 |
| ტორპედო-კახეთი | 3:0 |
| ბორჯომი-დილა | 2:2 |
| ოლიმპი-მერანი | 1:0 |
| ბათუმი-ზესტაფონი | 1:2 |
| ამერი-ლოკომოტივი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 18 | 1 | 2 | 79-14 | 55 |
| 2. ოლიმპი | 20 | 16 | 3 | 1 | 47-10 | 51 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 20 | 11 | 4 | 5 | 44-15 | 37 |
| 4. ლოკომოტივი | 21 | 10 | 7 | 4 | 45-22 | 37 |
| 5. ამერი | 20 | 11 | 2 | 7 | 44-31 | 35 |
| 6. ტორპედო | 21 | 8 | 7 | 6 | 31-27 | 31 |
| 7. ზესტაფონი | 19 | 9 | 2 | 8 | 41-34 | 29 |
| 8. მერანი | 21 | 9 | 2 | 10 | 31-26 | 29 |
| 9. ცხინვალი | 20 | 8 | 1 | 11 | 30-44 | 25 |
| 10. ბორჯომი | 21 | 7 | 2 | 12 | 37-48 | 23 |
| 11. ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 30-47 | 22 |
| 12. ჩიხურა | 19 | 6 | 1 | 12 | 27-38 | 19 |
| 13. სიონი | 20 | 5 | 1 | 14 | 32-68 | 16 |
| 14. კახეთი | 20 | 5 | 0 | 15 | 27-69 | 15 |
| 15. დილა | 21 | 3 | 3 | 15 | 19-71 | 12 |

1990 წ. დაბადებულები

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ამერი | 1:3 |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 3:0 |
| ცხინვალი-დინამო | 0:3 |
| კახეთი-ტორპედო | 1:3 |
| დილა-ბორჯომი | 1:1 |
| ზესტაფონი-ბათუმი | 3:2 |
| მერანი-ოლიმპი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 17 | 1 | 3 | 58-11 | 52 |
| 2. ჩიხურა | 20 | 14 | 4 | 2 | 59-14 | 46 |
| 3. ოლიმპი | 20 | 14 | 3 | 3 | 55-12 | 45 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 21 | 13 | 5 | 3 | 51-12 | 44 |
| 5. ამერი | 20 | 12 | 5 | 3 | 43-14 | 41 |
| 6. ტორპედო | 21 | 10 | 7 | 4 | 29-19 | 37 |
| 7. ზესტაფონი | 21 | 9 | 5 | 7 | 31-25 | 32 |
| 8. მერანი | 21 | 9 | 3 | 9 | 30-38 | 30 |
| 9. სიონი | 20 | 8 | 2 | 10 | 30-35 | 26 |
| 10. დილა | 21 | 6 | 4 | 11 | 22-41 | 22 |
| 11. ლოკომოტივი | 21 | 6 | 3 | 12 | 38-36 | 21 |
| 12. ბათუმი | 20 | 5 | 4 | 11 | 18-41 | 19 |
| 13. კახეთი | 20 | 3 | 2 | 15 | 15-52 | 11 |
| 14. ბორჯომი21 | 2 | 2 | 17 | 13-73 | 8 | |
| 15. ცხინვალი | 20 | 0 | 2 | 18 | 8-77 | 2 |

1991 წ. დაბადებულები

| | |
|---|---|
| დილა-ბორჯომი | 1:3 |
| ლოკომოტივი-ამერი | 0:0 |
| კახეთი-ტორპედო | 2:1 |
| ცხინვალი-დინამო | 0:3 |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| ზესტაფონი-ბათუმი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 18 | 1 | 2 | 49-11 | 55 |
| 2. ბათუმი | 20 | 15 | 2 | 3 | 38-14 | 47 |
| 3. ოლიმპი | 19 | 13 | 5 | 1 | 62-17 | 44 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 21 | 13 | 5 | 3 | 33-11 | 44 |
| 5. მერანი | 20 | 11 | 3 | 6 | 35-25 | 36 |
| 6. დილა | 21 | 9 | 4 | 8 | 32-29 | 31 |
| 7. ამერი | 20 | 9 | 1 | 10 | 25-22 | 28 |
| 8. ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 30-25 | 28 |
| 9. ტორპედო | 21 | 8 | 3 | 10 | 28-32 | 27 |
| 10. კახეთი | 20 | 6 | 5 | 9 | 25-30 | 23 |
| 11. ლოკომოტივი | 21 | 4 | 9 | 8 | 21-34 | 21 |
| 12. ზესტაფონი | 21 | 6 | 2 | 13 | 32-51 | 20 |
| 13. ჩიხურა | 20 | 6 | 1 | 13 | 29-42 | 19 |
| 14. სიონი | 20 | 4 | 0 | 16 | 14-48 | 12 |
| 15. ცხინვალი | 20 | 0 | 1 | 19 | 10-72 | 1 |

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

## ბრძოლა ფლეიოფისთვის

უახლოეს ტურებში „მგლები" და „მესხეთი" უმაღლესი ლიგის საგზურებს გაიფორმებენ. ზუგდიდელებმა და ახალციხელებმა სეზონი მაღალ დონეზე განვლეს და სხვა გუნდებზე თავის უპირატესობას სისტემატურად ამტკიცებდნენ. ორივეს სამომავლოდაც დიდი მიზნები აქვს და ვნახოთ, როგორ დაიმკვიდრებენ თავს უმაღლესში.

კვლავ დაძაბულობაა მესამე, საფლეიოფო ადგილისთვის ბრძოლაში. თუკი აქამდე ამ პოზიციისთვის ერთმანეთს მხოლოდ „მეშაქრე" და „გაგრა" ეცილებოდნენ, ბოლო პერიოდში მათ დავაში სერიოზულად ჩაერთო „მალაროელიც". ჭიათურელებმა აგარაში უპრინციპულესი მატჩი მოიგეს და „მეშაქრეს" ერთი ქულითღა ჩამორჩებიან.

როგორც იქნა, გაიმარჯვა „გაგრამაც" და, არასტაბილურობის მიუხედავად, საფლეიოფო შანსს ისიც ინარჩუნებს. მუხრანელებმა ტყიბულში საკმაოდ მძიმე ბრძოლაში იმარჯვეს.

დაძაბულობაა ცხრილის ქვედა ნაწილში. „რაჭამ" გლდანში „ამერი 2-ს" დიდი წინააღმდეგობა გაუწია და მეტოქეს ქულა შეხვედრის ბოლო წუთებზე გამოგლიჯა. პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა მიმდინარეობს, „რაჭას" სხვებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და გამარჯვების შემთხვევაში, სახიფათო ზონას კვლავ დატოვებს. შეგახსენებთ, რეგიონალლიგაში ოთხი გუნდი ვარდება.

„მერცხალი" კარგა ხანია, განწირულია, სავარაუდოდ, რეგიონალლიგაში მას „გურიაც" ჩაჰყვება. კიდევ ორი უილბლო „სპარტაკს", „რაჭას", „ჩიხურა 2-სა" და „ზესტაფონი 2-ს" შორის გამოვლინდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | |
|---|---|
| მეშახტე-გაგრა | 0:1 |
| ოლიმპი-სამტრედია | 0:0 |
| მეშაქრე-მალაროელი | 0:2 |
| გურია-დინამო 2 | 0:0 |
| მგლები-ნ. დინამო | 3:1 |
| ჩიხურა 2-ზესტაფონი 2 | 1:0 |
| ამერი 2-რაჭა | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია 2-მერცხალი | გადაიდო |
| სპარტაკი-მესხეთი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 26 | 20 | 2 | 4 | 46-15 | 62 |
| 2. მესხეთი | 25 | 17 | 4 | 4 | 46-14 | 55 |
| 3. ოლიმპი | 27 | 13 | 6 | 8 | 46-29 | 45 |
| 4. მეშაქრე | 27 | 12 | 8 | 7 | 31-24 | 44 |
| 5. მალაროელი | 27 | 12 | 7 | 8 | 39-29 | 43 |
| 6. ამერი 2 | 27 | 11 | 10 | 6 | 42-30 | 43 |
| 7. ვიტ ჯორჯ. 2 | 26 | 12 | 6 | 8 | 41-22 | 42 |
| 8. გაგრა | 27 | 12 | 5 | 10 | 36-31 | 41 |
| 9. სამტრედია | 27 | 10 | 8 | 9 | 26-33 | 38 |
| 10. ნ. დინამო | 26 | 11 | 4 | 11 | 38-38 | 37 |
| 11. მეშახტე | 26 | 10 | 5 | 11 | 37-33 | 36 |
| 12. დინამო 2 | 27 | 9 | 8 | 10 | 45-28 | 35 |
| 13. ზესტაფონი 2 | 26 | 7 | 10 | 9 | 24-26 | 31 |
| 14. ჩიხურა 2 | 27 | 8 | 4 | 15 | 25-48 | 28 |
| 15. რაჭა | 26 | 6 | 9 | 11 | 25-39 | 27 |
| 16. სპარტაკი | 26 | 7 | 3 | 15 | 17-38 | 24 |
| 17. გურია | 27 | 5 | 6 | 16 | 23-56 | 21 |
| 18. მერცხალი | 25 | 2 | 4 | 19 | 16-67 | 10 |

### რეგიონალლიგა

აღმოსავლეთი ზონა

21-ე ტური

| | |
|---|---|
| ორჩამჩირე-სიონი2 | 0:1 |
| გარეჯი-გაგრა2 | 1:1 |
| თბილისი-ასმც-ცხუმი | 1:2 |
| რუსთავი-ჰერეთი | გად. |
| ალგეთი-ნ. დინამო 2 | გად. |
| ფორვარდი-ხრამი | გად. |
| სამგორი-ხრამი | გად. |
| სამგორი | ისვენებს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა 2 (გაგრა) | 21 | 15 | 5 | 1 | 57-22 | 50 |
| ასმც-ცხუმი (სოხ.) | 21 | 15 | 3 | 3 | 42-13 | 48 |
| სამგორი (გარ.) | 21 | 13 | 3 | 5 | 61-28 | 42 |
| სიონი 2 (ბოლ.) | 21 | 11 | 8 | 2 | 38-19 | 41 |
| ალგეთი (მარ.) | 21 | 13 | 1 | 6 | 32-23 | 40 |
| გარეჯი (საგ.) | 21 | 10 | 5 | 6 | 36-25 | 35 |
| ჰერეთი (ლაგ.) | 21 | 10 | 4 | 7 | 38-23 | 34 |
| თბილისი (თბ.) | 22 | 10 | 2 | 10 | 48-42 | 32 |
| ხრამი (ნახ.) | 21 | 7 | 7 | 7 | 32-32 | 28 |
| ოჩამჩირე (ოჩ.) | 22 | 7 | 5 | 10 | 33-37 | 26 |
| რუსთავი (რუს.) | 21 | 6 | 4 | 11 | 22-29 | 22 |
| ნ. დინამო 2 (თბ.) | 20 | 5 | 5 | 10 | 27-41 | 20 |
| ფორვარდი (თბ.) | 19 | 5 | 2 | 12 | 24-50 | 17 |
| არაგველები (თბ.) | 28 | 4 | 4 | 20 | 24-71 | 16 |
| დურუჯი (ყვარ.) | 28 | 2 | 2 | 24 | 16-81 | 8 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი VS რომა. გამოხმაურება

# მორატი: არ უნდა წაგვეგო!

## ტოტი: სან სიროზე ინტერის გასამწარებლად ჩავედით



ინტერი გაჩემპიონებას აპირებდა, მაგრამ გაცამტვერდა

**სკუდეტოს** მოგება "რომასთან"? "მშვენიერი იქნება, ჩვენს ტიფოზებთან ერთად თავდავიწყებით ვიზეიმებ," – ამბობდა მასიმო მორატი ოთხშაბათის შეხვედრის წინ, რომლის მოგებაც "ინტერს" ჩემპიონობას არითმეტიკულად უნაღდებდა. პირთამდე სავსე "სან სირო" ზეიმისთვის ემზადებოდა და პირველ რიგში, ნომერი პირველი ინტერისტა მორატი, თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად. მაგრამ პირიქით მოხდა: "რომამ" 3:1 მოიგო და "შავ-ლურჯ" მილანს ზეიმი ჩაუშალა. პირველ რიგში მორატის, რომელიც გულგატეხილი ჩანდა: "ერთი თამაში შეიძლება, წააგო, მაგრამ ეს არ უნდა წაგვეგო". სხვათა შორის, ეს "ინტერის" პირველი მარცხი იყო ჩემპიონატში. წაგების მიზეზებს ყველა "ფსიქოლოგიაში" ეძებდა და პოულობდა: "ნერაძური" მოზღვავებულმა ემოციამ დაალალატა, ფეხები შეუბოჭაო. ამ ვერსიას მორატიც იზიარებს: "პირველი ტაიმი ისეთივე იყო, როგორც კვირას "პალერმოსთან" (როცა სიცილიელები 2:0-ს იგებდნენ), გუნდი ცოტა ანერვიულებული იყო, მაგრამ სულ ტყუილად, რადგან უპირატესობა ქულებში ძალიან დიდია. ასეთ შემთხვევებში ჩნდება სურვილი, რომ სწრაფად გაიტანო და წერტილი ყველაფერს მალე დაუსვა, თან ისეთი განწყობით თამაშობ, თითქოს უკანასკნელი შეხვედრა იყოს, არადა წინ შვიდი ტურია". აქ თავისთავად ჩნდება პარალელები 2002 წლის 5 მაისთან. მაშინ, რომის "ოლიპიკოზე", "ინტერი" მართლა ბოლო ტურის შეხვედრას თამაშობდა "ლაციოსთან" და რომ მოეგო, ჩემპიონი ხდებოდა, მაგრამ 2:4 წააგო, რაც სკუდეტოსთან გამომშვიდობებას ნიშნავდა. ინტერისტები მაშინ ძალიან ღელავდნენ, მაგრამ "სან სიროზე" მისულმა მორატიმ თამაშის წინ ასე თქვა: "მე მშვიდად მეძინა და 5 მაისი არც გამხსენებია. დღევანდელ შეხვედრასთან ამას საერთო არაფერი აქვს. ჩვენ დიდი უპირატესობა და კიდევ ბევრი თამაში გვაქვს ჩემპიონობის მოსაპოვებლად". ნამატჩევს პრეზიდენტმა გაიმეორა, ნერვიულობის საფუძველი არ არსებობსო: "მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ. სრული შემთხვევითობა იყო, როცა ბოლო წუთზე ავტოგოლი გავუშვით. მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი საკმარისად მაქვს: არა მხოლოდ მეორე ტაიმის, არამედ მთელი ჩემპიონატის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ბიჭები ამ წაგებამ სულიერად ვერ გატეხა. გასახდელში დიდხანს ვილაპარაკეთ. მე არც ფსიქოლოგიურ და არც ფიზიკურ პრობლემებზე არ ვისაუბრებდი. ერთი თამაშის წაგება პრობლემა არაა. მომავალ შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ..."

**რობერტო მანჩინიმ** შეხვედრის წინ რისკები სწორად დათვალა: არ უნდა ვიჩქაროთ სკუდეტოს მოგება და არ უნდა მოგვერიოს ემოციაო. ზუსტად ეს დაემართა "ინტერს". და დაემართა არა მოედანზე, არამედ უფრო ადრე, მანამდე, ვიდრე მწვრთნელი თავის ფეხბურთელებს გააფრთხილებდა. რაღაც კარგად რომ არ იყო, ეს კვირას "პალერმოსთან" თამაშშიც გამოჩნდა. თუმცა პარალელები საკვირაო შეხვედრასთან მანჩინისთვის მხოლოდ ნაწილობრივ არის სამართლიანი: *"დღევანდელი შეხვედრა მხოლოდ იმით ჰგავს წინას, რომ ორივე შემთხვევაში დიდებულად ჩავატარეთ მეორე ტაიმი. დიახ, დღესაც ასე იყო. წაგებას არ ვიმსახურებდით, არაერთი შესაძლებლობა გვქონდა, რომ მოგვეგო კიდეც. მხოლოდ შემთხვევითობა უილბლობა იყო, როცა 1:1-ზე წინ ვერ გავედით და როცა მეორე ბურთი მივიღეთ. სამწუხაროა, იმედი გვქონდა, რომ ჩემპიონატს წაგების გარეშე ჩავამთავრებდით. თუმცა 33 ტურის შემდეგ ერთხელ დაუმსახურებლად რომ წააგო, ტრაგედია არ არის. დღევანდელი პირველი ტაიმი საკვირაო პირველ ტაიმს გარეგნულად ჰგავდა, მაგრამ მიზეზები სხვადასხვა იყო: "პალერმოსთან" პირველ 45 წუთში ადგილი ჰქონდა უყურადღებობას, ცოტა გულგრილ დამოკიდებულებას. "რომასთან" კი ასე ნამდვილად არ ყოფილა. ამჯერად გადამწყვეტი ნერვები იყო. არ შემიძლია, გაბრაზებული ვიყო მათზე, ვინც აქამდე არაჩვეულებრივი სეზონი ჩაატარა. გუშინდელი მარცხი მატჩისადმი არასწორი მიდგომის ბრალი არ ყოფილა. იმ ჩოგბურთელის მდგომარეობაში ვიყავით, რომელსაც მატჩ-პოინტი აქვს და გამარჯვების მოლოდინში შიში იპყრობს. ეს დაგვემართა ყველას და არა კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელს. და "რომამ" ეს მშვენივრად გამოიყენა, რადგან ძლიერი გუნდია – იმდენად ძლიერი, რომ თავს უფლებას ვერ მივცემდი, რეკობა უფრო ადრე გამომეყვანა და ოთხი შემტევი ფეხბურთელით შემეტია. ამას დიდი პრობლემები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მეორე ვარიანტი ის იყო, რომ "ჩინო" სხვა თავდამსხმელის მაგივრად შემეყვანა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ გოლი მწიფდებოდა და, რომ ყველა კარგად თამაშობდა. მათ შორის იბრაჰიმოვიჩიც, რომელიც ბოლომდე მწყობრში არ არის და დასვენება ნამდვილად არ აწყენდა, მაგრამ მაინც თამაშობს, იმიტომ, რომ გუნდს მიზნის მიღწევაში დაეხმაროს. ვერ დავეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ "ინტერი" გადაღლილია და ენერგია აღარ აქვს. გადაქანცული გუნდი ვერ ჩაატარებს ისეთ მეორე ტაიმს, როგორიც კვირასა და დღეს ჩავატარეთ. ის, რომ სეზონის ბოლოს ზოგიერთები ფორმის პიკზე არ არიან, ეს სხვა საუბრის თემაა. მიზეზი ალბათ, მაინც ფეხბურთელების თავებში უნდა ვეძებოთ. მათი გონება სავსე იყო ბოლოდროინდელი ფრაზებით – "ინტერს" შეუძლია, ზეიმის დღე თვითონ აირჩიოს, სკუდეტო უკვე მოგებულია, 16-ქულიანი უპირატესობა, რომელიც დღეს რომ 6-ქულიანი ყოფილიყო, ალბათ, სულ სხვა თამაშს ვნახავდით. უკვე რამდენი კვირაა, რაც ჩემპიონატს დამთავრებულად აცხადებენ... იქნებ ასეც არის, მაგრამ როცა ბოლო წერტილის დასმის მომენტი დგება, შეიძლება, შიშმა აგიტანოს... მომხდარიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და შემდეგი თამაშებისთვის გამოვიყენოთ. შეძლებისდაგვარად უნდა ავარიდოთ თავი სკუდეტოზე ლაპარაკს. მნიშვნელობა არა აქვს, როდის გავხდებით ჩემპიონები – ალბათ, უფრო "ემპოლისთან", ვიდრე კვირას სეინაში, მაგრამ ორ დღეში იქნება ეს, სამში თუ ოთხში, არაფერს წყვეტს. როცა იქნება, იქნება. და რომ იქნება, მაშინ ვიზეიმებთ".*

რომაული რეაქცია. "რომას" ქულებიც სჭირდებოდა, მაგრამ რომაელი ფეხბურთელების თავში ერთადერთი აზრი ტრიალებდა – ზეიმი ჩაეშხამებინათ "ინტერისთვის". **ფრანჩესკო ტოტი** ამას ხმამაღლა აცხადებდა და პირობა შეასრულა. ჩემპიონატში 21-ე გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირების სიაში კიდევ უფრო დაწინაურდა. *"ჯანმრთელად არ ვიყავი და თავს ძალა დავატანე, რომ მეთამაშა – თქვა ნამატჩევს "რომას" კაპიტანმა – უფლება არ მქონდა, რომ მოედანზე არ ვყოფილიყავი. გახარებული ვარ, ყველას დავუმტკიცეთ, რომ სინამდვილეში სულაც არ ჩამოვუვარდებით "ინტერს" ისე, როგორც ეს სატურნირო ცხრილში ჩანს. ერთადერთი გუნდი ვართ, ვინც "ინტერის" დამარცხება შეძლო. ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, რომ "სან სიროზე" მასპინძლებისთვის ზეიმის ჩასაშლელად ჩამოვედით, თუმცა ზეიმი მხოლოდ გადაიდო. მანჩესტერში წაგების შემდეგ ამბობდნენ, "რომა" დამთავრდა, მაგრამ ჩვენ თავს ძლიერებად ვთვლით და დავამტკიცეთ კიდეც, რომ ასეა. ცხადია, გატანილი გოლითაც კმაყოფილი ვარ. ახლა უკვე ძალიან ცოტა მაკლია, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდე".*

კაპიტნისგან განსხვავებით, **ლუჩანო სპალეტი** კომენტარში უფრო ფრთხილი და თავშეკავებული იყო: *"იმ ციფრებით, რომელიც წელს "ინტერს" აქვს, სწორია, რომ ეს გუნდი ჩემპიონი გახდეს. ჩვენ იმ მიზნით არ ჩამოვსულვართ, რომ "ნერაძურისთვის" ზეიმი ჩაგვეშალა, გამარჯვება იმისთვის გვინდოდა, რომ ეს ქულები გვჭირდებოდა. პენალტი? ყველანი ავნერვიულდით, რადგან დარწმუნებულები ვიყავით, რომ წესები არ დაგვირღვევია. გუნდი გაბრაზდა, იმიტომ, რომ მსაჯის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია, თუმცა ჩვენი რეაქცია ბოლომდე კორექტული არ იყო და ასე აღარ უნდა მოვიქცეთ. საბოლოო შედეგი სამართლიანია იმდენად, რამდენადაც გამარჯვება ჩვენი სიჯიუტისთვის დავიმსახურეთ. "ინტერი" უდიდესი გუნდია, მეორე ტაიმში დიდი პრობლემები შეგვიქმნა, თუმცა მისია ცოტა სხვა იყო: ნებისმიერ ფასად უნდოდათ ამ შეხვედრის მოგება. ახლა წინ რომაული დერბი გველის. უნდა ვითამაშოთ იმაში დარწმუნებულებმა, რომ მეორე ადგილი თითქმის უკვე გარანტირებული გვაქვს (სხვაობა "ლაციოსთან" 11 ქულაა), თუმცა "ლაციომ" მეორე წრე დიდებულად ჩაატარა და ამიტომ ძალიან სახიფათო მეტოქეა".*

მაისში "ინტერი" და "რომა" ერთმანეთს იტალიის თასის ორრაუნდიან ფინალში დაუპირისპირდებიან. ეს გამარჯვება რომაელებს ამ თვალსაზრისითაც ძალიან გამოადგებათ. *"ინტერი" უფრო სრულყოფილი და უფრო ძლიერია – ამბობს სპალეტი – მაგრამ უშუალო შეხვედრებში ასეთი დიდი განსხვავება, ვფიქრობ, არ იგრძნობა. ეს გამარჯვება თავდაჯერებას შეგვმატებს სათასო ფინალისთვის, მაგრამ თავდაჯერების საფუძველს ბიჭებს, პირველ რიგში, ის უნდა აძლევდეს, რაც ამ ორი წლის განმავლობაში გააკეთეს. დავიწყებულია თუ არა მანჩესტერი? იმ თამაშს მე ვერ ვივიწყებ, გულზე დღემდე მძიმედ მაწევს. და თუკი მოგება რყვნის, წაგება გასწავლის: მანჩესტერული წაგება კი იყო "წაგება კუბში". მანჩინის ჩემგან დასამშვიდებელი არაფერი აქვს, პირიქით, ის აქეთ უნდა მამშვიდებდეს იმ სხვაობის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს ორ გუნდს შორისაა. გადადებული ზეიმი უფრო კარგი გამოდის ხოლმე. ჩემი მომავალი? ხელმძღვანელობასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. ცხადია, ყველგან არსებობს რაღაც მოლოდინი და თუ ის არ მართლდება, გარკვეულ დაძაბულობას უცილობლად იწვევს. მაგრამ ჩემსა და დირექტორატს შორის სრული ჰარმონიაა, ურთიერთშეთანხმებულად ვიმუშავებთ შემადგენლობის გასაძლიერებლად".*

**გოგა ახალაძე**

### კაკა რეალზე თანახმაა

**კაკამ** საინტერესო განცხადება გააკეთა. "მარკასთან" საუბრისას, მან აღიარა, რომ ბავშვობიდან "რეალში" თამაშზე ოცნებობს და თუ კლუბები შეთანხმდებიან, სიამოვნებით მიაშურებს ესპანეთს: *"იტალიაში ბედნიერი ვარ, მაგრამ ესპანეთშიც სიამოვნებით ვიცხოვრებდი. თუ "რეალს" ნამდვილად უნდა ჩემი შეძენა, პირველ რიგში, "მილანს" უნდა შეეხმიანოს. თუ კლუბები საერთო ენას გამონახავენ, "რეალში" ტრანსფერს მეც დავთანხმდები."*

### რივალდოს პირველი ევროპული გაძევება

გასულ უქმეებზე "ოლიმპიაკოსმა" "ლარისასთან" 0:0 ითამაშა. პირეოსელებს **რივალდო** გაუძევეს. ეს იყო ბრაზილიელის პირველი გაძევება მთელს ევროპულ კარიერაში. 35 წლის ვეტერანი ამტკიცებს, რომ არბიტრმა უსამართლოდ მიუთითა გასახდელისკენ. მისი პოზიციას ამყარებს ვიდეოჩანაწერი. მასზე ჩანს, რომ რივალდოს მეტოქის ფეხბურთელისათვის არ დაურტყამს. ფორვარდმა მხოლოდ ბურთს დაჰკრა ხელი, რათა თამაში სწრაფად განეახლებინა. მოწინააღმდეგემ კი ეს ყველაფერი ისე გააფორმა, თითქოს მას შეეხნენ. კვირას "ოლიმპიაკოსი" "კერკირას" უმასპინძლებს. გამარჯვების შემთხვევაში, კლუბი ბოლო 10 წელიწადში მე-9 ტიტულს დაეუფლება.

ვარსკვლავები

# დაბადების დღე 110 ათასად

## ბექჰემების წვეულება პარიზში ორ კაცზე...

**თუ** თქვენ **დევიდ ბექჰემი** ხართ და მეუღლისათვის რომანტიკული დაბადების გადახდა გსურთ, მას, რა თქმა უნდა, პარიზში წაიყვანთ. ოთხშაბათს **ვიქტორია** და დევიდი საფრანგეთის დედაქალაქს 12 საათით ესტუმრნენ და... 110 ათასი გირვანქა შემოეხარჯათო, გვარწმუნებს "ინდეპენდენტი". ბექჰემებმა შვილები - **ბრუკლინი, რომეო და კრუსი,** დევიდის დედას, **სანდრას** დაუტოვეს და საღამოს ოთხ საათზე უკვე დანიშნულების ადგილას იყვნენ. პარიზში ჩასვლისთანავე ისინი საყიდლებზე გაემართნენ. მოიარეს უძვირფასესი საიუველირო და ტანსაცმლის მაღაზიები, სადაც დაახლოებით 70 ათასი გირვანქა გადაიხადეს. დევიდი ამ ვიზიტისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა. მის მეუღლეს თითოეული მაღაზია ექსკლუზიურად ემსახურებოდა. წყვილი სასტუმრო რიცში გაჩერდა. სავახშმოდ კი პრესტიჟულ რესტორან "გი სავოის" ეწვია, რომელიც იმ საღამოს ყველა სხვა კლიენტისათვის დახურული იყო. რესტორნის დახურვა ბექზს დაახლოებული 15 ათასი გირვანქა დაუჯდა.

ვიქტორიასათვის ყველაფერი მოულოდნელი იყო. სახლიდან გასვლისას ის, ალბათ, რომელიმე მადრიდულ რესტორანში წაყვანას ელოდებოდა, სინამდვილეში, აეროპორტში ამოჰყო თავი და საყვარელ ადამიანთან ერთად, კერძო თვითმფრინავით, პარიზისაკენ გაემართა. თვითმფრინავის მომსახურება 25 ათასი გირვანქა დაჯდა. ვახშმის შემდეგ ბექჰემებმა სასტუმროში მოისვენეს. დილის 4 საათზე კი ისევ "შარლ დე გოლის" აეროპორტში მივიდნენ, რათა მადრიდში დაბრუნებულიყვნენ. ბექჰემების ვიზიტი პაპარაცების შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მათ ფოტოების გადაღებით გული იჯერეს. მნიშვნელოვანი სიახლე იყო დევიდის ახალი სვირინგი, რომლითაც მთელი მისი მარჯვენა ხელია დაფარული.

ბექჰემების ლოს ანჯელესში გამგზავრების თარილი ახლოვდება. ქალაქი ინგლისელი ვარსკვლავების დასახვედრად ემზადება. პრესტიჟულ სალონ "კიტსონში" გაყიდვაში გამოვიდა თეთრი მაისურა, რომელზეც დევიდის უკლებლივ ყველა სვირინგია გამოსახული. მაისურა 58 დოლარი ღირს და ის უკვე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. "კიტსონის" სალონი ვარსკვლავთა ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. იქ ხშირად ნახავთ **ანჯელინა ჯოლის, ჯესიკა ალბას, ჰაიდი კლუმს, ლინდსი ლოჰანსა** და **ჯენიფერ ლოპესს**. ეს უკანასკნელი ვიქტორია ბექჰემის მეგობარია. ჯენიფერი დევიდსაც შესანიშნავად იცნობს. ისინი "პეპსის" სარეკლამო რგოლის გადაღებისას დაახლოვდნენ.



კარლო ანჩელოტი

მილანი

# ბერლუსკონი ანჩელოტისთან კონტრაქტს აფერხებს

## გალიანი ამბობს, რომ ხელშეკრულების გაგრძელება საჩქარო არ არის, სინამდვილეში პრეზიდენტი თამაშითაა უკმაყოფილო...

"მილანმა" დაკარგული თამაში იპოვა: ზედიზედ ოთხი გამარჯვება და 13 გოლი. ამ ოთხიდან ერთი განსაკუთრებული იყო: 2:0 მიუნხენში და "როსონერი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია. კვირას მილანელებმა ასკოლიში 5:2 მოიგეს და მეოთხე ადგილიც განიმტკიცეს – ახლა ოთხი ქულით უსწრებენ მდევარ "პალერმოს". მეოთხე ადგილი იყო ის მიზანი, რომელიც ხელმძღვანელობამ გუნდს ამ ჩემპიონატში დაუსახა და ძნელად წარმოსადგენია, რომ დარჩენილ ექვს ტურში "მილანმა" ის ვინმეს დაუთმოს. ერთი შეხედვით, ყველა პირობა არსებობს, რომ **სილვიო ბერლუსკონი** კმაყოფილი იყოს. ამ ფონზე "გაძეტა დელო სპორტს" ერთი ასეთი კითხვა დაებადა: რატომ არის, რომ "მილანი", კლუბი, რომელსაც ოდითგან ტრადიციად აქვს თავისი ვარსკვლავებისთვის კონტრაქტების ნაადრევად გაგრძელება, **კარლო ანჩელოტისთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ისევ არ ფიქრობს? და ეს მაშინ, როცა მწვრთნელი დაუფარავად ამბობს, რომ გაგრძელება უნდა. გასულ თვეში, როცა "მილანი" ნახევრფინალში გასული ჯერ არ იყო, კარლეტოს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, პირველ რიგში, რის გაკეთებას ურჩევდით ბერლუსკონის "მილანისთვის" ძველი ძლიერების დასაბრუნებლადო და ანჩელოტიმ უპასუხა, რას ვურჩევდი და, მწვრთნელისთვის კონტრაქტის გაგრძელებასო. მაგრამ კონტრაქტის გაგრძელება არ ხდება და რაღაც მიზეზი უნდა არსებოდეს. ასკოლიში გამარჯვების შემდეგ ანჩელოტიმ ამ თემასთან დაკავშირებით თქვა: *"მე არაფერი მითხოვია, მხოლოდ ის ვთქვი, რომ კონტრაქტის განახლებას ვისურვებდი, მაგრამ ჩვენი ფიქრები ახლა მთლიანად ორი მიზნისკენ არის მიპყრობილი: ჩემპიონატში მინიმუმ მეოთხე ადგილზე გასვლა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში".* ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** პასუხობს: *"და სად არის პრობლემა? ანჩელოტი "მილანში" კიდევ დიდხანს დარჩება. სულ არ არის საჭირო კონტრაქტის წელიწადნახევრით ადრე განახლება".*

მაგრამ "გაძეტა დელო სპორტი" არ ნებდება: მაშინ, რატომ არის, რომ ფეხბურთელებმა ორ-ორი წლით ადრე გააგრძელეს და მწვრთნელს ეს ისევ არ გაუკეთებია? "გაძეტას" აზრით, "მილანი" ხელმოწერას ერთი მარტივი მიზეზის გამო წელავს: *"ანჩელოტის ბავარიული ბარიერი რომ ვერ დაეძლია, სეზონის ბოლოს აუცილებლად გაუშვებდნენ. აშკარაა, რომ დირექტორებსა და პირადად ბერლუსკონის სხვა მწვრთნელებთან კონტაქტები ჰქონდათ, პირველ რიგში, მარჩელო ლიპისთან. მაგრამ სიტუაცია შეიცვალა, ხელმძღვანელობა ახლა იძულებულია, საკუთარი ისტორია თავიდან გადაიკითხოს და ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გაითვალისწინოს: ანჩელოტის ხელმძღვანელობით "მილანმა" ბოლო ხუთ სეზონში ოთხჯერ შეძლო ჩემპიონთა ლიგის ნახევრფინალში გასვლა, ეს კი ისეთი მიღწევაა, რომ უყურადღებოდ ვერ დატოვებ. მწვრთნელსა და გალიანის შორის მჭიდრო ურთიერთობაა და გამორიცხული არაა, რომ პირველი ნახევარფინალის შემდეგ (მანჩესტერში), რაღაც პოზიტიური მოხდეს. მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ზემოდან უნდა ითქვას, ანუ ბერლუსკონისგან, რომელმაც ამ სეზონში არაერთხელ გააკრიტიკა გუნდის თამაში და რამდენჯერმე შერჩეული შემადგენლობაც დაიწუნა (ამასწინათაც გამოთქვა პრეტენზია, ორი თავდამსხმელით რატომ არ ვითამაშეთო). სწორედ ეს გახლავთ მიზეზთა მიზეზი.*

აშკარაა, რომ კარლეტოს "მილანში" დარჩენა უნდა, იმიტომ, რომ იქაურ გარემოში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში და კიდევ იმიტომ, რომ ეს გუნდი თავისი ხელით შექმნა, ვარჯიშიდან ვარჯიშამდე, თამაშიდან თამაშამდე. ყველა შეთავაზებაზე, რომელიც ამ წლებში მიიღო (განსაკუთრებით ესპანეთიდან), უარი თქვა. მაგრამ თუ "ბარსელონა" მწვრთნელობას შესთავაზებს, უარის თქმა ამჯერად უკვე ძნელი გახდება. სიტუაცია აღარ არის ისეთი, როგორიც შარშან, როცა ანჩელოტიმ უარი შეუთვალა "რეალს" (იმხანად საარჩევნო კამპანიაში ჩართული ბერლუსკონის პირადი თხოვნით).

*"ახლა მე მხოლოდ მეოთხე ადგილის შენარჩუნება მაინტერესებს – თქვა ანჩელოტიმ ასკოლური გამარჯვების შემდეგ – კარგი და შინაარსიანი თამაშით მოვიგეთ, ყველა თავდამსხმელი ბრწყინვალე იყო და ეს კარგის ნიშანია მანჩესტერული გასვლის წინ. მთავარია, ასე გავაგრძელოთ და ენერგია სწორად გავანაწილოთ: მაგალითისთვის, შაბათს "კალიარისთან" შეხვედრაში კაკას დავასვენებ".*

**გოგა ახალაძე**

ბაიერნი. ტრანსფერები

# დიეგო: მიუნხენი არ მაინტერესებს

## ტონის შემდეგ ბავარიელებს ბრაზილიელმა ვარსკვლავმაც უარი შეუთვალა...

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ **ლუკა ტონი** "ბაიერნში" გადასვლას არ აპირებს და რომ, მიუხედავად შესანიშნავი წინადადებისა, ფლორენციელი მიუნხენურ გიგანტს უარს უთვლის. გაცნობეთ ისიც, რომ ბავარიელებს აქცენტი სხვა ფეხბურთელებზე გადააქვთ - ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მიუნხენურ გუნდთან მიმართებაში კიდევ ერთხელ ახსენეს **რაფაელ ვან დერ ვაარტი, დიეგო, მიროსლავ კლოზე** და **არიენ რობენი.**

ვან დერ ვაარტის პოზიცია უკვე გარკვეულია - ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ ოდესმე უმაღლესი დონის გუნდში გადასვლა კი უნდა, მაგრამ "ჰამბურგის" დატოვებაზე ჯერ არ ფიქრობს. ამას თან ისიც დაერთო, რომ HSV-ს შეფებმა გამოაცხადეს, რაფაელი არ იყიდებაო. თუმცა ფეხბურთში წინასწარ გადაწყვეტით ვერაფერს იტყვი და მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა, მაინც არაა გამორიცხული, რომ ბავარიელებმა ვან დერ ვაარტი გადაიბირონ. ამისთვის მთავარია, რომ ჯიბეზე გვარიანად გაიკრან ხელი. მერე, შესაძლოა, ყველაფერი გაცილებით რეალური გახდეს. სანამ მიუნხენელები მოლაპარაკებებს არ დაიწყებენ, ცხადია, რომ თვითონ ვან დერ ვაარტი "ბაიერნს" თავის თავს არ შესთავაზებს.

რაც შეეხება დიეგოს. "ვერდერის" 22 წლის ვარსკვლავი "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ბავარიულ გრანდზე არ ფიქრობს. მეტიც, ბრაზილიელი "ბაიერნს" პირდაპირ ცივ უარს უთვლის. *"ახლა "ვერდერზე" ვარ კონცენტრირებული და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, გავხდებით თუ არა გერმანიის ჩემპიონები. ყურადღებას სხვა რამეზე ვერავინ და ვერაფერი გადამატანინებს, მათ შორის, ვერც "ბაიერნის" ბოსების თუნდაც ზღაპრული წინადადება. შესანიშნავ გუნდში ვთამაშობ და ერთი სიტყვით, "ბაიერნი" არ მაინტერესებს,"* - ამბობს დიეგო.



დიეგო

გუშინდელ ნომერში "კიკერმა" **არიენ რობენის** თემაც წამოატივტივა. ჩვენი გერმანელი კოლეგები დაინტერესდნენ, რამდენად შესაძლებელია ის, რომ რეკორდმაისტერმა "ჩელსის" ჰოლანდიელი გარემარბი ხელში ჩაიგდოს. *"დიახ, სულაც არაა გამორიცხული, რომ არიენმა "ბაიერნში" ითამაშოს,"* - ამბობს ფეხბურთელის მამა **ჰანს რობენი,** რომელიც ამავე დროს მისი მრჩეველიცაა, - *"ჩემს შვილს იმ გუნდში თამაში სურს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია. ასეთი სულ 6-7 კლუბია და მათ შორისაა "ბაიერნიც". თუმცა დღემდე გერმანულ გრანდსა და ჩემს შვილს შორის არანაირი მოლაპარაკებები არ ყოფილა. არიენს მიუნხენიდან არავინ დაჰკავშირებია. დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ ჩემი ვაჟი გაისადაც "ჩელსიში" ითამაშებს, რადგან ლონდონური კლუბის დატოვება არ უნდა. ისე, მან არაერთხელ მითხრა, რომ "ბაიერნი" რეალური კანდიდატი იქნებოდა, თუკი მას მიუნხენიდან მართლაც დაუკავშირდებიან."*

რობენს "არისტოკრატებთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული და თუკი "ბაიერნის" ბოსები "ჩელსის" დიდ ფულს გადაუხდიან, არიენის მიუნხენში ტრანსფერი შესაძლებელი გახდება. თანაც ისიც აუცილებელია, რომ ბავარიელებმა ჰოლანდიელს იმაზე მაღალი ხელფასი დაუნიშნონ, ვიდრე "ჩელსიში" იღებს. *"წავა თუ არა ლონდონიდან ჩემი შვილი, ეს იმაზე სულაც არაა დამოკიდებული, დარჩება თუ არა გუნდში ყოზე მოურინიო. საკუთარი მომავლის ბედს არიენი თვითონ წყვეტს,"* - ამბობს ჰანს რობენი.

*"რამდენიმე ფეხბურთელს ვუმიზნებთ, მაგრამ გვარებს არ დაგიკონკრეტებთ. სანამ რომელიმე ტრანსფერი საბოლოოდ არ გადაწყდება, არაფერს ვიტყვით,"* - აცხადებს მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი.** აღსანიშნავია, რომ **მიროსლავ კლოზეს** ახალი არაფერი უთქვამს, მისი ადრინდელი ჩვენება კი ასეთია: *"თუ "ვერდერს" დავტოვებ, მაშინ გერმანიაში არ დავრჩები."* "ბილდი" იტყობინება, რომ მიუნხენში გადაბარგების რეალური კანდიდატია მიონხენგლადბახის "ბორუსიის" მარცხენა მცველი, 21 წლის **მარსელ იანსენიც.**

**გოტფრიდ ლენცი**



ლუის საა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ვინ შეცვლის ლუის საას?

## სოლსკიაერს ერთი სეზონი დარჩა

საა "მანჩესტერში" 2004 წლის იანვარში 12 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა. ქრონიკული ტრავმების მას მხოლოდ 66 მატჩი აქვს ჩატარებული. **უეინ რუნი** "ოლდ ტრეფორდზე" ნახევარი წლით გვიან მივიდა, მაგრამ 125 მატჩის გამართვა მოასწრო. **კრისტიანო რონალდოს** კი, მარტო ძირითადში, 145 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ფერგის თავდამსხმელი სჭირდება. გასულ უქმეებზე ნიუკასლელი **მაიკლ ოუენის** სახელმა გაიჟღერა. განიხილება ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვისა** და ბარსელონელი **ეიდურ გუდიონსენის** ტრანსფერებიც. სერ ალექსი ამბობს: *"იმედია, რამდენიმე ფეხბურთელს შევიძენ. შემადგენლობის რადიკალური ცვლილება არ იგეგმება."*

**ოლე გუნარ სოლსკიაერი** კარიერას ერთ წელიწადში დაასრულებს. ვეტერანმა თავდამსხმელმა ნორვეგიულ გაზეთ "ვერდანს განგს" განუცხადა, რომ დღევანდელი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ "მანჩესტერთან" თანამშრომლობას აღარ გააგრძელებს. თუმცა პენსიაში გასვლამდე შეეცდება, ბოლო სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატაროს. სოლსკიაერი "იუნაიტედში" 1996 წელს, "მიოლდედან" გადავიდა. 34 წლის თავდამსხმელს ტრავმის გამო სამი სეზონი გაუცდა, მაგრამ **სერ ალექს ფერგიუსონს** მის შესაძლებლობებში ერთხელაც არ შეუტანია ეჭვი.

**სერ ალექს ფერგიუსონს ლუის საას** იმედი აღარ აქვს. მწვრთნელი თანახმაა, სოლიდური შეთავაზების შემთხვევაში, ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენოს. ფრანგ თავდამსხმელს განუწყვეტლივ აწუხებს ტრავმა. ის უმნიშვნელო ტკივილის შემთხვევაშიც კი დასვენებას ითხოვს. სამშაბათს "მენიუმ" შეფილდ იუნაიტედთა გამოტოვებული მატჩი ჩაატარა. საა მთელი კვირა ემზადებოდა. ფერგის მისი განაცხადში შეყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მატჩის წინა დღეს ლუისმა გამოაცხადა, რომ მინდორზე გასასვლელად მზად არ იყო. მას "მილანთან" პირველი მატჩიც გაუცდება და მხოლოდ საპასუხო შევედრაში ასპარეზობას შეძლებს.

არსენალი

# ვენგერის მოკავშირე წავიდა

## შესუსტდება თუ არა ფრანგი მწვრთნელის პოზიციები?

**სტენ კროენკე** "არსენალში" საკუთარ წილს ზრდის. რამდენიმე კვირის წინ ამერიკელმა მილიარდერმა სამაუწყებლო კომპანია ITV-სა და დირექტორ **დენი ფიშმანის** კუთვნილი 11 პროცენტი შეიძინა. ამჯერად, კროენკემ ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინის** 14.5 პროცენტს დაადგა თვალი და ინტენსიური მოლაპარაკებები წამოიწყო. მას ეს ლუკმა 67.6 მილიონი გირვანქა დაუჯდება გუშინ "არსენალის" გულშემატკივრებმა საგანგაშო ინფორმაცია შეიტყვეს - კლუბს გამოეთხოვა დინი, **არსენ ვენგერის** უპირველესი მოკავშირე და თანამოაზრე, რომელიც "არსენალში" 1983 წლიდან მოღვაწეობდა. 24 წლის წინ დევიდ დინმა 300 ათას გირვანქად "არსენალის" პირველი აქციები შეიძინა.

ან უკვე ყოფილ ვიცე-თავმჯდომარეს ევროპულ ფეხბურთში დიდი წონა აქვს. ის ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის საერთაშორისო ალმასკომის წევრი და უეფას კომიტეტების აქტიური მონაწილეა. მისტერ დინმა G14 თავმჯდომარეობაც კი მოასწრო. 1996 წელს სწორედ მისი რეკომენდაციით გაფორმდა წელშეკრულება ბევრისათვის უცნობ ფრანგ სპეციალისტ ვენგერთან, რომელიც იმხანად იაპონიაში იყო გადახვეწილი. ზოგიერთი მიმომხილველი ვარაუდობს, რომ დინის წასვლით ვენგერის პოზიციები საგრძნობლად შესუსტდება. მაგრამ "მეთოფეების" თავმჯდომარე **პიტერ ჰილ ვუდი** ამგვარ შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს. მოსიე არსენის კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში იწურება. "არსენალს" თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ვენგერი 2 500 გირვანქით დააჯარიმა. მიზეზი "პორტსმუთთან" 2006 წლის 16 დეკემბრის მატჩში მომხდარი ინციდენტია. შესვენებისას ვენგერმა მისი გუნდის კარში დანიშნული საჯარიმო გააპროტესტა. იმ საჯარიმოს ანგარიშის გახსნა მოჰყვა. მოსიე არსენი ჯერ მეოთხე მსაჯს ეკამათა. გვირაბში კი მთავარ მსაჯ **სტივ ბენეტსაც** აუხირდა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო და მეორე ტაიმში ტრიბუნაზე მოუხდა ასვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ლეო მესის სასწაული

## ახალგაზრდა არგენტინელის გოლმა მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა, ხეტაფესთან პირველი სათასო ნახევარფინალი მის ბენეფისად იქცა...



**ლეო მესის** სასწაული! "ბარსელონისა" და "ხეტაფეს" სათასო დაპირისპირებას (5:2) სხვაგვარ შეფასებას ვერ მივცემთ. კატალონიური გრანდის არგენტინელმა გენიოსმა წლის ულამაზესი გოლი შეაგდო. ლეოს ეს გოლი ტყუპისცალივით ჰგავდა **დიეგო მარადონას** მიერ 1986 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრების კარში გატანილ ბურთს. ამიტომაც უწოდა "დიარიო მარკამ" ახალგაზრდა სამხრეთამერიკელს "მესიდონა". "დიარიო ასმა" კი ის დიეგო მესის სახელით მოიხსენია. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მესის სახით მსოფლიო ფეხბურთს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი შეეძინა. ლეო, რა თქმა უნდა, ოთხშაბათამდეც დაფასებული მოთამაშე იყო, მაგრამ სათასო ნახევარფინალის შემდეგ მასზე სულ სხვაგვარად ალაპარაკდებიან. შეუძლებელია, ასეთი გოლი შემთხვევით გაიტანო. ამისთვის ღვთისგან ნაბოძები ნიჭია საჭირო. "ხეტაფესთან" მატჩი ლეო მესის ბენეფისად იქცა. არგენტინელის ძალისხმევის ფასად "ბარსელონამ" ფინალის საგზური ფაქტობრივად, წინასწარ გაინაღდა. ყველას სჯერა, რომ განმეორებითი პაექრობა სურათს ვერ შეცვლის და "ბარსა" პრესტიჟული ტიტულისთვის ბრძოლას გააგრძელებს. დიახ, ამ წყვილის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. ძნელად წარმოსადგენია, "ხეტაფემ" მშობლიური "ელ კოლისეუმზე" 3:0 მოიგოს. **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭები თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. მადრიდელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის მოკლე მონაკვეთში გამოიჩინეს თავი და ორი დარტყმა ორ გოლად აქციეს. მასპინძლები უსიამოვნო სიურპრიზით არ გატყდნენ და შეტევის გაძლიერების ფასად სამბურთიანი უპირატესობა აღადგინეს.

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, თუმცა **ვიქტორ ვალდესის** დუბლიორმა, **ჟორკერამ** საიმედოდ ითამაშა. ამის შემდეგ ცალკარა გაჩაღდა. "ბარსელონამ" "ხეტაფე" საკუთარ საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვა. შედეგმა არ დაახანა. მე-19 წუთზე მესიმ ეფექტური იერიში წამოიწყო და ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფ **ჩავის** პასი არ დაუგვიანა. ერნანდესი სიტუაციაში კარგად გაერკვა, მცველი ცრუ მოძრაობით თამაშიდან იოლად გამოთიშა და **ლუის გარსიას** აუღებელი დაურტყა. დაწინაურებით გახარებულმა კატალონიელებმა სიმშვიდე მოიპოვეს. მათ კიდევ უფრო თავდაჯერებულად შეუტიეს. დაახლოებით ათ წუთში სწორედ ის სასწაული მოხდა, რომლის შესახებაც სტატიის დასაწყისში მოგახსენებდით. მესიმ მოედნის ცენტრში ორი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა, სწრაფი დრიბლინგით საჯარიმოს მიუახლოვდა, იქ კიდევ სამი მადრიდელი მცველი გააბითურა, ბოლოს მეკარეც მიწაზე გააგორა და მახვილი კუთხიდან ულამაზესი ბურთი შეაგდო. "კამპ ნოუ" აღტაცებას ვერ მალავდა. უდიდესი ესთეტიზმის მქონე კატალონიელმა გულშემატკივრებმა არგენტინელს ოვაციები მოუწყვეს. მთელი სტადიონი მესის გვარს სკანდირებდა. 30 წუთის შემდეგ ორბურთიანი უპირატესობა სერიოზული განაცხადი გახლდათ, თუმცა მასპინძლებმა ლამაზი ფეხბურთის გემო შეიგრძნეს. ასეთ სიტუაციაში კი "ბარსა" დემონივით დაუნდობელია. "ხეტაფეს" კართან ზედიზედ იქმნებოდა საგოლე მომენტები. ტაიმის მიწურულს ინჩასებმა მესის კიდევ ერთი გოლი იხილეს. მართალია, წინა ბურთს ესთეტიზმის თვალსაზრისით ვერ შეედრებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას ნებისმიერი ფორვარდი დიდი სიამოვნებით მოაწერდა ხელს. აღსანიშნავია, რომ მთლიანად შეტევა გამოდგა ულამაზესი. **დეკუმ** მარცხენა ფლანგზე ფანტასტიკური დრიბლინგით გაიბრწყინა და ბურთი საჯარიმოში შეჭრილ ლეოს მიაწოდა. სამხრეთამერიკელს მეურვისგან გათავისუფლება, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. მეკარეს სწორი პოზიცია ეკავა. ის ორივე კუთხეს შეძლებისდაგვარად საიმედოდ აკონტროლებდა, მაგრამ მესიმ ბურთი გოლკიპერისთვის წარმოუდგენელ და მიუწვდომელ ადგილას გაგზავნა. შესვენების წინ ანგარიშის სამამდე გაზრდამ რიიკაარდის ბიჭები ნახევარფინალური დუელის ულაპარაკო ფავორიტებად აქცია...

თუმცა, მეორე ტაიმის დებიუტი მოულოდნელი სცენარით წარიმართა. **ბერნდ შუსტერმა** თამაშში **გუისა** ჩართო. დასვენებულმა ფორვარდმა თავდასხმა აშკარად გამოაცოცხლა, თუმცა "ხეტაფეს" ორივე გოლი მასპინძელთა უყურადღებობის შედეგი უფრო იყო, ვიდრე დედაქალაქელთა ოსტატობის გამოძახილი. მოკლედ, ბარსელონელები ოდნავ მოდუნდნენ და ორწუთიან მონაკვეთში ორი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. 58-ე წუთზე **კოტელომ** საჯარიმო შეასრულა. ჟორკერამ ცუდად მოიგერია და გუისამ დამატებაზე ყველას დაასწრო. ბურთი ბადეში გაეხვა. **კარლეს პუიოლი** სიბრაზისგან კინაღამ გაცოფდა. მისი უარყოფითი ემოცია კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა, როცა "ბარსას" კაპიტანმა და მისმა თანაგუნდელებმა საჯარიმოში ბრიყვული შეცდომა დაუშვეს. ნაჩოს ისლა დარჩენოდა, კატალონიელთა კარი მეორედ დაელაშქრა. რიიკაარდმა შეგირდებს თავდასხმაში წასვლა მთელი კატეგორიულობით მოსთხოვა. ბიჭები არ დაიბნენ და ზუსტად სამ წუთში სხვაობა გაზარდეს. **ეიდურ გუდიონსენმა** კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი. **სამუელ ეტოოს** გარდა, ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო. "ბარსას" მიერ დემონსტრირებული ლამაზი ფეხბურთი, რა თქმა უნდა, კამერუნელ ფორვარდსაც დიდად ახარებდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას გოლის გატანა სურდა. სამუს საამისო საშუალება 74-ე წუთზე მიეცა. ჩავის გონიერი გადაცემის ფასად ეტოო "ხეტაფეს" საჯარიმოში ერთი მცველის ამარა აღმოჩნდა. ერთი მეურვე კი მისთვის არასოდეს ყოფილა გადაულახავი წინაღობა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აფრიკელმა მცველი ჩამოიცილა და ლუის გარსია კიდევ ერთი გოლით "გაახარა".

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მთავარი მწვრთნელები დროულად გამოცხადდნენ. თავდაპირველად ფრანკ რიიკაარდის განცხადებას გაგაცნობთ: *"მესი თავად ნიჭიერების განსახიერებაა. დაუჯერებელი გოლი გაიტანა. მე მას ხელოვნების ნიმუშს ვუწოდებდი. ალბათ, ეს ყველაზე სამართლიანი და ადეკვატური შეფასება იქნება. რა თქმა უნდა, ყველას 1986 წლის მუნდიალი და დიეგო მარადონა გაგვახსენდა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად გახარებული ვარ. ბედნიერი გახლავართ, რომ ლეო საოცარ პროგრესს განიცდის. ის ჯერაც ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული, მსოფლიო დონის ვარსკვლავია. ცხადია, გამოცდილების გაღრმავების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება და გაცილებით უკეთ ათამაშდება. მოკლედ, მესის ფენომენალური მომავალი ელის. უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, მინდა მოგახსენოთ, რომ კმაყოფილი დავრჩი. პირველ ტაიმში შესანიშნავად გამოვიყურებოდით. მეორე ნახევარში სტუმრებმა ორი გოლი გაგვიტანეს, მაგრამ ჩემმა შეგირდებმა სიტუაცია სწორად შეაფასეს და ინიციატივა დაიბრუნეს. შედეგად, სამბურთიანი უპირატესობით მოვიგეთ. ვფიქრობ, ფინალში გასვლის ჩინებული შანსი გაგვიჩნდა. ამავდროულად მოგახსენებთ, რომ "ელ კოლისეუმზე" სრული მობილიზებითა და პასუხისმგებლობით ვიასპარეზებთ. "ხეტაფემ" დღესაც დაამტკიცა, რომ მეტოქეს მოდუნებას არ აპატიებს."*

ბერნდ შუსტერი, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული დარჩა: *"მესის წინააღმდეგ მეტი პასუხისმგებლობით თამაში გვმართებდა. სამწუხაროდ, მეტისმეტად დაქსაქსულები ვიყავით. "ბარსელონას" სხვა არაფერი სჭირდებოდა. ჯერ კიდევ თამაშის წინ ვთქვი, რომ ეს გუნდი არ არის რონალდინიოზე დამოკიდებული. დეკუმ, ინიესტამ, ჩავიმ, მესიმ, ეტოომ და სხვებმა უმაღლესი დონის ფეხბურთი გვაჩვენეს. როცა ხუთ ბურთს გიტანენ მრავალი კითხვა გიჩნდება. ცხადია, დაცვა საშინლად გამოიყურებოდა. თუ გულწრფელად ვისაუბრებთ, აღმოვაჩენთ, რომ ფინალში გასვლის უკეთეს შანსს კატალონიელები ფლობენ. სამბურთიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვა ურთულესი საქმეა, თუმცა ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

# ჩემს გოლს დიეგოს ვუძღვნი

## ახალგაზრდა ვარსკვლავი ფეხბურთის გენიის ჯანმრთელობაზე ლოცულობს...

**"ბარსელონისა" და "ხეტაფეს" პირველი ნახევარფინალური შეხვედრის გმირი ჟურნალისტების ნადირობის ობიექტი აღმოჩნდა. მას თამაშზე აკრედიტირებული თითქმის ყველა კორესპონდენტი თხოვდა ინტერვიუს ჩაწერას. რომ არა "ბარსელონის" პრესსამსახურის წარმომადგენელთა ოპერატიული მოქმედება, საბრალო არგენტინელი შინ დილამდე ვერ მივიდოდა. პრესსამსახურმა სახელდახელო პრესკონფერენციის მოწყობა იოლად შეძლო.**

- რას ფიქრობდით მაშინ, როცა ბურთით კარისკენ მიქროდით?

- მოედანს გადავხედე და მივხვდი, რომ გოლის გატანის შესანიშნავი შანსი მქონდა. მართალია, იმ მომენტში ცენტრში ვიყავი, მაგრამ მოთამაშეთა განლაგება მიწყობდა ხელს. ბურთი წამოვიღე. ეტოო ფანტასტიკურად ჩაერთო შეტევაში. ის იერიშის დინამიკას გრძნობდა და თავდასხმის მეორე ხაზს მიიკვლევდა. შესაძლებლობა მქონდა, მასთან კომბინაცია გამეთამაშებინა, მაგრამ გადავწყვიტე, თავად გამეკეთებინა ყველაფერი. მოკლედ, კედელი არ გავათამაშე და წინ წავედი. მოწინააღმდეგეებს ცრუ მოძრაობით დავუსხლტი და მეკარესთან პირისპირ გავედი. ალბათ, სჯობდა, ცოტა ადრე დამერტყა, თუმცა მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა. ძალიან გამიხარდა. მგონი, მართლაც ლამაზი გოლი გამოვიდა...

**- აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, ეს ყველაფერი ულამაზესი იყო. შეგიძლიათ, თქვენი გოლი მარადონას ლეგენდარულ გოლს შეადაროთ? ვიცი, რომ თავმდაბალი ადამიანი ხართ, მაგრამ გასაოცარ მსგავსებას ყველა ვხედავთ.**

- დიეგო, დიეგოა. ის ფეხბურთის ღმერთია. ვიზუალური მსგავსება მართლაც არსებობს, მაგრამ ამ ორ ისტორიას შორის ერთი გრანდიოზული განსხვავებაცაა. ახლა ყველა აღფრთოვანებულია, თუმცა ხვალ "ხეტაფეს" კარში გატანილი გოლი აღარავის გაახსენდება. დიეგოს ბურთზე კი 21 წლის შემდეგაც აღფრთოვანებით საუბრობენ. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ "ხეტაფეს" არ ვაფასებ, მაგრამ ყველაფერს ხომ თავის სახელი უნდა დაერქვას? დიეგომ ის ბურთი ინგლისის ნაკრებთან, სამუნდიალო დაპირისპირებაში შეაგდო. ასეთ თამაშებს გაცილებით დიდი დაძაბულობა და კლასი ახლავს თან. მოკლედ, ამ ვითარებაში მხოლოდ ვიზუალურ მსგავსებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. მე ჯერაც ძალიან ბევრი რამ მაქვს სასწავლი. ბედნიერი ვარ, რომ "ბარსელონამ" განმეორებითი ნახევარფინალის წინ სერიოზული უპირატესობა მოიპოვა. გამიხარდება, თუ იტყვიან, ამ საქმეში ლეო მესის წვლილიც ურევიაო (იცინის).

**- თანაგუნდელებმა რა გითხრეს?**

- მათ ჯერ კიდევ მოედანზე მომილოცეს. ჩავიმ მითხრა, ნამდვილი დემონი ხარ, ეს რა გააკეთეო. ვუპასუხე, ენაზე იკბინე, ლუციფერს როგორ მადარებ-მეთქი (იცინის). ქრისტიანულ ოჯახში გაზრდი-

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*



ლეო მესიმ გოლი დიეგოს მიუძღვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-8 გვერდიდან

ლი კაცისთვის ასეთი ალეგორია შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ჩავის კომპლიმენტი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა თანაგუნდელებიც აღფრთოვანებულები დარჩნენ. მითხრეს, შენით ვამაყობთო. მე კი ვიტყვი, რომ კოლეგების დახმარების გარეშე ვერაფერს შევძლებდი. თუნდაც ის გოლი ავიღოთ, კაცმა არ იცის, გავიტანდი თუ არა, სამუ იქ რომ არ ყოფილიყო. მცველებს ხომ ცალი თვალი ეტოოსკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

**- საინტერესოა, ოჯახის წევრებს ან ბავშვობის მეგობრებს ხომ არ დაურეკავთ? დავინახე, რომ ტელეფონით დაახლოებით 20 წუთს საუბრობდით...**

- არა, ერთმანეთს ჯერ არ შევხმიანებივართ. ტელეფონით არგენტინის რადიოს ჟურნალისტებს ვესაუბრებოდი. აი, ხომ ხედავთ, არგენტინელი მედიელები თქვენზე ოპერატიულები არიან (იცინის). დარწმუნებული ვარ, ჩემები ნახავდნენ ამ თამაშს. როსარიოში მათ სისტემატურად აქვთ შესაძლებლობა, "ბარსას" მატჩებს ადევნონ თვალი.

**- ახლა რას გრძნობთ?**

- (იცინის) მგონი, ისე მეპყრობით, როგორც სკოლის ბავშვს. არადა, უკვე გავიზარდე. რა თქმა უნდა, სიხარულს ვგრძნობ. ჩემს ადგილზე ყველა გახარებული იქნებოდა. ხანგრძლივი ტრავმის გამო დიდი დრო გამიცდა. ახლა დაკარგულ წუთებსა და ემოციებს ვინაზღაურებ. ფეხბურთი განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს კარიერის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანეთ?**

- ჩემთვის ჩემ მიერ გატანილი ყველა გოლი ლამაზი და მნიშვნელოვანია. "ბარსელონის" ფეხბურთელები ბედნიერები არიან, რომ ესპანეთის სამეფო თასის ფინალისკენ მიმავალ გზაზე გიგანტური ნაბიჯი გადავდგით. გამარჯვება ყოველთვის დიდი ბედნიერების მომტანია.

**- სხვათა შორის, მარჯვენა ფეხით გაიტანეთ...**

- (იცინის) თქვენ გეგონათ, მარჯვენა ფეხი მხოლოდ გადაადგილებისთვის მჭირდებოდა? როგორც ნახეთ, გოლის გატანა მარჯვენითაც შემიძლია.

**- როგორი განწყობა დაგეუფლათ, როცა "ხეტაფემ" ორი ბურთი გაქვითა?**

- შემაშფოთებელ სიტუაციაში აღმოვჩნდით. მოწინააღმდეგეს აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვჯობდით, მაგრამ, მოულოდნელად, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ბუნებრივია, 3:2 განმეორებით ნახევარფინალში სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნიდა, ამიტომ შეტევა გავაძლიერეთ და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. სხვათა შორის, გულშემატკივრების მხარდაჭერამ უდიდესი სამსახური გაგვიწია. ახლა შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ. ვფიქრობ, ფინალში გასვლას შევძლებთ.

**- თქვენ "კამპ ნოუს" ახალი კერპი ხართ. ტრიბუნებზე გაღმერთებენ...**

- ხალხის სიყვარული ისეთი რამ არის, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში თან მიგყვება. გავა დრო, კარიერასაც დავასრულებ და შვილიშვილების მოსავლელიც გავხდები, მაგრამ კატალონიელთა სიყვარული არასოდეს დამავიწყდება. შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. დღეს მართლაც ყველა ჩემს სახელსა და გვარს სკანდირებდა.

**- "მალიორკასთან" მატჩში "ბარსელონა" არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. საინტერესოა, რამდენიმე დღეში ასეთი ტრანსფორმაცია როგორ განიცადეთ?**

- ჰო, "მალიორკასთან" შედარებით ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მაინც მოვიგეთ. დღეს უფრო მეტად გაგვიმართლა. მთავარი კი ის არის, რომ "ბარსელონა" პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებაში გამარჯვების საუკეთესო შანსებს ფლობს. რა თქმა უნდა, უკლებლივ ყველა დარჩენილ ორთაბრძოლას მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოვეკიდებით.

**- მარადონაზე ამდენი ვისაუბრეთ. ის კი საშინელ დღეშია და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ებრძვის...**

- დიეგო ყოველთვის კეთილად მეპყრობოდა და მაქსიმალურად მეხმარებოდა. მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება. დიეგოს მთელი არგენტინა გულშემატკოვრობს. ჩვენ მასზე ვლოცულობთ.

**- ვის უძღვნით ამ გოლს?**

- ჩემს გოლს დიეგო მარადონას ვუძღვნი. ის ახლა ავადაა და ვიცი, ძალიან გაუხარდება. ღმერთი არ მიატოვებს დიეგოსა და არგენტინას.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბომონდი

# კანის ახალი სიყვარული

## ვერენა კერთს 20 წლის ავსტრიელი მოდელი ცვლის...

როგორც ჩანს, **ოლივერ კანს** ოთხი წლის წინ გაცნობილი **ვერენა კერთიც** მობეზრდა - სწორედ ის ვერენა, ვის გამოც "ბაიერნის" კაპიტანი მაშინ ფეხმძიმე ცოლს გაეყარა. ავსტრიული გაზეთები წერენ, რომ ოლის ახალი მეგობარი გოგონა ჰყავს და რომ სულ მალე ამის შესახებ წყვილი ოფიციალურად გამოაცხადებს. თუ ჩვენს ავსტრიელ კოლეგებს დავუჯერებთ, კანი 25 წლის ვერენა კერთს შორდება. ვინ არის მისი ახალი სატრფო? დადასტურებული ჯერ არაფერია, მაგრამ ჟურნალისტების მტკიცებით, ეს გახლავთ 20 წლის ავსტრიელი **ჟასმინ მოლნარი**, რომელიც დღესდღეობით მიუნხენის ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაში მუშაობს და რომელიც 2003 წელს "მის ტიროლი" გახდა. კანს გემოვნება ნამდვილად კარგი აქვს. გეტყვით, რომ ჟასმინის პარამეტრები მოდელებისას შეესაბამება: 90-62-90. ის 1.74 მეტრი სიმაღლისაა და 53 კილოგრამს იწონის.



ოლი კანი ვერენა კერთს დაშორდა

ავსტრიული გამოცემების ცნობით, ოლიმ ეს გოგო 29 მარტს, დისკოთეკა P1-ში გაიცნო (სწორედ იქ, საიდანაც თავის დროზე ვერენა წამოიყვანა). 20 წლის ავსტრიელს ხსენებულ დისკოთეკაზე მოდების ჩვენება ჰქონდა და ეტყობა ოლის გულში მაშინვე ჩაასო ისარი. გაზეთები წერენ, რომ ამ ჩვენების შემდეგ კანი და ჟასმინი ბევრჯერ ნახეს ერთად. კერძოდ, მაშინ, როცა წყვილი ხელიხელჩაკიდებული ტოვებდა მიუნხენის ღამის კლუბ Trader Vic's-ს და სასტუმრო "ბაიერიშე ჰოფისკენ" მიემართებოდა. გარდა ამისა, ჟასმინი არაერთხელ გამოვიდა ოლის სახლიდან. ოლი და ის ერთად "კაფე რომაშიც" შენიშნეს. რესტორნის პერსონალი არაფერს უარყოფს და არც არაფერის ადასტურებს, ჩვენს კლიენტებზე არასდროს არაფერს ვამბობთო.

ე.ი. კანი ვერენას შორდება. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ბოლო დროს ერთად ველარავინ ხედავდა. კერთი წვეულებებზე ყოველთვის მარტო, ოლივერის გარეშე ჩნდებოდა ხოლმე. შეგახსენებთ, რომ მათი ურთიერთობა 2002 წელს დაიწყო - კანმა ვერენა, როგორც ზემოთაც გითხარით, იმავე დისკოთეკაზე გაიცნო, მაგრამ არა როგორც ერთ-ერთი სტუმარი, არამედ როგორც იქ მომუშავე. ამ ქალის გამო ოლიმ მეუღლე **სიმონე** მიატოვა - იმ დროს ის ფეხმძიმედ იყო. კანისა და ვერენას ურთიერთობაში კრიზისი გასულ წელს დაიწყო. ვერენამ ერთ-ერთ წვეულებაზე ახალგაზრდა კაცი გაიცნო, რომელიც უმტკიცებდა, ბერძენი მილიარდერის შვილი ვარო. თუმცა მალე გაირკვა, რომ ცრუობდა, რის გამოც ვერენას "ზაფხულის რომანი" მალევე დასრულდა. კანმა მას ეს აპატია და შეურიგდა, მაგრამ როგორც ხედავთ, მხოლოდ ცოტა ხნით.



ბარსელონა

# ტყუილია, რონალდინიო სიმულანტი არ არის

## ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ვარჯიში განაახლა, მესის გოლმა გაუჩო კინაღამ აატირა...

**რონალდინიო** "ბარსელონის" საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნდა. კატალონიური მედია გვამცნობს, რომ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა. მუშაობის დასრულების შემდეგ გაუჩომ ჟურნალისტების რამდენიმე კითხვას უპასუხა. ყოველ პასუხს საფირმო ღიმილი ახლდა თან. მედიელები თავდაპირველად საზოგადოებაში გავრცელებული ჭორით დაინტერესდნენ, თითქოს "ბარსას" სუპერვარსკვლავი დაილალა და სიმულაციის მეშვეობით რამდენიმე დღიანი შვებულება გამოიწერა. რონალდინიოს პასუხი ასეთი გახლდათ: *"არც კი მსურს, ამ უაზრობაზე საუბარი. ვისაც ეჭვი ეპარება, შეუძლია, რენტგენის სურათები ნახოს. მხარი კინაღამ მომტყდა. საშინლად მტკიოდა და ვარჯიშს უბრალოდ ვერ შევძლებდი. ამას გარდა, ფაქტობრივად, არ არსებობს სხეულის რომელიმე ნაწილი, რომელიც არ მტკიოდეს, იქნება ეს ქუსლი, ტერფი, წვივი, მუხლი, თუ მხარი. მიუხედავად ამისა, არასოდეს დამიწუწუნია. მუდამ ბოლომდე ვიხარჯები და მაქსიმუმს ვაკეთებ. მადლობა ღმერთს, სიმულაციაზე მხოლოდ სენსაციებისა და სკანდალების მოყვარული ჟურნალისტები ალაპარაკდნენ. ბოლო ტრავმა არ აღმოჩნდა მძიმე. ტკივილებმა გამიარა და იმავე წუთს სავარჯიშოდ მოვედი. მე პროფესიონალი მოთამაშე ვარ, ფეხბურთზე ჭკუა მეკეტება და სიმულაციას არასოდეს ვიკადრებ."*

ამის შემდეგ რონალდინიოს, რა თქმა უნდა, **სილვიო ბერლუსკონის** მიერ გამოთქმული 100 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნის შესახებ ჰკითხეს. ბრაზილიელი ლაკონური აღმოჩნდა: *"შეხედეთ, სად ვიმყოფები. მგონი ეს "ბარსელონის" საწვრთნელი მოედანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა ჩემი ფიქრი ამ გუნდისკენაა მიმართული. სეზონის დასკვნითი ეტაპი დაიწყო. "ბარსა" ჩემპიონი უნდა გახდეს."*

სამაგიეროდ გაუჩომ **ლეო მესიზე** ენაწყლიანად ისაუბრა. ჩვენ მხოლოდ მცირე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"ლეო გენიოსია და ამავდროულად შესანიშნავი ბიჭუნა. მართლაც ფანტასტიკური გოლი შეაგდო. სიამოვნებისგან კინაღამ ცრემლები წამსკდა. ბედნიერია გუნდი, რომელსაც ასეთი ვარსკვლავი ჰყავს. მესის გულწრფელად ვულოცავ. ასეთ გოლზე ნებისმიერი სუპერვარსკვლავი იოცნებებდა."*

ინტერი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიარა სან სიროზე?

## ნერაძურის ხელმძღვანელები მზად არიან, აფრიკელი ნახევარმცველი რეალიდან 15 მილიონ ევროდ გამოისყიდონ

"ინტერი" მომავალი სეზონისთვის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. როგორც გაუწყეთ, მილანელები **დეკუს** შესაძენად უკომპრომისო ბრძოლის დაწყებას აპირებენ. პორტუგალიელი ვარსკვლავი მათ უპირველეს სამიზნედ გამოაცხადეს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ იტალიურ გრანდს მადრიდის "რეალშიც" გაუჩნდა ინტერესი. "ლა გაძეტა დელოს სპორტის" ინფორმაციით, საქმე **მაჰამადუ დიარას** შეეხება. პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა თვით **მასიმო მორატის** განცხადება გამოაქვეყნა: *"ვფიქრობ, დიარა ჩვენს გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს. მომავალ სეზონში "ინტერის" მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება. ამიტომ შემადგენლობის გაძლიერებაა საჭირო."*

ამ ამბავს ესპანეთშიც ჰქონდა გამოხმაურება. "დიარიო ასის" ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ "ინტერის" მესვეურებმა მადრიდელი კოლეგები საქმის კურსში ჩააყენეს და კონკრეტული სატრანსფერო თანხაც დაუსახელეს. ეს თანხა 15 მილიონი ევროა. შეგახსენებთ, სამეფო კლუბმა გასული წლის აგვისტოში დიარა "ლიონიდან" 25 მილიონ ევროდ გამოისყიდა. ამის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი** შეთავაზებული 15 მილიონი ევროთი არ მოიხიბლება. მართალია, მალიელი ნახევარმცველისგან ესპანელები გაცილებით უკეთეს თამაშს ელოდნენ, მაგრამ ათმილიონიან ზარალს მაინც არავინ დათანხმდება. ასე რომ, თუ "ინტერს" საწადელის მიღწევა სურს, ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრას და მეტი ფული გადაიხადოს.

### შტუტგარტმა ეგვიპტელ ზიდანს დაუმიზნა

ის ძალიან სწრაფია და ტექნიკური, კარგად ფლობს ბურთს და რაც მთავარია, აქვს საგოლე ალღო - **მოჰამედ ზიდანი**, რომელიც ზამთარში "ვერდერიდან" "მაინცში" გადაბარგდა, ბუნდესლიგის მეორე წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. 25 წლის ეგვიპტელმა 11 თამაშში 10 გოლის გატანა მოახერხა და არცაა გასაკვირი, რომ ბევრი მსურველი გაიჩინა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ერთ-ერთი მათგანი მესამეადგილოსანი "შტუტგარტია". იმ შემთხვევაში თუ "მაინცი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება (დღესდღეობით **იურგენ კლოპის** გუნდი გასავარდნ ზონაშია), ზიდანი სულ რაღაც 3 მილიონი ევრო ეღირება. თანაც, მოჰამედი "შტუტგარტისთვის" ზედგამოჭრილი ფეხბურთელია - თავისი სათამაშო სტილით ის **მარიო გომესის** იდეალური მეწყვილე იქნება. ფაქტია, რომ თუკი შვაბები ზიდანს გადაიბირებენ, "ჰამბურგიდან" არენდის წესით აყვანილი **ბენიამინ ლაუთის** შენარჩუნებაზე აღარ იფიქრებენ და ამ ფორვარდს ისევ HSV-ში დააბრუნებენ.



კონსტანტინოს კაცურანისი

ვერდერი

# კაცურანისი ფრინგსის ნაცვლად?

## კლასნიჩს ჰანოვერი ეპატიჟება

"ვერდერის" ხელმძღვანელებმა წინა ზაფხულს ისეთი ტრანსფერები განახორციელეს, რომ გერმანული პრესა წერდა, დიდი ხნის შემდეგ პირველად მოხდა ისე, რომ "ბაიერნს" ტრანსფერებში აჯობესო. "ბრემენელი მუსიკოსების" ბოსები წელსაც სერიოზული გარიგებების გაჩარხვას გეგმავენ. მათ უკვე ამოიღეს მიზანში ლისაბონის "ბენფიკის" ბერძენი ნახევარმცველი **კონსტანტინოს კაცურანისი**. "ვერდერი" ამ ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად ორი წლის წინაც იბრძოდა, მაგრამ მაშინ ამ ტრანსფერიდან არაფერი გამოვიდა. "მუსიკოსებს" კაცურანისი **ტორსტენ ფრინგსის** შემცვლელად სურთ - როგორც იცით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ეს უკანასკნელი ზაფხულში ტურინის "იუვენტუსს" მიაშურებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კაცურანისს არაერთი მთხოვნელი ჰყავს. ესპანური "მარკა" იტყობინება, რომ საბერძნეთის ნაკრების 27 წლის საყრდენს მადრიდის "ატლეტიკო" და "ვილიარეალიც" ეპატიჟებიან.

აქვე გეტყვით, რომ "ვერდერის" ფორვარდ **ივან კლასნიჩის** გადაბირება "ჰანოვერმა" მოისურვა. "კიკერის" ცნობით, წითლებმა ხორვატ თავდამსხმელთან კონტაქტი ექსბრემენელი მცველის, **ფრანკ ფარენჰორსტის** მეშვეობით დაამყარეს. შეგახსენებთ, რომ ბრემენელები კლასნიჩს კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობენ, მაგრამ ხორვატს "მუსიკოსების" შეფებისთვის ჯერ არც ჰო უთქვამს და არც არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/2 ფინალი

# შტუტგარტი და ნიურნბერგი ბერლინისაკენ

## რატომ არ ჩაუთვალეს ვოლფსბურგს წესების დაცვით გატანილი გოლი?


შტუტგარტი თასის ფინალში გასვლას ზეიმობს

**ვოლფსბურგი–შტუტგარტი 0:1**

**ვოლფსბურგი:** იენტცში, კიროგა, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰეიდენი, ვან დერ ლეეგტე, სანტანა (88. კ. ჰილი), კრჟინოვეკი, მარსელინიო (92. კარჰანი), ბოაკი, მაკიადი (78. მიორლე).

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ოსორიო, ფერნანდო მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი (93. ბეკი), ხედირა, და სილვა (73. ბიროფკა), კაკაუ, შტრელერი (52. ლაუთი).

**გოლი:** 0:1 და სილვა (16).

**გაფრთხილება:** 1-3.

**მაყურებელი:** 28 000

**ნიურნბერგი–აინტრახტი 4:0**

**ნიურნბერგი:** რ. შეფერი, კრისტიანსენი (61. პაგენბურგი), ა. ვოლფი, გლაუბერი, პინოლა, გალაშეკი, ბოშამი (69. სპირანოვიჩი), ენგელჰარდტი, პოლაკი, საენკო (87. მინტალი), შროთი.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი, ვასოსკი, რუსი, კირიაკოსი, შპიხერი, ჰუგელი, მ. ფინკი, კიოლერი, თურკი, ჰელერი (46. ა. მაიერი), ამანატიდისი (79. ვაისენბერგერი).

**გოლები:** 1:0 ენგელჰარდტი (3), 2:0 საენკო (25), 3:0 გალაშეკი (54), 4:0 პაგენბურგი (89).

**გაფრთხილება:** 2-2.

**მაყურებელი:** 47 000

სამშაბათსა და ოთხშაბათს გერმანიის თასის ფინალისტების ვინაობა გაირკვა - 26 მაისს, ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე", იქ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ჩატარდა, ერთმანეთის წინააღმდეგ "შტუტგარტი" და "ნიურნბერგი" წარდგებიან. შვაბებმა ოთხშაბათს "ვოლფსბურგში" მინიმალური სხვაობით იმარჯვეს, "ნიურნბერგმა" კი, სამშაბათს ფრანკფურტის "აინტრახტი" გაანადგურა (4:0) და 25 წლიანი პაუზის შემდეგ, თასის ფინალში პირველად გააღწია. როცა "შტუტგარტმა" უკანასკნელად მოახერხა გერმანიის თასის მოგება (1997 წელს, ფინალში "კოტბუსი" 2:0 დაამარცხა), მაშინ შვაბთა თავკაცი **იოახიმ ლიოვი** გახლდათ, რომელიც დღეს გერმანიის ნაკრებს უდგას სათავეში. როგორც იცით, "ბაიერნი", "ვერდერი" და "შალკე" თასიდან დიდი ხანია გავარდნენ.

*"ყველანი ბედნიერები ვართ. ფინალში გასვლა ჩვენთვის ნომერი პირველი მიზანი იყო და ამ მოგებით ოცნება ავისრულეთ,"* - ეს სიტყვები "შტუტგარტის" გენერალურ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** ეკუთვნის. თუმცა აღსანიშნავია, რომ "შტუტგარტის" გამარჯვებას ხინჯი დაჰყვა - ვოლფსბურგელები ძალიან უკმაყოფილოები არიან იმის გამო, რომ მსაჯმა მათ წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. არბიტრმა 52-ე წუთზე **მარსელინიოზე** თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, არადა, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ "მგლების" ბრაზილიელი ფლეიმეიქერი ოფსაიტში არ იმყოფებოდა და რომ გოლი აუცილებლად უნდა ჩათვლილიყო.

*"კი მაგრამ რისთვის გვჭირდება ლაინსმენი? ეს ნამდვილი კატასტროფაა. ასეთი შეცდომები მილიონების ბედს წყვეტენ!"* - განრისხებულია "ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელი **კლაუს აუგენტალერი**, რომელმაც ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში ცოფები ყარა. ბედნიერების მომტანი გოლი კი, შვაბთა მხრიდან მე-16 წუთზე **ანტონიო და სილვამ** გაიტანა - ბრაზილიელმა საჯარიმო დარტყმით იხეირა, 24 მეტრიდან ბურთი ცოცხალ კედელს ლამაზად ააცილა და **სიმონ იენტცშის** კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში ჩაახვია. აღსანიშნავია, რომ "მგლების" მეკარემ ნახტომი დააგვიანა. ეს ის და სილვაა, რომელიც შვაბებმა "მაინციდან" 1.8 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინეს და უნდა ითქვას, რომ ამ ფეხბურთელს აქამდე VFB-ს მაისურით გოლი არ ჰქონდა გატანილი, რის გამოც მას მედგრად აკრიტიკებდნენ. "ვოლფსბურგს" ძირითადი თავდამსხმელები, **მაიკ ჰანკე** და **დიეგო კლიმოვიჩი** აკლდნენ, რაც აუგეს გუნდს აშკარად ეტყობოდა. ამ თამაშს, ცხადია, "ბაიერნის" შეფებმა და ფეხბურთელებმაც უმზირეს - მათ ძალიან ახარებთ ის, რომ შაბათს "შტუტგარტი" გადაღლილი წარდგება რეკორდმაისტერის წინააღმდეგ.

რაც შეეხება "ნიურნბერგს": ზემოთაც გითხარით, რომ ფრანკებმა გერმანიის თასის ფინალში 25 წლიანი შესვენების შემდეგ გააღწიეს. მეტსაც გეტყვით: "ნიურნბერგმა" თასი ბოლოს 45 (!) წლის წინ მოიგო და ახლა წარმოიდგინეთ, თუ რამდენად დიდია ამ გუნდის გულშემატკივრების სიხარული. ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ **ჰანს მაიერის** გუნდმა ფინალშიც ისე ითამაშა, როგორც "აინტრახტთან", "შტუტგარტსაც" ნირვას გამოუყვანს.

საინტერესოა ის, რომ თუკი "შტუტგარტი" და "ნიურნბერგი" ევროტურნირების საგზურებს ბუნდესლიგიდან მოიპოვებენ, ანუ, ხუთეულში მოხვდებიან (შვაბები მესამეზე არიან, ფრანკები კი მეხუთეზე), მაშინ უეფას თასზე სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე გასული გუნდიც გავა (დღესდღეობით ამ პოზიციაზე "ლევერკუზენია"), რადგან როგორც იცით, გერმანიის თასის მფლობელისთვის უეფას თასზე საგზურია გამოყოფილი.

**გოტფრიდ ლენცი**


როდრიგესი დიდი დაპირისპირების მიზეზი გახდა

დაპირისპირება

# ატლეტიკომ ფიფას უჩივლა

## საქმეს მადრიდის სასამართლო განიხილავს, დედაქალაქელებს ევროკავშირის რეგლამენტი უმაგრებს ზურგს...

"ატლეტიკომ" მუქარა სისრულეში მოიყვანა. გასული წლის ოქტომბერში "როხიბლანკოს" ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა **მაქსი როდრიგესმა** არგენტინის ნაკრებში გამართულ ამხანაგურ პაექრობაში უმძიმესი ტრავმა მიიღო. ექიმებმა მაშინ მას შვიდთვიანი იძულებითი შვებულება გამოუწერეს. მაქსი საყვარელ საქმეს ჯერაც არ დაბრუნებია. ბუნებრივია, კლუბი ამით ძალიან დაზარალდა. მადრიდელებმა სამართლის პოვნა ფიფაში სცადეს, მაგრამ უმაღლესმა საფეხბურთო ორგანომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და არგენტინის საფეხბურთო ასოციაციას არანაირი სანქცია არ დააკისრა. პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** დაიმუქრა, რომ ყველა საჭირო დოკუმენტის მომზადების შემდეგ ახლა უკვე თავად ფიფას წინააღმდეგ სასამართლოში იჩივლებდა. მართალია, "ატლეტიკოს" ადვოკატებს სარჩელის მომზადება მეტისმეტად გაუგრძელდათ, მაგრამ ნათქვამია, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ იურისტები ზარალის ზუსტი ოდენობის დადგენას ცდილობდნენ. მოკლედ, ესპანელები დაკვალიანდნენ და მადრიდის სასამართლოში საჩივარი შეიტანეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სენიორ ენრიკე სერესოს გუშინდელ განცხადებას შემოგთავაზებთ: *"საფეხბურთო სამყაროს, რა თქმა უნდა, დიდ პატივს ვცემთ. ჩვენც მისი განუყოფელი ნაწილი ვართ, მაგრამ როცა ცინიკურად გეპყრობიან, ვალდებული ხარ, საკუთარი უფლებები დაიცვა. თავიდან ბოლომდე კორექტულები და კოლეგიალურები ვიყავით. ჯერ უშუალოდ ფიფაში ვცადეთ სიმართლის პოვნა, მაგრამ იქ გვითხრეს, კანონმდებლობა ნაკრებში ტრავმირებული ფეხბურთელების გამო დაზარალებული კლუბებისთვის საკომპენსაციის გადახდას არ ითვალისწინებსო. არადა, წარმოიდგინეთ, ერთი არაფრისმომცემი ამხანაგური შეხვედრისთვის რამხელა ზარალი მოგვადგა. მაქსი როდრიგესი, ფაქტობრივად, მთელი სეზონით დავკარგეთ. ისღა დაგვრჩენოდა, მადრიდის სასამართლოსთვის მიგვემართა. დარწმუნებული ვარ, საქმეს მოვიგებთ. დიახ, ფიფას კანონმდებლობა ამგვარი კომპენსაციის გადახდას გამორიცხავს, მაგრამ "ატლეტიკოს" ევროკავშირის რეგლამენტის 81-ე და 82-ე მუხლები უმაგრებს ზურგს. ეს მუხლები უმაღლესი საფეხბურთო ორგანოს წესებს რადიკალურად უპირისპირდება. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ნებისმიერი ორგანიზაცია ამ საზოგადოების შემადგენელი ნაწილია, დიდი იმედი მაქვს, საქმეს მოვიგებთ. ბუნებრივია, ევროკავშირი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიფა. ჩვენ ხომ ევროკავშირის მოქალაქეები ვართ."*

ექსპერტები ერნიკე სერესოს მოსაზრებას იზიარებენ და ვარაუდობენ, რომ ფიფა დამარცხდება. თუ მოვლენები ამგვარად განვითარდება, საფეხბურთო სამყარო ახალი სკანდალის მომსწრე გახდება. **ბოსმანის** საქმეს უკვე უწოდეს გადატრიალება. საინტერესოა, "ატლეტიკოს" მოსალოდნელ გამარჯვებას როგორი კვალიფიკაცია მიეცემა?

ჰერტა

# ვინ წავა ბერლინში?

## მარჩელო ლიპი ლამაზი ზღაპარია...

რამდენიმე დღის წინ ზოგიერთმა გერმანულმა გაზეთმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: *"დიდი შანსია, რომ ბერლინის "ჰერტას" მთავარ მწვრთნელად ზაფხულიდან მარჩელო ლიპი დაინიშნოს. იტალიელმა მწვრთნელმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ბერლინში მოიგო და ამ ქალაქში დაბრუნება სურს."* ცხადია, ამ ცნობაში სიმართლის მარცვალიც კი არ ერია. ბერლინური კლუბის შეფების თქმით, ლიპი ზღაპარია, ლამაზი ზღაპარი. "ჰერტა" ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ მაესტრო მარჩელოს კალიბრის სპეციალისტს დაუმიზნოს, რადგან ამისათვის ბერლინელებს არც სახელი და დიდება აქვთ საკმარისი, არც ამბიციები და მით უმეტეს, არც ფული - "ჰერტა" ხომ ვალებში იხრჩობა (46 მილიონი ევრო).

ამ დღეებში გერმანული პრესა გერმანიის დედაქალაქის გუნდთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად **ფელიქს მაგათს** ახსენებდა. ეს იმიტომ, რომ გასულ უქმეებზე უმუშევრად დარჩენილმა "დესპოტმა ფელიქსმა" თქვა, "ჰერტა" დიდი გუნდია და იქ მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი პატივიაო. ცხადია, რომ ამის შემდეგ სპეკულაციები აგორდა, მაგრამ თვითონ მაგათი ყველაფერს უარყოფს: *"ბერლინიდან არავინ შემხმიანებია, კონტაქტი არავისთან მაქვს. მეტიც, მე არ ვარ დაინტერესებული "ჰერტას" განვრთნით."*

წამოტივტივდა კიდევ რამდენიმე სპეციალისტის გვარებიც. "კიკერის" ცნობით, "ჰერტას" სათავეში მისვლის რეალური კანდიდატია **თომას ფონ ჰეეზენი** - კაცი, რომელიც ცოტა ხნის წინ ბილეფელდის "არმინიიდან" გაათავისუფლეს და რომელსაც დორტმუნდის "ბორუსიის" მთავარ მწვრთნელობასაც უწინასწარმეტყველებდნენ. საუბარია ასევე "ჰერტას" ლეგენდარულ კაპიტან **კიტილ რეკდალზე** და "გალათასარაის" თავკაცი **ერიკ გერეტსზე**. ამ უკანასკნელს თურქულ გრანდში საქმეები კარგად ვერ მისდის - "გალა" "ფენერბაჰჩეს" 8 ქულით ჩამორჩება და დიდი შანსია, რომ გერეტსი ვადაზე ადრე გაათავისუფლონ. შესაძლებელია ისიც, რომ გენერალურმა მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** თანამდებობაზე დატოვოს ამჟამინდელი მწვრთნელი **კარსტენ ჰაინე**, რომელმაც **ფალკო გიოტცის** გათავისუფლების შემდეგ გუნდი დროებით, ზაფხულამდე ჩაიბარა. *"ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ბაზარს და საუკეთესო ვარიანტს ვეძებთ. მინდა, რომ ეს საკითხი მაისის ბოლომდე გადაწყდეს,"* - აცხადებს ჰიონესი.

ერთი რამ ფაქტია: რეკდალი თანახმაა, "ჰერტას" ჩაუდგეს სათავეში. ეს უკანასკნელი დღესდღეობით ბელგიურ "ლიერსს" წვრთნის და ეს გუნდი ბოლო ადგილზეა. *"ჩემი მიზანია, რომ "ჰერტას" მწვრთნელი გავხდე. ფეხბურთელობის დროს ბერლინში დიდ პატივს მცემდნენ და მინდა, რომ მწვრთნელის რანგშიც ვემსახურო კლუბს, რომელიც ძალიან მიყვარს. თუ "ჰერტას" ბოსები მართლაც მომისურვებენ, დიდხანს არ დავფიქრდები,"* - ამბობს რეკდალი.

**გოტფრიდ ლენცი**


კარსტენ ჰაინე

საქართველო
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა

# უმედლო პირველი დღე

## დღეს ბედინაძე, კვირკველია და ნოზაძე ჭიდაობენ

პირველი გვერდიდან

**ირაკლი ჭოჭუას** თავიდან ძლიერი მეტოქეები არც ჰყავდა და აკი იოლადაც გაუსწორდა მათ - თურქ **ჰუსეინ აიგუნს** ორი პერიოდის ჯამში 6:2 მოუგო, გერმანელ **სერგეი სკრიპკას**, ასევე ძირითადში - 7:5.

გუშინდელ „ლელოში“ მეოთხედფინალში მის სავარაუდო მეტოქედ აზერბაიჯანული წარმოშობის უკრაინელი **ვუგარ რაგიმოვი** ვივარაუდეთ. იმის მიუხედავად, რომ უკრაინელი ტიტულებით ვერ დაიკვეხნის, ის მაინც ჩვენებურის პირველ სერიოზულ მოწინააღმდეგედ მივიჩნიეთ. იგი არაა ტიტულოვანი მოჭიდავე, რადგან ეროვნულ გუნდში გამოსვლის დიდი სტაჟიც არ გააჩნია, მაგრამ ბოლო წლებში სტაბილურობით კი გამოირჩევა და მუდამ ლიდერთა ახლოს ტრიალებს. სამწუხაროდ, ჩვენი შიში ახდა - რაგიმოვმა ორივე პერიოდი დამაჯერებლად მოუგო ჭოჭუას და ნახევარფინალში გავიდა. არადა, ზუსტად იმავე ეტაპზე რუსმა **ზაურ კურამაგომედოვმა** შარშანდელი ფინალისტი, მასპინძელი **ვენელინ ვენკოვი** დაამარცხა, ანუ ჩემპიონატს გამოკვეთილი ფავორიტი ჩამოაცილა, რაც დანარჩენების შანსებს ზრდიდა... ჭოჭუას მარცხი იმითაცაა გულსატკენი, რომ თუნდაც იმ შეხვედრის მოგებით ნახევარფინალში გადიოდა, იქ კი რომც წაეგო, სანუგეშო ტურნირში გადაერთვებოდა. ახლა მისი ხსნა ისევ რახიმოვს შეეძლო ფინალში გასვლით, მაგრამ კურამაგომედოვთან დამარცხდა და ჭოჭუაც გავარდა.

ამ წონაში ნამდვილად ტალანტად გველინება აზერბაიჯანელი **როვშან ბაირამოვი**, რომელმაც ჩემპიონატი შთამბეჭდავი სხვაობით - 52: 5 მოიგო! ცხადია, შეხვედრათა უმეტესობაში წმინდად იმარჯვა. იგი ჯერ 20 წლისაც არაა, მაგრამ მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და ევროპის მესამე პრიზიორია, წლეულს კი ამ მედლებს პირველი ტიტული მიუმატა. ეჭვი არაა, ამაზე არ შეჩერდება.

გუშინ ქართველთაგან ყველაზე უკეთ **მუხრან მაჭუტაძე** გამოვიდა, რომელსაც მედლამდე ერთი მოგება დააკლდა. ვფიქრობთ, მას ურიგოდ არ უჭიდავია. განსაკუთრებით ძლიერად საწყისი სამი ბრძოლა ჩაატარა და ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა - სამივე ძირითად დროში მოიგო. ნორვეგიელ **რობერტ როსენგრენს** 11:0 სძლია (მეორე პერიოდი ქულათა დიდი უპირატესობით სულაც წმინდად მოუგო), ფინელ **იუჰა ჰილტუნენს** - 5:0 და ლიტველ **ედგარას ვენსკაიტისს** - 6:0 (აღსანიშნავია, რომ ლიტველმა მანამ ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ასევე ბრინჯაოსმედალოსანი, რუსი **სერგეი კოვალენკო** დაამარცხა). სამ შეხვედრაში - 22:0! დაგვეთანხმებით, ესეც ჩინებული შედეგია, თუმცა ეს შესანიშნავი მაჩვენებელი ევროპის შარშანდელმა უკრაინელმა პრიზიორმა, აწ უკვე კონტინენტის ვიცე-ჩემპიონმა **ალექსანდრ ხვოშჩმა** გააუფერულა. მაჭუტაძემ მასთან პირველი პერიოდი პირწმინდად დათმო - 1:4. მეორეში მდგომარეობის გამოსწორება კი სცადა, მაგრამ იქ ყველაფერი მონეტამ და ბოლო ქულის წესმა გადაწყვიტა. პერიოდი 1:1 დამთავრდა, მაგრამ ბოლო ქულამ საბოლოო წარმატება ხვოშს მოუტანა. საუბედუროდ, განვლილ შეხვედრათა სტატისტიკა მომავალ ბრძოლებში ვერაფრით გეხმარება და არც ჩვენებურს წაადგა ქულათა მარაგი.



მუხრან მაჭუტაძე (მარცხნივ) მესამე ადგილისთვის ბრძოლაში

მაჭუტაძე პირდაპირ გადავიდა სანუგეშოს ფინალში, სადაც მასთან შეხვედრის უფლება გერმანელმა **მარკო ტაეტნერმა** მოიპოვა. დიდ ასპარეზზე ორივე ახალგაზრდა ეს-ესაა გამოდის და გამოცდილებით ვერც ერთი დაიკვეხნის, მაგრამ მაჭუტაძის ჩატარებული ბრძოლები ოპტიმიზმის იმედს გვიტოვებდა. სამწუხაროდ, იგი ცოტა დაბნეული და ნირწამხდარი ჩანდა ხალიჩაზე... ალბათ, ამის შედეგია, რომ ორივე პერიოდი წააგო - ჯამში 3:7 და უმედლოდ დარჩა.

ბადრი ხასაიას რომ წილისყრამ არ გაუმართლა, გუშინვე ვწერდით. თავად განსაჯეთ, ევროპის შარშანდელი პირველობის ოთხივე მედალოსანი მის ქვეჯგუფში მოხვდა. ამათგან, მასთან შეხვედრამდე მხოლოდ რუსი ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ალექსეი მიშინისა** და ფრანგ **მელონენ ნუმონვის** გზები იკვეთებოდა, დანარჩენებს კი ფინალში გასასვლელად პირადად უნდა შებრძოლებოდა. ხასაიამ ეს ამოცანა წარმატებით მხოლოდ რუსეთიდან სომხეთში გადასულ **დენის ფოროვთან**, ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონთან გადაჭრა - ძირითად დროში 4:2 მოუგო, მაგრამ მერე თურქ ევროპის ორგზისა და მსოფლიო ჩემპიონ **ნაზმი ავლუჯასთან** დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ხასაიამ ორივე პერიოდი 1:1 ანუ ბოლო ქულით წააგო. მას მცირე შანსი კიდევ რჩებოდა, თუ თურქი ფინალში გავიდოდა, მაგრამ ავლუჯა მომდევნო წრეშივე დამარცხდა ევროპის შარშანდელ ჩემპიონთან, პოლონელ **არტურ მიხალკევიჩთან** და ხასაიაც გავარდა. საბოლოოდ ამ ქვეჯგუფიდან ფინალში მიშინი გავიდა, რომელმაც ნახევარფინალში მიხალკევიჩს ორივე პერიოდი მოუგო - 7:3 და მერე მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ახლა მის კოლექციას მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი აკლია.

დღეს საქმეში მორიგი ქართული ტრიო ჩაებმება. გუშინ გამართული წილისყრით მათი მეტოქეებიც გაირკვნენ.

ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **დავით ბედინაძე** (60) კონტინენტის 2004 წლის ვიცე-ჩემპიონს, სერბ **დავორ სტეპანეკს** ხვდება. თუ ამას მოუგო, მეორე წრეში აზერბაიჯანელ **ფუად ალიევსა** და **რუს ისლამბეკ ალბიევს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. თუ ამათ მოუგებს და ნახევარფინალში გავა, იქ მისი მეტოქე ესპანელი **ალბერტო მარტინესის**, ბულგარელი **ემილ მილევის**, ავსტრიელი **იოჰანეს ლინბახერისა** და ბერძენ **ხრისტოს გიკასის** კვარტეტის ბრძოლებში გამოვლინდება. ამათში ტიტულოვანი მხოლოდ ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი ალიევია. რაც მთავარია, არ ჭიდაობს მასპინძელთა ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოსა და ოლიმპიადის სამ-სამგზის ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი**.

მსოფლიო ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** (74) დიდად ნამდვილად არ გაუმართლა. მისი პირველი მეტოქე **ანდრეი აფანასიევია**, ამათ შორის გამარჯვებული კი უნგრელ **ანდრეას ჰორვატსა** და უკრაინელ **დმიტრი პიშკოს** შორის მოგებულს ხვდება. იქ წარმატება უკვე მეოთხედფინალის საგზურია, რისი მოპოვებაც კვირკველიას არ უნდა გაუჭირდეს, აი, იქ კი, სავარაუდოდ, სერიოზული მეტოქეები ელიან - მეორე მხრიდან ფინელი მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიადების არაერთგზის მედალოსანი **მარკო ილი-ჰანუკსელა** და შვედი მსოფლიო ჩემპიონი (ოღონდ ქვედა წონაში) **ჯიმი სამუელსონი** მოდიან. ოღონდ ესენი, წესით მერვედფინალში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ ფინელმა კვირკველიას შარშან მსოფლიოზე მოუგო.

**რამაზ ნოზაძე** (96) პირველ წრეში ნორვეგიელ **ფრიც აანსენს** ხვდება. ალბათ, გახსოვთ ეს ვიკინგი - სიდნეის ოლიმპიადაზე **მუხრან ვახტანგაძემ** ბრინჯაოსთვის ბრძოლა მას მოუგო. იმის შემდეგ სკანდინაველმა დოპინგსკანდალში გახვევაც მოასწრო (სიდნეიშივე ჩავარდა) და ზედა წონაში ანაცვლებაც. იგი ნოზაძის სადარი მეტოქე არაა. ძლიერთაგან ცხრილის ამავე ნახევარში მასპინძელი **კალოიან დინჩევი**, ესტონელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჰეიკი ნაბი**, რუსი ევროპის ჩემპიონი **ვასილ ტეპლოუხოვი** და სომეხი **არმენ გეგამიანი** მოხვდნენ.

| 55 კგ. |
| --- |
| 1. როვშან ბაირამოვი (აზერბაიჯანი) |
| 2. ზაურ კურამაგომედოვი (რუსეთი) |
| 3. კრისტიან ფრისი (სერბია) |
| 3. ვუგარ რახიმოვი (უკრაინა) |
| 8. ირაკლი ჭოჭუა (საქართველო) |

| 66 კგ. |
| --- |
| 1. ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი) |
| 2. ალექსანდრ ხვოშჩი (უკრიანა) |
| 3. რეფიკ აივაზოღლუ (თურქეთი) |
| 3. მარკუს ტაეტნერი (გერმანია) |
| 5. მუხრან მაჭუტაძე (საქართველო) |

| 84 კგ. |
| --- |
| 1. ალექსეი მიშინი (რუსეთი) |
| 2. იან ფიშერი (გერმანია) |
| 3. მელონენ ნუმონვი (საფრანგეთი) |
| 3. ანდრეა მინგუცი (იტალია) |
| 14. ბადრი ხასაია (საქართველო) |

| 120 კგ. |
| --- |
| 1. ჰასან ბაროევი (რუსეთი) |
| 2. დევიდ ვალა (ჩეხეთი) |
| 3. ისმაილ გიუზელი (თურქეთი) |
| 3. იალმარ შოგერგი (შვედეთი) |

კრივი

### სარეიტინგო ორთაბრძოლები

## ოთხივე უნოკაუტოდ

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციამ გუშინ მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართა. ოთხი შეხვედრიდან, ერთი ექვსრაუნდიანი იყო, დანარჩენები კი ოთხიანები. ყველა ორთაბრძოლაში ქულებით გამარჯვება დაფიქსირდა.

54 კილოგრამში, **კახა ავეტისიანისა** და **თეიმურაზ საბაშვილის** შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და დრამატული გამოდგა. ორივე მოკრივემ საკმაოდ აგრესიულად იჩხუბა, საგრძნობი უპირატესობა არცერთს ჰქონია, მაგრამ როდესაც ქულების დათვლაზე მიდგა საქმე, ავეტისიანს ოდნავი უპირატესობა აღმოაჩნდა და გამარჯვებაც მას დარჩა.

დაახლოებით იგივე სურათი ვიხილეთ **ბექა საჯაიასა** და **გიორგი კურტანიძის** (62 კგ) დაპირისპირებაში. ექვსრაუნდიან ბრძოლაში, ქულებით გამარჯვება საჯაიას დარჩა. ამავე წონაში, საინტერესოდ წარიმართა **დავით ინასარიძისა** და **ბაჩი კვარაცხელიას** ჩხუბი. მართალია, ფიზიკურად კვარაცხელია უფრო ძლიერი ჩანდა, მაგრამ ინასარიძე უფრო სხარტად მოძრაობდა რინგზე და სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა ფონს გასვლას. ბოლო რაუნდში, ორივეს აშკარად დაეტყო დაღლა. საბოლოოდ, მცირე უპირატესობით ინასარიძემ მოიგო.

ყველაზე თვალსაჩინო და ტემპიანი ბრძოლა 72 კილოგრამში ვიხილეთ. **პაატა ვარდუაშვილმა** და **გიორგი ზალკალიანმა** ოთხი რაუნდი დაუნდობლად ურტყეს ერთმანეთს. ნოკაუტი არც აქ ყოფილა. ქულებით ვარდუაშვილმა იმარჯვა.

**კობა ხატისაშვილი**

## ჯერ უკრაინა, მერე ჩემპიონატი

**ჰოკეი.** საქართველოს ნაკრები ყინულის ჰოკეიში სულ მალე პირველ ტესტმატჩს გამართავს უკრაინაში, შემდეგ კი დაიწყება საქართველოს პირველი ეროვნულ ჩემპიონატი. 29 აპრილს დნეპროპეტროვსკში უკრაინის ნაკრები საქართველოს ნაკრებს უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ იმ დღეებში რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატი იმართება, საქართველოს ნაკრებს ის უკრაინელი ჰოკეისტები დაუპირისპირდებიან, ვინც მთავარ ნაკრებში მოხვედრას ვერ შეძლებს. ამის მიუხედავად პირველ ტესტმატჩში უკრაინელები აშკარა ფავორიტები იქნებიან. შინ დაბრუნებული ქართველი ჰოკეისტები კლუბებში გადანაწილდებიან და საქართველოს ჩემპიონატში ჩაერთვებიან.

**ნ. ნ.**

რაგბი

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრების ფიზმომზადებაზე ამიერიდან ფრანგი სპეციალისტი ნიკოლა ფულკიე იზრუნებს. ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბში რეკომენდაცია მას ნაკრების კონსულტანტმა ანრი ბრონკანმა გაუწია. ცხადია, ახალი კაცის გამოჩენა გუნდში ბევრ სიახლეს მოიტანს, შესაბამისად რაგბის ქომაგებისთვის საინტერესოა, ვინ არის ნიკოლა ფულკიე.

### ინტერვიუ ნიკოლა ფულკიესთან

# ძლიერები, თავდაუზოგავები და ამტანები

## ქართველებს კარგად ვიცნობ, ჯერ კიდევ გია რაფავასთან მიმუშავია

- უკვე 15 წელიწადზე მეტია ფიზმომზადების მწვრთნელი ვარ - გვიამბობს ფულკიე, რომელსაც გუშინ ტელეფონით ვესაუბრეთ, - ძირითადად რაგბის კლუბებთან ვთანამშრომლობ. ბევრი გუნდი გამომიცვლია და გამოცდილებაც საკმაოდ დამიგროვდა. ახლახან ჩემი ნაშრომი ბუკლეტის სახით გამოვეცი და საქართველოს რაგბის კავშირს საჩუქრად გამოვუგზავნე.

**– თქვენ აქამდე "გრენობლში", "ბორდოსა" და "მონპელიეში" გიმუშავიათ. ამ გუნდებში ბევრ ქართველ მორაგბეს უთამაშია. გამოდის, ქართველებს კარგად იცნობთ.**

– ქართველებს ძალიან კარგად ვიცნობ. ვიცი მათი შესაძლებლობები. ისინი ფიზიკურად ძალიან ძლიერები და რაც მთავარია, თავდაუზოგავები არიან. შესაშურია მათი ამტანობა და მოთმინების უნარი. პირველი ქართველი მორაგბე ვისაც ცხოვრებაში შევხვდი, გია რაფავა იყო - უზარმაზარი ძალის პატრონი და უცნაურზე უცნაური კაცი. როცა უნდოდა სვამდა, როცა უნდოდა ეწეოდა, არაფერზე უარს არ ამბობდა. არადა, მას მაღალ დონეზე შეეძლო რაგბი ეთამაშა.

ძალიან კარგი მონაცემები აქვს ამჟამად "მონპელიეში" მოთამაშე მამუკა გორგოძეს. თუმცა არ გაუმართლა, ცუდი მწვრთნელი შეხვდა. ვეუბნებოდი, არ მოაწერო კონტრაქტს ხელი "მონპელიესთან", მაგრამ არ დამიჯერა. ჰოდა ზის ახლა და სკამს ხეხავს. არადა ელიტურ პირველ დივიზიონში, ამჟამად ერთერთი გამორჩეული ფიგურა უნდა იყოს. რამდენადაც ვიცი, ამ გუნდთან სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და იმედი მაქვს, გაცილებით კარგ გუნდში გადავა.

**- საქართველოს ნაკრებში როგორ აღმოჩნდით?**

- ბოლოს "მონპელიეში" ვმუშაობდი. სწორედ ამ გუნდის მთავარ მწვრთნელთან უთანხმოების გამო სეზონის წინ კლუბი დავტოვე. მას შემდეგ უმუშევარი ვიყავი. ჩემი ავტობიოგრაფია კლუბებს დავუგზავნე. რამდენიმე კვირის წინ "ოშის" მწვრთნელი ანრი ბრონკანი დამიკავშირდა და მითხრა, საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე რას ფიქრობო. ბევრი არ მიფიქრია. ნაკრებთან მუშაობა, მით უფრო ისეთთან, რომელიც მსოფლიო თასის მონაწილეა, ნებისმიერი მწვრთნელისთვის საინტერესოა.

**- ანრი ბრონკანს დაუსწრებლად სარაგბო გაზეთ "მიდი ოლიმპიკში" მის მიერ გამოქვეყნებული ქრონიკებიდან ვიცნობთ. ის ახლა საქართველოს ნაკრების კონსულტანტია. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ სპეციალისტს?**

- ანრი უნიკალური ადამიანია. ის უსაზღვროდაა შეყვარებული რაგბიზე. მთელი თავისი სიცოცხლე ამ თამაშს მიუძღვნა. ძალიან უბრალო, ღია და ხალისიანი ადამიანია. სნობიზმი მისთვის სრულიად უცხო რამაა. თავისებური, სხვებისგან გამორჩეული მუშაობის სტილი აქვს. გადაწყვეტილებებს ყველასთან, გუნდთან ერთად, დისკუსიის შემდეგ იღებს. ერთი სიტყვით, "ჯადოქარი" დემოკრატიის განსახიერებაა. ეს მშვენიერი თვისებაა, რაც მას მიზნის მიღწევას ყოველთვის უადვილებს. ვფიქრობ, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა სწორი არჩევანი გააკეთეს, როცა კონსულტაციებისთვის მას მიმართეს. მისი ცოდნა საქართველოს ნაკრებს დიდად წაადგება და მეც კმაყოფილი ვარ, რადგან ვიცი, ამ საინტერესო ადამიანისგან მუშაობის პროცესში ბევრ სასარგებლოს ვისწავლი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. 23-ე ტური

# ფრთხილად, ბომბია!

19 აპრილი. ვერის ბაღი

**სტუ-ავიამშენი 73:85**

17:28, 15:21, 18:18, 23:18

სტუ: ეძგვერაძე, სეფისკვერაძე (2 ქ), ბერაია (9 ქ), კოხრეიძე (18 ქ. 5 მ. 6 პ), ძიძიგური, მაისურაძე (9 ქ. 6 მ), დევიძე, ახალკაცი (19 ქ. 5 მ. 5 ფ), ბარბაქაძე (7 ქ. 3 პ), ლ. ნოზაძე (9 ქ)

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (14 ქ), ბაბიაშვილი (25 ქ. 8 მ), ხოშტარია (5 ქ. 3 პ), ნიკოლაძე (15 ქ), ი. ბერიშვილი (7 ქ. 3 პ), ნინიაშვილი (2 ქ), როდუმტა (11 ქ. 8 მ), სუხიშვილი (2 ქ), კვიმსაძე (4 ქ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, მ. ანდღულაძე

**მაკაბი-აზოტი 66:96**

20:27, 13:23, 15:21, 18:25

მაკაბი: დოლიძე (6 ქ), ხორავა, ჯგერენაია (7 ქ. 5 მ), ვაშაკიძე (15 ქ), კორკოტაძე (6 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), ს. შერმადინი (25 ქ. 17 მ), პირველაშვილი (7 ქ. 3 პ), გამცემლიძე

ავიამშენი: ლიპარტელიანი (9 ქ. 3 ჩ), ბეჟანიშვილი (13 ქ), ბოისა (6 ქ. 5 მ. 3 ჩ), დიდია (15 ქ. 5 მ), ცეკვავა (6 ქ. 6 პ), მარკოიშვილი (9 ქ), უგრეხელიძე (8 ქ), ტუჯანი (6 ქ), ჭოჭუა (15 ქ. 5 პ), მინაშვილი (7 ქ), მალოშევიჩი (2 ქ. 9 პ)

მსაჯები: დ. არეშიძე, ხ. გაბედავა

**დინამო-თსუ 86:83**

23:21, 14:27, 23:16, 26:19

დინამო: გულისაბედაშვილი (11 ქ), ბადრიძე (8 ქ), ლაფანაშვილი (6 ქ), სიგუა (10 ქ. 6 პ. 4 ჩ), მურჯიკნელი (10 ქ), გვიმრაძე (15 ქ. 8 მ. 5 პ), ფაიქრიძე (3 ქ), ნ. ნოზაძე (10 ქ. 3 ჩ), კოლუაშვილი (13 ქ. 9 მ. 3 პ)

თსუ: არწივიძე, ბ. ბერიშვილი (17 ქ. 6 პ. 5 ჩ), ფანჩულიძე (1 ქ), მარხვაშვილი (2 ქ), ვეფხვაძე (11 ქ. 7 მ. 6 პ), შანიძე (21 ქ), მათიაშვილი (11 ქ. 9 მ. 5 პ), ხეცურიანი (7 ქ. 3 პ), მ. ბერიშვილი (3 ქ. 5 მ), ტყეშელაშვილი (4 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 23 | 22 | 1 | 45 |
| 2. ავიამშენი | 23 | 17 | 6 | 40 |
| 3. თსუ | 23 | 14 | 9 | 37 |
| 4. დინამო | 23 | 7 | 16 | 30 |
| 5. სტუ | 23 | 6 | 17 | 29 |
| 6. მაკაბი | 23 | 3 | 20 | 26 |

**ხვალ**

12:00 სტუ-დინამო
14:00 თსუ-მაკაბი
16:00 ავიამშენი-აზოტი

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, პრაქტიკულად, ფლეი ოფის ყველა მონაწილე გაირკვა: ნახევარფინალებში თსუ "ავიამშენს" და "აზოტი" "დინამოს" დაუპირისპირდება.

ეს პრაქტიკულად. თეორიულად კი, მაინც არსებობს "დინამოს" ფლეი ოფს მიღმა დარჩენის შანსი. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ **ზაზა ცაგარეიშვილის** გუნდი რეგულარულის ბოლო ორ მატჩს წააგებს, ჯერ - სტუ-სთან, შემდეგ - "მაკაბისთან", რაც, ჩემი აზრით, აბსტრაქციის სფეროდანაა. რატომ? იმიტომ რომ დინამოელებმა გუშინ კბილებალესილი თსუ ღირსეულ ბრძოლაში დაამარცხეს და ძნელი სავარაუდოა, ბოლო ტურში თუნდაც "მაკაბის" ძლევა გაუჭირდეთ.

იბადება კიდევ ერთი კითხვა - როგორ მოახერხა "დინამომ" თსუ-ს დამარცხება?

პასუხისთვის მატჩის მიმოხილვის ბოლომდე წაკითხვა მოგიწევთ. დიღმელთა მწვრთნელმა, ზაზა ცაგარეიშვილმა სასტარტო ხუთეულში ოთხი წამყვანი კალათბურთელი არ დააყენა - **დავით გვიმრაძე, ლექსო ლაფანაშვილი, ნიკო ნოზაძე და ზურაბ ბადრიძე**. მათ ნაცვლად მოედანზე **ნოდარ სიგუა, ირაკლი გულისაბედაშვილი, ოთარ ფაიქრიძე, დავით მურჯიკნელი** და **ვიქტორ კოლუაშვილი** შეუშვა. ექსპერიმენტულმა შემადგენლობამ თსუ-ს იერიშებს 14 წუთი გაუძლო და "დინამოს" რიგებში პირველი შეცვლა მაშინ განხორციელდა, როცა სტუდენტები 3 ქულით წინ გაიჭრნენ.

თსუ-ს რიგებს დაუბრუნდნენ სტუ-სთან დასვენებული **რიჩარდ მათიაშვილი** და **შიო ხეცურიანი**. მეორე პერიოდში სწორედ მათი აქტიურობა გახდა **ნუგზარ ჭეიშვილის** გუნდის წინ გაჭრის საფუძველი. რიჩარდი თანაგუნდელთა შორის მართლაც გამორჩეული იყო - საბოლოოდ 11 ქულა, 9 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, თუმცა ხუთი ფოლის გამო ბოლო წამებზე თანაგუნდელებს ვერ მიეხმარა. იგი მოედნიდან სირენამდე 1,24 წუთით ადრე გავიდა, როცა ტაბლოზე "დინამოს" სასარგებლოდ 79:76 ენთო. მთავარი მოვლენები სწორედ მას შემდეგ განვითარდა. მოვიშველიოთ ქრონოლოგია:

**01:24** სტუდენტი რიჩარდ მათიაშვილი შეტევაში დაჯარიმდა ვიქტორ კოლუაშვილზე (დინამო), რომელმაც ორიდან ერთი ტყორცნა გამოიყენა (80:76).

**01:01** ლექსო ლაფანაშვილის (დინამო) პასის შემდეგ ვიქტორ კოლუაშვილმა ეფექტურად ჩატენა (82:76).

**00:45** ნიკო ნოზაძემ (დინამო) ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო (83:76).

**00:35** თსუ-ელმა ბესიკ ლეჟავამ სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა (84579).

**00:24** დინამოელ ნოდარ სიგუას ერთ ზუსტ საჯარიმოს ლეჟავამ ორით უპასუხა (85:81 - "დინამოს" სასარგებლოდ).

**00:15** ლექსო ლაფანაშვილმა ორივე საჯარიმო გააცუდა.

**00:10** თსუ-ელმა ნიკა ვეფხვაძემ ორი საჯარიმო გამოიყენა და სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანა (85:83).

**00:09** ნოდარ სიგუამ ერთი საჯარიმო ჩააგდო (86:83).

**00:02** თსუ-ს მხრიდან ანგარიშის გათანაბრების შანსი ლუკა შანიძეს მიეცა, მაგრამ პერიმეტრიდან მისი ნატყორცნი მიზანს ასცდა.

აი, ასე მოიგო "დინამომ" - 86:83.

ტურის მოთამაშის გამორჩევა ძალიან გაგვიჭირდა. იყო ორი კანდიდატი - **ვიქტორ კოლუაშვილი** და **დავით გვიმრაძე**. მათგან საუკეთესო სტატისტიკის მოხმობის გარეშე ვერ გამოვარკვიეთ: კოლუაშვილმა 35 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. ხოლო დათომ 26 წუთში - 15 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა.

მოვუსმინოთ ტურის MVP-ს, გვიმრაძეს.

- თსუ-სთან "დინამომ" სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. გუნდური თამაში ვუჩვენეთ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. დღეს გამოჩნდა, რომ თამაშიც შეგვიძლია და გამარჯვებაც.

**- თსუ-სთან ბოლო წამებზე ორი მატჩი გაქვთ წაგებული.**

- ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან უკანასკნელ წუთებზე მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ განვითარდებოდა. საბედნიეროდ, ეს დღეს მოხდა და ფლეი ოფს ძალიან დავუახლოვდით.

**- ნახევარფინალში "აზოტი" გელით...**

- რუსთაველებამდე ერთი ნაბიჯია. ჯერ სტუ ან "მაკაბი" უნდა დავამარცხოთ. ძალიან მინდა რეგულარული ჩემპიონატის ჩარჩენილი ორი მატჩი მოვიგოთ...

გუშინ დარჩენილ ორ მატჩში ფავორიტებმა ლოგიკური შედეგი დააფიქსირეს.

"ავიამშენმა" სტუ-ს სძლია, ხოლო "აზოტმა" - "მაკაბი". ტურის ფრაზაც "მაკაბის" მწვრთნელის, **ჯამლეტ ხუხაშვილისგან** მოვისმინეთ - წარმოიდგინე, რომ საჯარიმოში ბომბია, ჰოდა, ეცადე მეტოქის კალათს პერიმეტრიდან შეუტიო! - ასე მიმართა მან **გიორგი პირველაშვილს**.

ამ უწყინარი შეხვედრის შემდეგ პირველივე რიგში "აზოტის" სერბი ახალწვეული **ბოიან მალოშევიჩი** წყნარად მოკალათდა, თან ქუდი ჩამოიმხო, თუმცა არა მგონია, ეს იმიტომ გააკეთა, რომ მოედანზე გახედვა აღარ უნდოდა.

**- ჩვენი ჩემპიონატის დონეზე რა აზრი ჩამოგიყალიბდა?**

- აბა, რა გითხრა?..

**- მაშინ კითხვას ასე შევაბრუნებ. ირანის ჩემპიონატს ძალიან ჩამორჩება?**

- სპარსეთში ბევრი ლეგიონერია. უმეტესობა მაღალი დონისაა, რაც იქაურ პირველობას ქართულისგან გამოარჩევს.

**- პოლონეთში და ლატვიაშიც გითამაშია. იქაური პირველობები ჩვენზე გაცილებით მაღალია?**

- უბრალო მაგალითებს მოვიყვან. პოლონეთის კლუბები ევროლიგაზე, ულების თასსა და ევროთასზე წარმატებით ასპარეზობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მაღალი დონის ჩემპიონატი აქვთ. პოლონეთის პირველობა ევროპაში საშუალოზე მაღალია. ლატვიელები კი ბალტიის ლიგაში გამოირჩევიან, იქ, სადაც ევროპის ტოპ-კლუბები ასპარეზობენ - "ჟალგირისი", "რიტასი"... მათზე დიდ გავლენას ახდენს შესანიშნავი საკალათბურთო სკოლა და ტრადიციები.

**- ქართული პირველობის დონით უკმაყოფილო ხომ არა ხარ?**

- არა. აქ ერთი-ორი ძლიერი გუნდი თამაშობს. ჩვენთან, "აზოტში" საქმეს ევროპულად უდგებიან. თანაც, რუსთაველთა შორის ეროვნული ნაკრების რამდენიმე კალათბურთელია. ვფიქრობ, ფლეი ოფებიდან მატჩები ერთი-ორად სანახაობრივი გახდება.

ვაჟა სიმონიშვილი



დინამო-თსუ. ვიქტორ კოლუაშვილის (20) შეტევა



ბურთით ზურაბ ბადრიძე (დინამო)

კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზი

## ყველა ვარსკვლავის მატჩის გამართვის პროგრამა და განრიგი

28 აპრილს, ვერის ბაღში მდებარე საკალათბურთო დარბაზში გაიმართება "ყველა ვარსკვლავის" რიგით მეხუთე მატჩი, რომელშიც ერთმანეთს **დავით უსტიაშვილისა** და **ლევან მოსეშვილის** გუნდები დაუპირისპირდებიან.

დავით უსტიაშვილის გუნდი შეირჩა "აზოტის", "დინამოსა" და "მაკაბის" წევრებისგან, ხოლო ლევან მოსეშვილის გუნდში მოხვდნენ "თბილავიამშენის", თსუ-სა და სტუ-ს მოთამაშეები.

სასტარტო ხუთეულის წევრები საინტერნეტო გამოკითხვის შედეგად შეირჩა, ხოლო 7-7 სათადარიგო გუნდების მწვრთნელებმა დაასახელეს.

მატჩის სავარაუდო ქრონომეტრაჟი შეადგენს 2 საათს.

გთავაზობთ აღნიშნული აქციის განრიგს

1. გახსნა
2. მოცეკვავეთა ნომერი (3-5 წუთი)
3. I მეოთხედი
4. შესვენება - სამქულიანების კონკურსის შესარჩევი ეტაპი
5. II მეოთხედი
6. დიდი შესვენება - ჩატენვების კონკურსი
7. მედოლეთა ნომერი
8. წინალობების დაძლევა და გამარჯვებულის დაჯილდოვება
9. III მეოთხედი
10. შესვენება - სამქულიანების ფინალი და დაჯილდოვება
11. IV მეოთხედი
12. ჩატენვების ფინალი და დაჯილდოვება
13. მატჩის საუკეთესო მოთამაშის დასახელება და დაჯილდოვება



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

ფედერაციის თასი

# ერთი მოგება პირველ ჯგუფამდე!

გუშინ შორეულ მავრიკეთში საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა ფედერაციის თასის მატჩში წარმატებით იასპარეზა და პროგრამა მინიმუმი შეასრულა - გაისად ამავე დონეზე, ევროაფრიკის მეორე ჯგუფში თამაშის უფლება დაიბევა. ჩვენებს დღეს მეტის მიღწევა ანუ პირველ ჯგუფში გადასვლაც შეუძლიათ, ამისთვის კი სამხრეთაფრიკული ნაკრების დამარცხებაა საჭირო.

გუშინ B ჯგუფის უკანასკნელი ტურის მატჩში საქართველოს ნაკრებმა 2:0 დაამარცხა ბოსნია-ჰერცეგოვინის ეროვნული ნაკრები და მეორე ადგილი გაინაღდა. აფრიკელებმა მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს და ასე შეიქნენ ჩვენი მეტოქეები პირველი ზონის ერთ-ერთი საგზურისთვის ბრძოლაში.

კორტზე პირველები, ტრადიციულად, ნაკრებთა მეორე ნომრები გავიდნენ. მართალია, რეიტინგით **ეკა გორგოძე ოქსანა კალაშნიკოვაზე** წინაა, თუმცა 16 წლის კალაშნიკოვა ასაკითაც უფროსია და შესაბამისად, საერთაშორისო ასპარეზების გამოცდილებაც მეტი აქვს. ასე რომ, მსოფლიოს 918-ე ჩოგანი (ახალგაზრდებში - 33-ე) კალაშნიკოვა 19 წლის **დიანა სტოჟიჩს** (793) დაუპირისპირდა. ოქსანამ მატჩის ბედი უმალ, ორ სეტში გადაწყვიტა - 6:2, 6:3. ამის შემდეგ კორტზე ნაკრების ლიდერი **მაკა ჩახნაშვილი** (145) 27 წლის **სანდრა მარტინოვიჩს** (302) დაუპირისპირდა. მართალია, მას გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა, ვიდრე კალაშნიკოვას, მაგრამ მავრიკეთში მაკა უფრო მძიმედ თამაშობს, რაც ახლადმოშუშებული ტრავმის ბრალი უნდა იყოს. მნიშვნელოვანი შეხვედრის ბედი ტაი-ბრეიკით გადაწყდა, რომელშიც მაკა ჩახნაშვილმა იმარჯვა - 6:4, 7:6. წყვილთა თანრიგის მატჩი აღარ გაიმართა - ჩახნაშვილმა და კალაშნიკოვამ აფრიკელებთან მატჩის წინ დაისვენეს. ჯგუფის მეორე მატჩში პორტუგალიამ უპრობლემოდ მოუგო ნორვეგიას - 2:0 და მესამე ზონის საგზური "გამოუწერა".

აფრიკელთა გუნდში ლიდერი, წესით, **ნატალი გრანდინია**, თუმცა მსოფლიოს 182-ე ჩოგანს ჯგუფურ მატჩებში არ უთამაშია. მის ნაცვლად პირველ ნომრად ფედერაციის თასის 29 წლის დებიუტანტი **სურინა დე ბეერი** (718) თამაშობს. მეორე ნომერი კი **ლიზან დუპლესია**, 22 წლის ურეიტინგო ცაცია ჩოგბურთელი. დუპლესისთან ერთად წყვილთა თანრიგში კიდევ ერთი დებიუტანტი **კელი ანდერსონი** თამაშობს ხოლმე. სამხრეთ აფრიკის ჩოგბურთის ასოციაციის შეფმა **იან სმიტმა** ამ ნაკრებს "მომავლის გუნდი" უწოდა და პირველ ზონაში გადასვლა დაუსახა მიზნად. არადა, თუ არ ჩავთვლით მაკა ჩახნაშვილს, ქართველები ყველაზე ახალგაზრდა აფრიკელ დუპლესისზე გაცილებით უმცროსები არიან. მეორე საგზურისთვის მატჩში დაუმარცხებელი პორტუგალიის ნაკრები საბერძნეთის გუნდს შეხვდება. მეორე ზონას საგაისოდ დატოვებს ბოსნიასა და ფინეთის ნაკრებთა მატჩის დამარცხებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ევროპა-აფრიკის II ზონა

FedCup

**17-20 აპრილი. მავრიკის კუნძულები**

**A ჯგუფი**

**სამხ. აფრიკა-საბერძნეთი 3:0**

ლიზან დუპლესისი-ანა კუმანტუ 6:4, 6:1

სურინა დე ბეერი-ანა გერასიმუ 4:6, 6:1, 6:2

კელი ანდერსონი, ლიზან დუპლესისი-ანა გერასიმუ, ასიმინა კაპლანი 6:4, 6:3

სამხრეთი აფრიკა - 2 მოგება, საბერძნეთი - 1 / ფინეთი - 0.

**B ჯგუფი**

**საქართველო-ბოსნია/ჰერცეგოვინა 2:0**

ოქსანა კალაშნიკოვა-დიანა სტოჟიჩი 6:2, 6:3

მაკა ჩახნაშვილი-სანდრა მარტინოვიჩი 6:4, 7:6 (6)

**პორტუგალია-ნორვეგია 2:0**

მაგალი დე ლატრე-ჰელენ აუენსენი 6:1, 6:1

ნეუსა სილვა-კაროლინ სტეირო 6:2, 6:1

პორტუგალია - 3 მოგება,
საქართველო - 2 / ბოსნია - 1, ნორვეგია - 0.

**დღეს. ფლეი-ოფი**

I ზონაში გადასასვლელი

**საქართველო-სამხ. აფრიკა. პორტუგალია-საბერძნეთი**

II ზონაში დასარჩენი

**ბოსნია-ფინეთი. ნორვეგია II ზონაში გავარდა**

### ტატიშვილმა რუსთან წააგო

ალაბამას შტატის ქალაქ დოტენში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. ტურნირის ძირითად ბადეში მოსახვედრად 17 წლის ანა ტატიშვილმა (405) დოტენის თიხნარზე ზედიზედ სამ მასზე უკეთეს რეიტინგიან ჩოგბურთელს მოუგო. ძირითადი ბადის პირველ წრეში ანა ტატიშვილის მეტოქე რუსი ალა კუდრიავცევა იყო, 19 წლის მსოფლიოს 118-ე ჩოგანი. ტატიშვილმა პირველ სეტში 6:3 იმარჯვა, მაგრამ სულ ეს იყო, მინისენსაცია აღარ შედგა, შემდეგი ორი სეტი რუსმა მოიგო და და მერვედფინალში კუდრიავცევა გავიდა - 6:3, 3:6, 3:6.

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# მხოლოდ 18 წუთი

**მამული-თბილისი 16:34**

მამული: ხონელიძე, ადუაშვილი, მამაცაშვილი (4), კიზირია (2), მოციქულაშვილი, გველესიანი (3), შონია (6), ი. გელაშვილი (1), შალვაშვილი, დორეული, ბესტავაშვილი

თბილისი: სეთურიძე, ნატროშვილი (2), ფორაქიშვილი (1), წივწივაძე (13), ქირია (3), ოსიყმაშვილი (3), ლ. გელაშვილი (4), ქუთათელაძე (8)

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 10 | 1 | 1 | +130 | 21 |
| სტუ-თელავი | 11 | 9 | 1 | 1 | +110 | 19 |
| ძარიშხალა | 11 | 4 | 1 | 6 | -16 | 9 |
| იმედი | 12 | 4 | 1 | 7 | -64 | 9 |
| მამული | 12 | 0 | 0 | 12 | -158 | 0 |

ბომბარდირები: გიორგი წივწივაძე (თბილისი – 122), რამაზ შონია (მამული – 95), აკაკი ტალახაძე (სტუ – 71)

გამოკვეთილი ფავორიტისა და აშკარა აუტსაიდერის მატჩში მხოლოდ საწყის 18 წუთში იყო ბრძოლა. ანგარიში მამულელმა გველესიანმა გახსნა და ამის შემდეგ, ტაიმის დასრულებამდე 18 წუთით ადრე, "თბილისის" მონაგარი მხოლოდ ის იყო, რომ ორი ბურთით აგებდა. რაკილა **მამუკა მჟავანაძემ** შეატყო, რომ მისი შეგირდები ძალების დაზოგვით ცდილობდნენ სუსტი მეტოქის დამარცხებას და აქედან ბევრი არაფერი გამოსდიოდათ, წუთშესვენება აიღო. როგორც ჩანს, მწვრთნელის დაცაცხანებამ გავლენა იქონია და პირველი ტაიმის მოწურულიდან, "თბილისის" შეჩერება შეუძლებელი გახდა. შესვენებაზე, ლიდერები 11-ბურთიანი ფორით გავიდნენ და ფაქტობრივად, იქვე გადაწყდა მატჩის ბედი. მეორე ტაიმი კი, ძირითადად, ბომბარდირთა დავაში პირველ-მეორე ადგილზე მყოფი ხელბურთელების დუელად იქცა. "თბილისი" თავის ლიდერ **გიორგი წივწივაძეს** ამარაგებდა საგოლე პასებით, ხოლო მამულელები ცდილობდნენ, **რამაზ შონიასთვის** გაეტანინებინათ მაქსიმალურად ბევრი გოლი. საბოლოოდ, წივწივაძემ კონკურენტზე შვიდით მეტი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდა.

როგორც გუშინ გაცნობეთ, მესამე წრე შაბათს, თელავში დასრულდება, დღეს კი მეოთხე წრე დაიწყება.

აქვე, კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით ფლეი ოფების თემას. როგორც იცით, საჩემპიონო ფლეი ოფი ორმატჩიანი იქნება. მონაწილეთა ვინაობა დიდი ხანია გარკვეულია – სტუ-"თელავი და "თბილისი". თუკი ორი შეხვედრის შემდეგ, ორივე გუნდს თითო მოგება ექნება, ჯერ ბურთების შეფარდება დაითვლება და აქაც თანაბარი ბალანსის შემთხვევაში, პენალტების სერიაზე მიდგება საქმე. გუშინ, აღნიშნულ თემაზე "თბილისის" თავკაც მამუკა მჟავანაძეს ვესაუბრეთ, რომელიც ასეთი სისტემის წინააღმდეგია. მისი თქმით, ფლეი ოფების ორ მატჩად გამართვა მთელ მეოთხე წრეს აზრს უკარგავს, რადგან საჩემპიონო ბრძოლაში მოედნის უპირატესობა არავის ექნება. შესაბამისად, მეოთხე წრის ბოლოს, სტუ-სა და "თბილისის" შეხვედრა არცერთი გუნდისთვის იქნება პრინციპული და არც მეორისთვის, რადგან ორივეს ფლეი ოფისკენ ექნება ყურადღება და თავს არც ერთი მოიკლავს არაფრისმომცემი რეგულარული პირველობის მოგებისთვის...

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

# იზორია კაზინოდან მოგებული გამოვიდა

საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე, ფიდეს რეიტინგით სადღეისოდ ქართველთა შორის მეორე ნომერი **ზვიად იზორია**, შარშან ზაფხულს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და დღემდე იქ აგრძელებს საჭადრაკო კარიერას. 5-8 აპრილს ზვიადს კონექტიკუტის შტატის ქალაქ ლედიარდში, "ფოქსვუდსის" ღია ჩემპიონატში მოუწია ასპარეზობა, სადაც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ტურნირი მსოფლიოში უდიდეს კაზინო "ფოქსვუდსში" გაიმართა და ამიტომაც ატარებს მის სახელს. კაზინოს სიდიდეზე რომ შთაბეჭდილება შეგექმნათ, მოკლედ გეტყვით, რომ საერთო ფართი 31587 კვ.მ-ია - 380 მაგიდით, 7400 სათამაშო ავტომატითა და უამრავი სხვა გასართობით, კაზინოს კუთვნილ სასტუმროში კი 1416 ნომერია.

საპრიზო ფონდიც სოლიდური იყო - 150 000 დოლარი. გარდა დიდოსტატთა ტურნირისა, სხვა, რანგით ნაკლები ტურნირებიც იმართებოდა. სისტემა შვეიცარულია და მონაწილენი 9 ტურად თამაშობდნენ, თუმც დღეში ორჯერ. შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი იყო. მთავარი ფავორიტები **გატა კამსკი** და **ჰიკარუ ნაკამურა** გახლდათ, ქართველი მესამე ნომერი კი იყო, მაგრამ ტურნირში სხვა ძალიან ცნობილი მოჭადრაკეებიც თამაშობდნენ - **იან ელვესტი, ილდარ იბრაგიმოვი, იური შულმანი, ალექსანდრ შაბალოვი...** არიან.

ქართველი მოჭადრაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძლიერ მეტოქეებს არაფერში ჩამორჩა და ტურნირი 7 ქულით დაასრულა. ამდენივე დააგროვა გატა კამსკიმაც და მათ შორის ჩემპიონის გამოსავლენად ტაი-ბრეიკების გამართვა გახდა საჭირო. დამატებით



ზვიად იზორია

პარტიებში ამერიკელმა იმარჯვა და პირველობაც მას ერგო, თუმცა, საბოლოო ჯამში იზორია წაგებული მაინც არ დარჩენილა - კაზინო "ფოქსვუდსიდან" გვარიანი ფულადი პრიზით დაჯილდოებული გამოვიდა.

მართალია, ზვიადი საქართველოში თითქმის წელიწადია, არ ყოფილა, მაგრამ ამ ყველა ტურნირზე სამშობლოს სახელით გამოდის, რაც იმედს გვიტოვებს, რომ საქართველოს ნაკრებშიც ითამაშებს. მართალია, ეს საკითხი ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, რომელსაც აქ არ გავარჩევთ, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი სიძლიერის მოჭადრაკის დახმარება ნაკრებსა და მთლიანად ქართულ ჭადრაკს ჰაერივით სჭირდება.

**ზვიად შათირიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. U-10

# ჭოლაძე და ქუმსიაშვილი

10-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატზე, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, დღეს ბოლო ტური გაიმართება, თუმცა როგორც გოგონათა ისე ვაჟთა შორის ჩემპიონები ცნობილია - **მარიამ ჭოლაძე** და **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი**. მარიამი დიდოსტატურ შედეგამდე მიდის - რვა ტურის შემდეგ 8 ქულა აქვს. ასეთივე მარაგით შეიძლებოდა შეხვედროდა ბოლო ტურს ქუმსიაშვილიც, თუმცა **დაჩი კიზირიას** ხვდებოდა შავებით და დიდად არ გადადო თავი - ყაიმი ითამაშა და პირველობა გაინაღდა.

ამ ორი მოჭადრაკის უპირატესობა ტურნირზე გამოკვეთილი იყო და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მათთვის ალალია. დღესგაირკვევა მეორე ადგილოსანთა ვინაობა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მიიღებენ. გოგონებში ოთხი პრეტენდენტია, რომელთაგან ორს - **ნინო ხომერიკს** და **ანა ჭავჭანიძეს** 6.5 ქულა აქვთ და ერთი ქულით უსწრებენ ორ კონკურენტს - **თათია კოხრეიძეს** და **მარიამ მჟავიას**. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ხომერიკია, რომელიც თეთრებით ხვდება ხუთქულიან **ნინო ჯალაღონიას** და თუკი მოიგებს, კარგი კოეფიციენტის გამო, მეორე ადგილზე გავა.

ბიჭებში უფრო რთულადაა საქმე: 6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს **ნიკოლოზ ბერძენაძე, ნოე თუთისანი** და დაჩი კიზირია იყოფენ, 6 ქულა კი ხუთ მონაწილეს აქვს...

ბოლო ტურში. გოგონები: თათია კოხრეიძე (5,5) - მარიამ ჭოლაძე (8); მარიამ მჟავია (5,5) - ანა ჭავჭანიძე (6,5); ნინო ხომერიკი (6,5) - ნინო ჯალაღონია (5); ელენე ჯაფარიძე (5) - ქეთევან ხომერიკი (5); ქეთევან ლომიძე (5) - ნინო ჯღარკავა (5); ეკა ურდულაშვილი (5) - თამთა ხურცილავა (4,5).

ვაჟები: ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (7,5) - ნიკოლოზ ბერძენაძე (6,5); ნოე თუთისანი (6,5) - დაჩი კიზირია (6,5); ბესიკ გრძელიძე (6) - დავით ახალაძე (6); ირაკლი კელაპტრიაშვილი (6) - ნიკა ლვამბერია (6); ილია ხელაძე (5,5) - ლუღუნა ხიდეშელი (6).

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი

**ალექსანდრე კილაძე.** 20.04.1929, ბათუმი - 22.02.1999, თბილისი. კალათბურთი (178 სმ.). თამაშობა თბილისის ტოდოსა (1950-51) და "დინამოში" (1949, 1952-64). ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ თასის მფლობელი (1951), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1953, 54), სამგზის მეორე (1959, 60, 61) და მესამე (1952) პრიზიორი. იყო თბილისის "დინამოს" მწვრთნელი (1964-66, 69-70). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

**ირაკლი ჯაფარიძე.** დაიბადა 20.04.1949, თბილისი. ფიგურული ციგურაობა. საქართველოს პირველი და 8-გზის ჩემპიონი (1961-68), სსრკ ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1963). იყო სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1973-85), ბულგარეთისა (1988-90) და ხორვატიის (1990-93, 1996-97) ნაკრებების, აგრეთვე ლინცის (ავსტრია) კლუბ "სკოს" უფროსი მწვრთნელი. თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორი 1997 წლიდან, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ასოციაციის პრეზიდენტი 2002-იდან. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან სპორტის ოსტატები მარინე ცერცვაძე, ლია გაბელაია, მიხეილ სურგულაძე, გია შანყულაშვილი და ონისე რუხაძე.

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს იმერეთის რეგიონში სამბოში უფროს მწვრთნელს, გივი სარდანაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ომი ახლა ნახეთ!

რასაღარ ამბობენ ამ დამსახურებულ კაცზე - აქაოდა, მის მიერ გაწვრთნილმა გუნდებმა დაცვაში თამაში არ იციან, ხოლო მათ, ვინც იცოდა, ამ ჭაღარა დიქტატორს ყველაფერი მყისვე თავის ყაიდაზე გადაჰყავსო. მწვრთნელიც იმის მწვრთნელია, რომ გუნდში თავისი ხელწერა მიიტანოს, მაგრამ სპეციალისტზე, რომლის გუნდმაც გუშინ ფლეი ოფის საგზური მოიპოვა, მხოლოდ და მხოლოდ, საუკეთესოს თქმა შეიძლება - **დონ ნელსონს** ყველგან და ყოველთვის მაღალი შედეგისთვის მიუღწევია და ყველა დანარჩენ ფაქტორს კი, ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

"გოლდენ სტეიტ უორიორზს" დასავლეთის რვა საუკეთესო გუნდში ბოლოს, 1994-ში გაუღწევია და მაშინდელი გუნდის ლიდერი, დღეს უკვე უქმად მყოფი და ბევრისგან მივიწყებული **ლატრელ სპრიუელი** გახლდათ.

რეგულარულის ბოლო დღეს ფლეი ოფში გასვლის შანსს ნელსონის გუნდი და **ელტონ ბრენდის** "კლიპერსი" ინარჩუნებდნენ, მაგრამ თუ **ბაირონ დევისი** და კომპანია თავიანთ მატჩს მოიგებდნენ, მაშინ ერთი საათით გვიან მოედანზე გამსვლელ "კლიპერსს" ყველანაირი მოტივაცია წართმეული ექნებოდა.

"გოლდენ სტეიტის" მეტოქე იყო "პორტლენდი", ვისთვისაც, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნულ დაპირისპირებას ნულოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. სტუმრებს საქმე იმანაც გაუიოლა, რომ მეტოქეს მოძალებული ტრავმიანობის გამო, ერთბაშად რამდენიმე ლიდერი არ ჰყოლია და საერთოდაც, ამ მატჩისთვის განაცხადში მხოლოდ 9 ჯანმრთელი მოთამაშის შეყვანა მოახერხა. კერძოდ, აღნიშნულ შეხვედრაში არ უთამაშიათ წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ახალბედა **ბრენდონ როის**, კიდევ ერთ ნიჭიერ პირველწლიან მოთამაშეს **ლამარკუს ოლდრიჯს, ჯოელ პრჟიბილას, იმე უდოკასა** და "ბლეიზერის" საუკეთესო მექულე-მომხსნელ **ზაკ რენდოლფს.**

ვერ გაამტყუნებ "ბლეიზერის" მთავარ მწვრთნელ **ნეიტ მაკმილანს**, რომელიც არც კი ცდილობდა დიდი ჩამორჩენის გაბათილებას. "პორტლენდმა" უბრალოდ, მატჩი ბოლომდე მიიყვანა, ხოლო **ტრევის აუთლომ** კი 36 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

**ბაირონ დევისმა** ამ სეზონში პირველი სამმაგი დუბლი გააკეთა, თუმცა ნამატჩევს ისე გაიხარა, რომ კინაღამ კატასტროფის წინაშე დადგა - ვარსკვლავმა გამთამაშებელმა ლუდის ბოთლით კინაღამ სახე დაისერა, მაგრამ გადარჩა. ფლეი ოფისთვის დევისი ჯანზე იქნება.

"პორტლენდს" კი სიხარულის საბაბი აშკარად ჰქონდა - გუნდმა 1977 წლის ჩემპიონი "ბლეიზერსი" გაიხსენა, მაშინდელი გუნდის წევრებს სიტყიერი პატივი მიაგო, ხოლო იმ გუნდის ერთ-ერთი ლიდერის - **ლიონელ ჰოლინზის** 14-ნომრიანი მაისურა კი ჭერქვეშ ჩამოკიდა.

ვინ ელის დონის პირველ წრეში? რა თქმა უნდა, მისი ყოფილი და სადღეისოდ ლიგის ბუმბერაზი გუნდი - **დირკ ნოვიცკის** "დალას მავერიქსი", რომელმაც **ეივერი ჯონსონის** ხელში ტრანსფორმაცია განიცადა და გრანდთა შორის უძლიერესი და ყველაზე სტაბილურია.

"დალასს" თუ ვინმეს რიდი უნდა ჰქონდეს, ეს გუნდი არა **სტივ ნეშის** მორბენალი "ფინიქსი" და არა **ტიმ დანკანის** მკაცრი "სპურსი", არამედ სწორედ ბაირონ დევისის "გოლდენ სტეიტია", რომელმაც წელს, რეგულარულის ჩემპიონს სამივე მატჩი მოუგო და სამივეჯერ 100 და მეტი ქულის დაგროვება მოახერხა. ასეთივე კურიოზი შარშანაც დაფიქსირდა, როდესაც ჩემპიონატის უძლიერესმა გუნდმა, **ფლიპ სონდერსის** "დეტროიტმა" რეგულარულში ვერაფერი მოუხერხა **გილბერტ არენასს, ანტუან ჯეიმისონსა** და **კეირონ ბატლერს** და ამ სამეულის "ვაშინგტონთან" ყველა პირადი ჯახი დათმო.

საფლეიოფო პრევიუს ხვალ შემოგთავაზებთ, თუმცა ცხადია, რომ რეგულარულში ოპონენტთან სამივე მატჩის დათმობის შემდეგ, ეივერი ჯონსონს მიზეზების მოძიება, ყველაფრის გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება მოუწევს.

*"უზომოდ გახარებული ვარ. ჩემს სამწვრთნელო კარიერაში პირველადაა, როდესაც ჩემი გუნდი ფლეი ოფში გასვლას რეგულარულის უკანასკნელ დღეს ახერხებს. იმედი მაქვს, "დალასთან" კონცენტრაციას შევინარჩუნებთ, საბრძოლო განწყობას გავიორმაგებთ და სეზონის საუკეთესო გუნდს დიდ ბრძოლას გავუმართავთ"*, - ვერ მალავდა სიხარულს ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე დონ ნელსონი, რომლის გუნდმაც პირველ მეოთხედში 41 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი გუნდური რეკორდი დაამყარა.

ვითომ, დონის ბიჭები "დალასთან" რეგულარულის შედეგს გაიმეორებენ? ვნახოთ, ყველაფერია შესაძლებელი.

**ზურაბ თალაკვაძე**

### ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 106:97

31:22, 21:18, 19:30, 35:27

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (24 ქ. 10 მ. 9 პ. 2 ჩ), მური (22 ქ. 9 მ), რ. ჯეფერსონი (21 ქ. 8 მ), ნახბარი (15 ქ), ბუნი (15 ქ), კიდი (5 ქ. 11 მ. 11 პ. 2 ჩ).

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (20 ქ. 9 პ), ნოჩიონი (19 ქ. 7 მ), გორდონი (15 ქ), დენგი (15 ქ. 11 მ. 2 ჩ), პი. ჯეი. ბრაუნი (11 ქ. 7 მ. 2 დ), ბ. უოლასი (6 ქ. 10 მ).

### კლიპერსი-ნიუ ორლეანი 83:86

26:25, 18:17, 21:24, 18:20

**კლიპერსი:** მაგეტი (21 ქ. 11 მ. 4 პ), ტიმ ტომასი (16 ქ), კასელი (!4 ქ), ბრენდი (11 ქ. 5 მ. 4 პ), კამანი (11 ქ. 8 მ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (32 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), დევინ ბრაუნი (12 ქ. 8 მ), მ. ჯექსონი (12 ქ. 5 მ), რ. ბატლერი (11 ქ), პოლი (6 ქ. 10 პ. 2 ჩ).

### სიეტლი-დალასი 75:106

16:33, 21:28, 22:28, 16:17

**სიეტლი:** რ. ლიუისი (14 ქ), ა. ბრაუნი (12 ქ), უილკოქსი (11 ქ), უილკინსი (10 ქ. 3 ჩ).

**დალასი:** ნოვიცკი (20 ქ. 5 მ. 5 პ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ), სტექჰაუზი (13 ქ), ტერი (12 ქ. 5 პ), დ. ჰარისი (10 ქ. 4 პ).

### ბოსტონი-დეტროიტი 89:91

22:19, 27:26, 18:24, 22:22

**ბოსტონი:** რონდო (19 ქ. 9 პ. 6 ჩ), გომესი (19 ქ), რეი (18 ქ), ელ ჯეფერსონი (17 ქ. 15 მ).

**დეტროიტი:** ე. ჯონსონი (20 ქ. 12 მ. 4 დ. 3 ჩ), რ. მიურეი (16 ქ. 5 პ. 3 ჩ), მაქსიელი (11 ქ. 2 ჩ), მაკდიესი (11 ქ).

### მინესოტა-მემფისი 94:116

27:27, 24:27, 22:34, 21:28

**მინესოტა:** ფოიე (26 ქ. 8 მ. 6 პ. 3 ჩ), რ. დევისი (23 ქ. 6 მ. 6 პ), კ. სმიტი (11 ქ. 13 მ).

**მემფისი:** გასოლი (25 ქ. 16 მ. 6 პ), კინსი (22 ქ. 9 მ. 7 პ. 3 ჩ), უორიკი (18 ქ. 7 მ), დ. ჯოუნსი (16 ქ. 7 მ), სვიფტი (14 ქ. 5 მ. 2 დ), ე. ჯონსონი (11 ქ).

### ინდიანა-ვაშინგტონი 95:98

18:25, 35:33, 20:18, 22:22

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (17 ქ), დ. გრეინჯერი (14 ქ. 5 მ), დიოგუ (13 ქ. 8 მ), მაკლეოდი (11 ქ), მერფი (8 ქ. 9 მ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (19 ქ. 11 მ), სტივენსონი (15 ქ), ა. დენიელსი (13 ქ. 9 პ. 5 მ), სონგაილა (12 ქ), ჰეივუდი (11 ქ. 4 მ. 3 დ), ე. ტომასი (10 ქ. 8 მ. 4 დ).

### საკრამენტო-ლეიკერსი 106:117

30:28, 27:25, 23:35, 26:29

**საკრამენტო:** ბიბი (17 ქ), არტესტი (16 ქ. 6 პ. 2 ჩ. 2 დ), სალმონსი (14 ქ), კევინ მარტინი (14 ქ), ჯასტინ უილიამსი (12 ქ. 6 მ), დუბი (11 ქ), გარსია (10 ქ. 9 მ. 3 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34 ქ. 7 მ. 6 პ), კ. ბრაუნი (17 ქ), ოდომი (15 ქ. 13 მ. 5 პ. 2 დ), უოლტონი (10 ქ. 11 მ).

### პორტლენდი-გ. სტეიტი 98:120

26:41, 20:23, 31:30, 21:26

**პორტლენდი:** ტ. აუთლო (36 ქ. 10 მ. 2 ჩ), უებსტერი (14 ქ. 5 მ), მაგლოირი (13 ქ. 11 მ), ფ. ჯოუნსი (10 ქ. 2 ჩ).

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (31 ქ. 5 მ. 5 პ), ჯ. რიჩარდსონი (25 ქ. 8 მ. 3 ჩ), ელ ჰარინგტონი (24 ქ. 7 მ. 4 პ), ბ. დევისი (12 ქ. 14 პ. 10 მ. 3 ჩ), მ. ელისი (12 ქ).

### იუტა-ჰიუსტონი 101:91

20:32, 30:15, 25:24, 26:20

**იუტა:** მილსეპი (14 ქ. 10 მ), გირიჩეკი (14 ქ. 4 მ), დი ბრაუნი (13 ქ. 8 პ. 5 მ. 3 ჩ), ოქურუ (12 ქ. 5 მ).

**ჰიუსტონი:** ჯუვან ჰოვარდი (20 ქ. 4 მ), ჰედი (18 ქ), სნიდერი (14 ქ), სპანულისი (13 ქ), ლუკასი (10 ქ. 4 პ).

### სან ანტონიო-დენვერი 77:100

16:25, 24:21, 22:33, 15:21

**სან ანტონიო:** უდრიხი (13 ქ), ელი (11 ქ. 7 მ. 2 ჩ), ჯ. ბატლერი (10 ქ. 9 მ), უაითი (10 ქ. 5 მ).

**დენვერი:** რ. ევანსი (19 ქ. 20 მ), ჯეი. არ. სმიტი (17 ქ), კლეიზა (17 ქ), ბლეიკი (16 ქ. 8 პ. 3 ჩ), დიავარა (12 ქ), სემპსონი (უქულოდ, 13 მ. 2 დ).

### შარლოტი-ნიუ იორკი 93:94

17:24, 23:14, 25:20, 28:36

**შარლოტი:** ერმანი (22 ქ. 5 მ. 2 ჩ), ფელტონი (19 ქ. 2 ჩ), დ. ანდერსონი (14 ქ. 6 პ), ნაითი (12 ქ. 13 პ. 3 ჩ), ჯ. უოლასი (12 ქ. 5 მ. 3 ჩ).

**ნიუ იორკი:** კარი (28 ქ. 6 მ), ფრენსისი (24 ქ. 8 მ. 3 პ), ნ. რობინსონი (18 ქ), მ. როუზი (10 ქ. 15 მ. 9 პ. 2 ჩ. 2 დ).

### ტორონტო-ფილადელფია 119:122

28:25, 29:39, 29:22, 33:36

**ტორონტო:** ლ. ჯექსონი (30 ქ. 5 პ), ბოში (23 ქ. 9 მ. 5 პ. 2 დ), ბარნიანი (17 ქ. 5 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ), ტი. ჯეი. ფორდი (15 ქ. 10 პ), ე. პარკერი (14 ქ).

**ფილადელფია:** უ. გრინი (37 ქ), ა. მილერი (29 ქ. 9 მ. 8 პ), ჯო სმიტი (26 ქ. 14 მ. 4 პ), ბ. ჯოუნსი (14 ქ. 6 მ), ლ. უილიამსი (12 ქ. 7 პ. 4 მ).

### ორლანდო-მაიამი 94:68

22:23, 17:14, 26:10, 29:21

**ორლანდო:** გ. ჰილი (17 ქ. 3 მ. 3 პ), თურქოღლუ (15 ქ. 8 მ), დ. ჰოვარდი (12 ქ. 14 მ), რედიკი (10 ქ).

**მაიამი:** დ. რაიტი (17 ქ. 8 მ. 4 პ), სიმიენი (10 ქ).

### კლივლენდი-მილუოკი 109:96

31:22, 23:29, 25:21, 30:24

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (24 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), პავლოვიჩი (21 ქ. 5 პ. 2 ჩ), დ. მარშალი (14 ქ. 7 მ), ჰიუზი (13 ქ. 6 მ. 5 პ), ილგაუსკასი (10 ქ. 5 მ), ვარეჟაო (9 ქ. 14 მ).

**მილუოკი:** ბოიკინსი (28 ქ. 7 პ), პატერსონი (19 ქ. 6 მ), ჩ. ბელი (12 ქ), მო უილიამსი (11 ქ), ილიასოვა (10 ქ. 2 ჩ).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-დეტროიტი | 82 | 53 | 29 | 64.6 |
| 2. x-კლივლენდი | 82 | 50 | 32 | 61.0 |
| 3. y-ტორონტო | 82 | 47 | 35 | 57.3 |
| 4. y-მაიამი | 82 | 44 | 38 | 53.7 |
| 5. x-ჩიკაგო | 82 | 49 | 33 | 59.8 |
| 6. x-ნიუ ჯერსი | 82 | 41 | 41 | 50.0 |
| 7. x-ვაშინგტონი | 82 | 41 | 41 | 50.0 |
| 8. x-ორლანდო | 82 | 40 | 42 | 48.8 |
| 9. ინდიანა | 82 | 35 | 47 | 42.7 |
| 10. ფილადელფია | 82 | 35 | 47 | 42.7 |
| 11. შარლოტი | 82 | 33 | 49 | 40.2 |
| 12. ნიუ იორკი | 82 | 33 | 49 | 40.2 |
| 13. ატლანტა | 82 | 30 | 52 | 36.6 |
| 14. მილუოკი | 82 | 28 | 54 | 34.1 |
| 15. ბოსტონი | 82 | 24 | 58 | 29.3 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-დალასი | 82 | 67 | 15 | 81.7 |
| 2. y-ფინიქსი | 82 | 61 | 21 | 74.4 |
| 3. x-სან ანტონიო | 82 | 58 | 24 | 70.7 |
| 4. y-იუტა | 82 | 51 | 31 | 62.2 |
| 5. x-ჰიუსტონი | 82 | 52 | 30 | 63.4 |
| 6. x-დენვერი | 82 | 45 | 37 | 54.9 |
| 7. x-ლეიკერსი | 82 | 42 | 40 | 51.2 |
| 8. x-გ. სტეიტი | 82 | 42 | 40 | 51.2 |
| 9. კლიპერსი | 82 | 40 | 42 | 48.8 |
| 10. ნიუ ორლეანი | 82 | 39 | 43 | 47.6 |
| 11. საკრამენტო | 82 | 33 | 49 | 40.2 |
| 12. პორტლენდი | 82 | 32 | 50 | 39.0 |
| 13. მინესოტა | 82 | 32 | 50 | 39.0 |
| 14. სიეტლი | 82 | 31 | 51 | 37.8 |
| 15. მემფისი | 82 . | 22 | 60 | 26.8 |

*შენიშვნა:* * - დივიზიონის ლიდერი; x - გაინაღდა ფლეი ოფის საგზური; y - დივიზიონის ჩემპიონი; z - კონფერენციის ჩემპიონი

### ფლეი ოფში ხვდებიან

**აღმოსავლეთი**

დეტროიტი (1)-ორლანდო (8)
კლივლენდი (2)-ვაშინგტონი (7)
ტორონტო (3)-ნიუ ჯერსი (6)
მაიამი (4)-ჩიკაგო (5)

**დასავლეთი**

დალასი (1)-გოლდენ სტეიტი (8)
ფინიქსი (2)-ლეიკერსი (7)
სან ანტონიო (3)-დენვერი (6)
იუტა (4)-ჰიუსტონი (5)



გოლდენ სტეიტი ხარობს. დონ ნელსონი და ბაირონ დევისი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი. გომესმა გამარჯვების გაიტანა

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუ ჯერსი და ტამპა შვიდ მატჩს უმიზნებენ

### აღმოსავლეთი

### აილენდერსი (8)-ბაფალო (1) 2:4

2:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ჯ. ბლეიკი-1 (პოტი-3, მ-ა. ბერჟერონი-1), 1:1 ვანეკი-2 (ტ. ნუმინენი-2, დ. რუა-2), 1:2 დრური-3 (ზუბრუსი-5, სტეფორდი-1), 2:2 სილინჯერი-1 (ვიქ. კოზლოვი-2, რ. სმიტი-2), 2:3 დრური-4 (ბ. კემპბელი-2, ბრიერი-3), 2:4 პომინვილი-1.

**სერია 1:3**

"ბაფალომ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ნიუ იორკში და 20 აპრილს, საკუთარ მოედანზე შეუძლია შემდეგი წრის საგზურის მოპოვება. "სეიბრზი" რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულია და ფავორიტის სტატუსს ამტკიცებს კიდეც.

სტუმრების გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი **კრის დრურიმ** შეასრულა, რომელმაც, ისევე, როგორც სერიის პირველ მატჩში, დუბლი შეასრულა.

"აილენდერსს" 1993 წლის შემდეგ არ მოუგია ფლეი ოფში სერია. გარდა ამისა, რეგულარულში "ბაფალომ" ოთხიდან სამი მატჩი მოუგო ნიუიორკულ კლუბს.

### ტამპა ბეი (7)-ნ. ჯერსი (2) 3:4 (ო)

1:2, 2:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯონტა-2 (ოდუია-1, რაფალსკი-3), 1:1 პერენი-1, 1:2 პარიზე-5 (პ. მარტინი-1, ზაიაცი-2), 1:3 პარიზე-6 (ე. გრინი-1, ზაიაცი-3), 2:3 სენტ ლუისი-3 (კუბა-2, ბ. რიჩარდსი-5), 3:3 ლეკავალიე-5 (პროსპალი-3, სენტ ლუისი-5), 3:4 გომესი-1.

**სერია 2:2**

ამ სერიაში ისე ვითარდება მოვლენები, რომ შესაძლოა, გამარჯვებულის გამოვლენას შვიდივე მატჩის ჩატარება დასჭირდეს.

გუშინდელი მოგებით, "ნიუ ჯერსიმ" საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა, თუმცა ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდა. მეორე პერიოდში სტუმრები 3:1 იგებდნენ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს "ტამპას" ლიდერებს - **ვენსან ლეკავალიესა** და **მარტინ სენტ ლუისს**, რომლებმაც 5 წუთის ინტერვალში ორი გოლი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს.

მესამე პერიოდში ანგარიში აღარ შეცვლილა. ბოლო 20 წუთში, "ნიუ ჯერსის" მეკარე **მარტინ ბროდოს** 10 დარტყმის მოგერიება მოუხდა. სხვათა შორის, რეგულარულის საუკეთესო მეკარემ, ზედიზედ მეოთხე მატჩში სამი შაიბა გაუშვა.

ბროდომ ოვერტაიმშიც იყოჩაღა და სანამ, მისი თანაგუნდელი **სკოტ გომესი** გამარჯვების შაიბას გაიტანდა, კიდევ ხუთჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი.

ქების ღირსია, "ტამპა ბეის" მეკარე **იოჰან ჰოლმკვისტიც**, რომელმაც 33 დარტყმა მოიგერია.

სერიის მომდევნო მატჩი "ნიუ ჯერსის" მოედანზე გაიმართება. სხვათა შორის, ეს არის ერთადერთ სერია ფლეი ოფში, სადაც ანგარიში თანაბარია.

### რეინჯერსი (6)-ატლანტა (3) 4:2

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ტკაჩუკი-1 (კოვალჩუკი-1, ჰაველიდი-2), 1:1 როუსივალი-2 (სტრაკა-3, ნიულანდერი-4), 1:2 დევრისი-1 (დუპუი-2, მარიან ჰოსა-1), 2:2 შენეჰანი-3 (შ. ეივერი-4), 3:2 კულენი-1 (პოკი-3, კელეჰანი-1), 4:2 იაგრი-2.

**სერია 4:0**

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" პირველმა მოიპოვა შემდეგი ეტაპის საგზური. აღმოსავლეთის მეექვსე გუნდმა, მოულოდნელად ძალიან იოლად გაანადგურა "ატლანტა ტრეშერზი".

"რეინჯერსის" წარმატების საიდუმლო, პირველ რიგში, გამოცდილი ჰოკეისტებით დაკომპლექტებულ შემადგენლობაში უნდა ვეძებოთ. **იაგრი, შენეჰანი** და სხვები ფლეი ოფში გამობრძმედილი ჰოკეისტები არიან. ასე მაგალითად, გუშინ, **ბრენდან შენეჰანმა** სტენლის თასზე თავისი 56-ე შაიბა გაიტანა, რაც მეხუთე შედეგია მოქმედ ჰოკეისტებს შორის.

რაც შეეხება "ატლანტას", ამ გუნდის ლიდერები ცუდ ფორმაში შეხვდნენ სეზონის გადამწყვეტ მატჩებს. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. **მარიან ჰოსამ**, რომელმაც რეგულარულში 100 ქულა დააგროვა, ფლეი ოფში ერთადერთი პასი მიითვალა. იგივეს თქმა შეიძლება კლუბის მეორე ბომბარდირ **ილია კოვალჩუკზე**.

"ატლანტას" კიდევ ერთი მინუსი ის იყო, რომ მწვრთნელები ბოლომდე ვერ გაერკვნენ მეკარის საკითხში. **კარი ლეჰტინენი** აშკარად არ იყო ფორმაში, მაგრამ სერიის მესამე მატჩში მაინც ათამაშეს, რასაც ატლანტელთა კარში 7 უპასუხო გოლი მოჰყვა. სასწაულები არც მის შემცვლელ **იოჰან ჰედბერგს** მოუხდენია, მაგრამ ის გაცილებით უკეთ იდგა კარში.

რაც მთავარია, "რეინჯერსმა" შეტევაში უფრო აქტიური თამაშის ხარჯზე აჯობა მეტოქეს. მთელს სერიაში ნიუიორკელებმა 143 ზუსტი დარტყმა განახორციელეს, ატლანტელებმა - 99.

### დასავლეთი

### სან ხოსე (5)-ნეშვილი (4) 3:2

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-3 (ჯ. ტორნტონი-4, ჩიჩუ-2), 2:0 პაველსკი-1 (მაკლარენი-1, ჰენანი-1), 2:1 არნოტი-1 (დუმონი-2, ტუტუ-1), 3:1 მიხალეკი-4 (ჯ. ტორნტონი-5, ჩიჩუ-3), 3:2 ჰარტნელი-1 (ლეგვანდი-3, კარია-2).

**სერია 3:1**

რეგულარული ჩემპიონატის მესამე გუნდი - "ნეშვილი" ყველა მატჩში დიდ ბრძოლას კი უმართავს "სან ხოსეს", მაგრამ ისე ჩანს, რომ ამ სერიაში "პრედატორზი" განწირულია.

შესანიშნავ ფორმაში არიან "შარქსის" ლიდერები, თითქმის უშეცდომოდ თამაშობს მეკარე **ევგენი ნაბოკოვი**. იგივეს თქმა "ნეშვილის" ჰოკეისტებზე არ შეიძლება. პრაქტიკულად, არაფერში გამოადგა გუნდს **პიტერ ფორსბერგი**, რომელიც სწორედ ფლეი ოფისთვის გადაიყვანეს "ფილადელფიიდან". სერიის ოთხ მატჩში, ცნობილი შვედი მხოლოდ სამი ქულით იწონებს თავს, გუშინდელ მატჩში კი, ერთი ზუსტი დარტყმაც არ შეუსრულებია.

"სან ხოსეს" უპირატესობას ერთი სტატისტიკური მონაცემიც უმყარებს ზურგს. "ნეშვილს" "ზვიგენებისთვის" ზედიზედ 10 მატჩია არ მოუგია გასვლაზე.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა "პრედატორზი" მომდევნო მატჩში საკუთარ მოედანზე გამარჯვებას. თუ ეს მოხდა, მაშინ სერიაში სიტუაცია საკმაოდ დაიძაბება.

# სამთო თხილამურები

ვარსკვლავი

## კოსტელიჩმა წასვლა ამჯობინა

როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე მუხლის ქრონიკული ტრავმების გამო, სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა, სამთო თხილამურობის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ქალმა მოთხილამურემ, ხორვატმა **იანიცა კოსტელიჩმა**.

*"დადგა მომენტი, როცა იძულებული ვარ, ჩემი სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გაუწყოთ. დამიჯერეთ, ძალიან მინდა მისი გაგრძელება, მაგრამ ტრავმები ამის საშუალებას არ მაძლევს. რაც სპორტსმენი ვარ, იმდენი ტრავმა და ტკივილი გადავიტანე, რამდენიმე ადამიანს ეყოფოდა. დავიღალე, აღარ მინდა ამ ტკივილების გახსენება და არც ის მინდა, რომ სპორტიდან ინვალიდი წავიდე"*, - განაცხადა კოსტელიჩმა.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ხორვატმა გასული სეზონი სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. ოღონდ, ამ გაცდენას მან ერთსეზონიანი შვებულება უწოდა. უფრო მეტიც, ის ირწმუნებოდა, რომ ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადაზეც აპირებდა გამოსვლას. სეზონის განმავლობაში, იანიცა მსუბუქად ვარჯიშობდა კიდეც.

სწორედ ამ ვარჯიშების დროს სულ უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია და რომ სპორტში დაბრუნების შემთხვევაში, ტკივილებიც დაუბრუნდებოდა. სხვათა შორის, არეში (შვედეთი) ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის დროს, ხორვატიის ნაკრების ხელმძღვანელები დარწმუნებით ამბობდნენ, იანიცა სპორტს აღარ დაუბრუნდებაო.

სანამ შვებულებაში იყო, მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონმა პირად ცხოვრებასაც მიხედა - გახსნა სასტუმრო და დროის უმეტეს ნაწილს თავის ხორვატ შეყვარებულთან ერთად ატარებდა.

*"იმ ადამიანების ტიპს არ მივეკუთვნები, რომლებსაც მედიისგან გაზრდილი ყურადღება იზიდავთ. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, როცა მყუდრო გარემოში, საყვარელ ადამიანებთან ერთად ვატარებ დროს და არავინ მაწუხებს კითხვებით"*, - ამბობს კოსტელიჩი, ვისაც 2002 წლიდან მოყოლებული, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მუხლზე საერთო ჯამში ათი ოპერაცია გადაიტანა, ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს 9 მედალი აქვს მოპოვებული. თანაც, სამი წლის წინათ, ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ნახევარი წელი გაუცდა.

ყველაფერთან ერთად, იანიცას სამჯერ (2001, 2003 და 2006 წლებში) აქვს მოპოვებული ბროლის დიდი გლობუსი, რაც მსოფლიოს თასის აბსოლუტურ კლასიფიკაციაში გამარჯვებულებს გადაეცემათ. 2005 წელს დიდი გლობუსის მოგებამდე 3 ქულა დააკლდა (შვედმა **ანია პერსონმა** აჯობა). 2005/06 წლების სეზონში კოსტელიჩმა მსოფლიო თასის 9 რბოლა მოიგო. ამასთან, გამარჯვება მოიპოვა ხუთივე დისციპლინაში და აბსოლუტურ ჩათვლაში ქულების სარეკორდო რაოდენობას (1970 ქულა, 10-ით მეტი, ვიდრე მანამდელმა რეკორდსმენმა, პერნილა ვიბერგმა) მოუყარა თავი.



იანიცა კოსტელიჩი

სამთო თხილამურების ისტორიაში, კოსტელიჩი სულ მესამე მოთხილამურეა, ვისაც ხუთივე დისციპლინაში აქვს მოგებული მსოფლიო თასის რბოლები. პირველი ორია შვედი **პერნილა ვიბერგი** და ავსტრიელი **პეტრა კრონბერგერი**. ამასთან, ხორვატი არის მეორე ქალი ვინც ხუთივე დისციპლინის რბოლები ერთ სეზონში მოიგო (პირველმა ეს კრონბერგერმა გააკეთა).

ოთხი ოლიმპიური ოქროდან იანიცამ სამი (სლალომი, გიგანტური სლალომი და კომბინაცია) საოლტ ლეიკ სიტიში მოიპოვა, ერთი კი (კომბინაცია) - ტურინში. გარდა ამისა, ორივე ოლიმპიადაზე, თითო ვერცხლი აიღო სუპერგიგანტში. მსოფლიო ჩემპიონატებზე კი ოქროს გარდა, სხვა მედალი არ მოუპოვებია. 2003 წელს შვეიცარიის სენ მორიცში, ოქროს სლალომსა და კომბინაციაში დაეუფლა, 2005 წელს კი ბორმიოს (იტალია) მსოფლიო ჩემპიონატზე, სლალომი, დაშვება და კომბინაცია მოიგო.

სულ კი მსოფლიო თასზე მხოლოდ 30 რბოლა აქვს მოგებული, რომელთაგან 20 სლალომზე მოდის, 6 კომბინაციაზე, 2 გიგანტურ სლალომზე და თითო დაშვებასა და სუპერგიგანტზე.

შარშან იანიცა წინა სეზონის საუკეთესო სპორტსმენ ქალად დაასახლეს და სპორტული ოსკარით დააჯილდოვეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# TV სპორტი

**20 აპრილი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო-სევილია.
14:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:15 ტოქ-შოუ - 2:1.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 საფეხბურთო კლუბი.
16:50 იტალიის ჩემპიონატი. ასკოლი-მილანი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ალემანია (LIVE).
00:20 სასტვენი.
00:50 რუსეთის ჩემპიონატი.
01:50 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:20 სპორტინფორმი.
09:13 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:13 სპორტინფორმი.
10:24 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო-სევილია.
12:11 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ალკმაარი.
13:58 სპორტის ისტორია.
14:06 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
15:53 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ოსასუნა-ლევერკუზენი.
17:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:05 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
19:01 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 სპორტინფორმი.
19:41 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დასავლეთი კონფერენცია. 1/4 ფინალი. ანაჰაიმი-მინესოტა. V მატჩი.
21:23 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 სპორტინფორმი.
22:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ალემანია (LIVE).
00:25 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
00:40 კრივი. რინგ-საიდი.
01:37 სპორტინფორმი.
01:49 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
03:36 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მალიორკა.
05:21 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:48 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
06:15 კრივი. რინგ-საიდი.

**EUROSPORT**

09:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. ხერესი.
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
12:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
13:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. სტაბოლი (LIVE).
15:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 69 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
17:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
20:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
20:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 77 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
23:00 პოკერი. ევროპის ტური. ბადენი. ავსტრია.
00:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
00:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| გრეივსენდი-ნორთვიჩი | 3:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| დეპორტივო-სევილია | 0:3 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ალკმაარი-ბრედა | 6:0 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ბელენენსეში-ბრაგა | 2:1 დ.დ. (1:1) |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პაკენი-ფალკენბერგი | 3:0 |
| იონჩოპინგსი-ბუნკეფლო | 2:2 |
| იორგრიტე-დეგერფორსი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-იაბლონეცი | 3:1 |
| ბრნო-სლოვაცკო | 1:0 |
| სიგმა-კლადნო | 2:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-ხუვენტუდი | 85:80 |
| ქ. სან ფერნანდო-უნიკახა | 68:66 |
| მენორკა-ბილბაო | 85:94 |
| მურსია-ვალიადოლიდი | 70:62 |
| **იტალია** | |
| დ'ორლანდო-ბენეტონი | 72:70 |
| კანტუ-რომა | 74:64 |
| კლიმამიო-რეჯო ემილია | 84:91 |
| ლივორნო-ვარეზე | 97:88 |
| მილანი-აველინო | 69:80 |
| მონტეპასკი-სნაიდერო | 98:78 |
| მონტეგრანარო-ვირტუსი | 97:79 |
| ნაპოლი-ბიელა | 79:67 |
| საქუატი-ტერამო | 88:83 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მონაკო** | |
| სიოდერლინგი-მირნი | 7:6, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-ფერერი | 5:7, 4:6 |
| ფედერერი-ლი | 6:4, 6:3 |
| გასკე-ლუბიჩიჩი | 6:3, 6:7, 7:5 |
| ფერერო-ანდრეევი | 6:3, 6:3 |
| კოლშრაიბერი-გარსია ლოპესი | 5:7,7:6,7:6 |
| ნადალი-ვლიეგენი | 6:1, 6:1 |

# ჩოგბურთი

ტურნირები

**ATP**

**მონაკოს მასტერსი**

მონტე კარლო. თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 082 500 დოლარი

**II წრე**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:3, 6:1; **რობინ სიოდერლინგი** (შვედ)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 3) 6:4, 6:7 (6), 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუს)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 4) 6:2, 2:6, 6:3; **ტომი რობრედო** (ესპ, 5)-არნო კლემანი (საფ) 6:3, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 6)-გასტონ გაუდიო (არგ) 6:1, 3:6, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორ, 7)-რადეკ შტეპანეკი (სერ) 7:6 (6), 7:6 (5); **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერ)-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 9) 7:5, 4:1 ნალბანდიანის უარი; **ტომას ბერდიხი** (ჩეხ, 10)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:1, 6:2; **რიშარ გასკე** (საფ, 11)-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) 6:3, 6:2; **დავიდ ფერერი** (ესპ, 12)-ჟულიენ ბენეტო (საფ) 6:1, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპ, 16)-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:2, 6:0; **მაქს მირნი** (ბლრ)-სერხიო როიტმანი (არგ) 7:5, 6:4.

**1/8 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (1)-ლი; ჯოკოვიჩი (6)-ფერერი (12); ფერერო (16)-ანდრეევი; ლუბიჩიჩი (7)-გასკე (11); რობრედო (5)-ბერდიჩი (10); მირნი-სიოდერლინგი; კოლშრაიბერი-გარსია ლოპესი; ნადალი (2)-ვლიეგენი.



რაფაელ ნადალი

# სხვადასხვა

ჩოგბურთი

## უილიამსები ბელგიასთან ითამაშებენ

მომავალ უიქენდზე, ქალთა ნაკრებებს შორის ფედერაციის თასის მეოთხედფინალური ეტაპი გაიმართება. ერთ-ერთ წყვილში, ამერიკა ბელგიას დაუპირისპირდება.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში შესაძლოა **სერენა უილიამსმა** ითამაშოს, რომელმაც გასულ კვირას, ტრავმის გამო ვერ შეძლო ჩარლსტონის ტურნირზე მთავარი პრიზისთვის ბრძოლა. ირკვევა, რომ სერენამ უკვე მოირჩინა მიკროტრავმა და შეუძლია ბელგიელების წინააღმდეგ გავიდეს კორტზე. სხვათა შორის, უმცროს უილიამსს 2003 წლის შემდეგ არ უთამაშია ფედერაციის თასზე.

ბელგიელების წინააღმდეგ სერენას და - ვენუსიც გამოვა. რაც შეეხება ამერიკელთა მოწინააღმდეგეს, მის რიგებში არ იქნებიან მსოფლიოს პირველი და მეოთხე ჩოგნები - **ჟუსტინ ანენი** და **კიმ კლაისტერსი**.

## ჩინეთი წესების არცოდნამ დაასუსტა

კურიოზული ფაქტი შეემთხვათ ფედერაციის თასზე მოასპარეზე ჩინეთის ნაკრების მწვრთნელებს. ეს გუნდი მეოთხედფინალში იტალიას ხვდება. აზიელთა რიგებში ვერ ვიხილავთ ჩინეთის ორ საუკეთესო ჩოგბურთელს - **ნა ლისა** და **ჟიენ ჟაეს**. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს სხვა მოთამაშეებისთვის მიეცათ შანსი, რათა მათ საგაისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება მოეპოვებინათ.

მაგრამ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ITF) განმარტეს: წესებში არ არის მითითებული, რომ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსასვლელად, აუცილებლად საჭიროა ფედერაციის თასზე თამაში - ამისთვის ნაკრების წევრობაც საკმარისია. ასე რომ, ჩინელებმა არასწორად გაიგეს ITF-ის წესები და მეოთხედფინალის წინ საკუთარი გუნდი დაასუსტეს.

## როლან გაროსი: ყველა კლაისტერსის გარდა

საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორები იუწყებიან, რომ ამ სეზონში "დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირზე მონაწილეობას მიიღებს, ამ ეტაპზე ATP-ის კლასიფიკაციის ასივე საუკეთესო ჩოგბურთელი. ხოლო ქალთა ტურის 108 საუკეთესო მოთამაშიდან, 106 აპირებს "როლან გაროსის" კორტებზე გასვლას.

ამ სიაში მხოლოდ ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** და ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი** არ არიან. პირველი პირადი მიზეზების გამო ამბობს უარს საფრანგეთში ჩასვლაზე, დავენპორტმა კი, კარიერა დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ "როლან გაროსი" სტარტს 27 მაისს აიღებს.

კალათბურთი

## ბატლერი მეორე რაუნდში დაბრუნდება

"ვაშინგტონ უიზარდსს" ფლეი ოფის სტარტზე დაუბრუნდება გამთამაშებელი **ანტონიო დენიელსი**. ამ კალათბურთელს ჯერაც აწუხებს ზურგის ტრავმა.

დედაქალაქური კლუბის კიდევ ერთი ტრავმირებული მოთამაშე, ფორვარდი **კერონ ბატლერი** აცხადებს, რომ თუ მისი გუნდი ფლეი ოფის მეორე რაუნდში გავა, მაშინ მას ამ სეზონში თამაშის შანსი კიდევ მიეცემა. მოტეხილი ხელის აღდგენითი პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს და ბატლერს მოედანზე დაბრუნების იმედი აქვს.

## სუპერსონიქსი ქალაქს იცვლის?

მომავალი სეზონის შემდეგ, სიეტლი შესაძლოა საკალათბურთო გუნდის გარეშე დარჩეს. "სუპერსონიქსის" მფლობელმა **კლეი ბენეტმა** განაცხადა, რომ გუნდის სიეტლში დარჩენის შანსები ნელ-ნელა იკლებს.

ვაშინგტონის შტატის მთავრობამ არ გამოუყო კლუბს დამატებითი თანხები ახალი სტადიონის ასაშენებლად, რომელიც 500 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ამიტომაც, დღის წესრიგში დგას "სონიქსის" სხვა ქალაქში გადაბარგების საკითხი.

ჰოკეი

## მატეშიცს ჰოკეის კლუბიც მოუნდა

კონცერნ "რედ ბულის" დამაარსებელი, ავსტრიელი ბიზნესმენი **დიტრიხ მატეშიცი** NHL-ის კლუბ "მონრეალ კანადიენსის" შეძენით არის დაინტერესებული. ამ ინფორმაციას კანადური პრესა ავრცელებს. ცოტა ხნის წინათ, მატეშიცმა მოლაპარაკებები გამართა "მონრეალის" ამჟამინდელ მფლობელ **ჯორჯ ჟილესთან**.

ავსტრიელი სპორტის სამყაროში მიღებული პიროვნებაა. კერძოდ, მის მფლობელობაშია საფეხბურთო კლუბები - "ზალცბურგი" და "ნიუ იორკ რედ ბულზი", აგრეთვე ფორმულა 1-ის ორი საჯინიბო - "რედ ბული" და "ტორო როსო".



1990 წელი. ამ დროს თბილისის დინამოს მართლა იბერია ერქვა. სულ ორი სეზონი...

# დი-ნა-მო თუ ი-ბე-რი-ა?

## PR კამპანია ბრეჟნევის ხანაში

თავიდანვე უნდა ვაღიარო: "ლელოს" რედაქციაში რომ მიმიღეს, სპორტისა ინჩი-ბინჩი არ გამეგებოდა. ფეხბურთზე სიარულით თავს არ ვიკლავდი, მძლეოსნობა არ მიყვარდა და, მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილობისას ჯერ ტანვარჯიშზე დავდიოდი, მერე კალათბურთზე, ბოლოს კი - რაგბზე, არც ერთ მათგანზე არ ვგიჟდებოდი. დედის მხრიდან, ძველი მოჭიდავის, დათა ხიზამბარელის შთამომავალი გახლავართ და ჭიდაობა ყველას მერჩივნა, განსაკუთრებით, ქართული ჭიდაობა. ამიტომ, როცა გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა, ანზორ ბასილაიამ მკითხა, რომელ სახეობას გააშუქებო, უყოყმანოდ ვუპასუხე, ჭიდაობას-მეთქი.

იმ დროს "ლელოში" თაობათა ცვლა ინყებოდა - ბიჭიკო ქორქია უკვე აღარ წერდა ფეხბურთის რეპორტაჟებს, ნოდარ გუგუშვილი კი კალათბურთისას, ეს ორივე სახეობა ირაკლი ბერიაშვილს ებარა და მშვენივრადაც ართმევდა თავს.

სამსახურში ფეხით დავდიოდი, რედაქციაში რომ მივსულიყავი, მთელი რუსთაველის პროსპექტი უნდა გამევლო. ფეხით დადიოდა ცნობილი ქართველი პოეტი და ფეხბურთის არანაკლებ ცნობილი გულშემატკივარი ტარიელ ჭანტურიაც, იგი მაშინ "ცისკარში" მუშაობდა და ერთმანეთს, დაახლოებით, "ლაღიძის წყლების" მიდამოებში ვხვდებოდით.

შევხვდით ერთ დილითაც. ბატონი ტარიელი კარგ გუნებაზეა - ილიმება, თვალები უციმციმებს.

- აუ, ბიჭო, რა თამაშია ამ საღამოს!

- რა თამაში?!

- როგორ, კაცო, ჩვენები კიევის "დინამოს" ხვდებიან!

- მართლა?

- რა იყო, პირველად გესმის?!

- ხო, რა ვიცი...

- აუ, შენ შეგარცხვინა ღმერთმა, "ლელოში" მაინც არ მუშაობდე!

გაბრუნდა და გაბრაზებული დაეშვა ქვემოთ.

რედაქციაში რომ მივედი, მითხრეს, მთავარი რედაქტორი გიბარებსო. შევედი. ბასილაია შეწუხებული სახით მიყურებს:

- რა ვქნათ, კაცო?

- რა არი.

- ირაკლი ბერიაშვილმა კაუნასიდან დარეკა, ვერ ჩამოვდივარ, ფეხბურთის რეპორტაჟი სხვას დააწერინეთო.

- მერე, დააწერინე.

- ვისა?

- აგე - ბიჭიკო ქორქია!

- უარზეა, არ დავწეროო...

- მა, რა უნდა ქნა.

- შენ უნდა დაწერო.

- მე რა ვიცი, კაცო, ფეხბურთისა!

- რა უნდა, ბიჭო, მაგას - ჯერ გუნდების შემადგენლობას ჩამოაწიკწიკებ, მერე იმას - ვინ რომელ წუთზე გაიტანა გოლი და ვსიო!

მაშინვე ტარიელ ჭანტურიას დამცინავი სახე დამიდგა თვალწინ.

- მოიცა რა, ანზორ, აბა, რას ამბობ!

ბასილაიამ კოპები შეიკრა:

- არა, ეგ საქმე გადაწყვეტილია, ნახვალ და დაწერ!

მთავარი რედაქტორის ბრძანება კანონია, ბიჭი ხარ და უარი უთხარი!

გარეთ რომ გამოვდიოდი, მომაძახა:

- "პადშივკა" აილე და ირაკლის რეპორტაჟებს გადახედე!

მეორე დილით, "ლაღიძესთან" ტარიელი მხვდება, ხელში "ლელოს" ახალი ნომერი უჭირავს, რომლის პირველ გვერდზეც ჩემი "რეპორტაჟია" დაბეჭდილი.

- ბიჭო, აბა ერთი მითხარი, ნამუსი გაქვს შენა? - მთელი ქუჩის გასაგონად გაჰკივის და გაზეთს ცხვირწინ მიფრიალებს, - გუშინ ისიც კი არ იცოდი, თამაში რო იყო, არა გრცხვენია? აღარა ვყიდულობ "ლელოს", მორჩა!

ასე დაკარგა ჩვენმა გაზეთმა თავისი ერთგული მკითხველი.

ერთხელ, გადავწყვიტეთ, თბილისის "დინამოსთვის" სახელი შეგვეცვალა და "იბერია" დაგვერქმია. აღარ მაგონდება, პირველად რომელ ჩვენგანს მოუვიდა თავში ეს "ნათელი" აზრი - ირაკლის თუ მე, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, ამ ავანტიურულმა წამოწყებამ როგორ აანთო და ააბურბურა რედაქციის თითქმის ყველა ახალგაზრდა ჟურნალისტი.

არადა, გაქანებული ბრეჟნევობაა!

რაკი ვიცოდით, რომ "ბებერი ლომები", პირველ რიგში კი ოთარ გელაშვილი და ბიჭიკო ქორქია ამ საქმეში სასტიკ წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ, მთავარ რედაქტორთან საიდუმლო მოლაპარაკება გავმართეთ და ჩვენი გადაწყვეტილების მაღალ ეროვნულ-პატრიოტულ მნიშვნელობაში იოლად დავარწმუნეთ.

ანზორ ბასილაიამ თანხმობა განგვიცხადა და ჩვენც განსაკუთრებული ენთუზიაზმით შევუდექით მუშაობას: ვურეკავდით ისეთ ცნობილ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ: ნიკო კეცხოველი, ბორის პაიჭაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები, ვაცნობდით ჩვენს გეგმას და ვთხოვდით, ნება დაერთოთ, გაზეთში მათი სახელებით მიგვეცა პატარა, სულ რამდენიმე სტრიქონიანი წერილები, რომლებიც "დინამოს" სახელის შეცვლას მხარს დაუჭერდნენ.

"პიარ-კამპანიამ" წარმატებით ჩაიარა, ჩვენ და ჩვენმა თანამზრახველებმა - ელგუჯა ბერიშვილმა, დავით ჭელიძემ და ავთანდილ გურასაშვილმა ცნობილი ადამიანების სახელით იმდენი წერილი დავწერეთ, რომ "ლელოს" გაშლილი გვერდით მთლიანად შეავსო.

მალე ნომერიც გამოვიდა. ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების "აზრით", სახელწოდება "დინამო" სრულიად უცხო და შეუფერებელი იყო ჩვენი საყვარელი გუნდისთვის და ის "იბერიით" უნდა შეცვლილიყო. ერთ წერილში ისიც კი ეწერა, იმ მამაცხონებულებს ბარემ "კარბურატორი" ან "კარდანნი ვალი" დაერქმიათო.

იმ დღეს არაფერი, მაგრამ მეორე დღეს ჩვენი რედაქტორი ცეკაში დაიბარეს. მოვიდა იქიდან გამწვანებული, კრიჭაშეკრული, შევიდა კაბინეტში და ცოტა ხნის შემდეგ მე და ირაკლი გამოგვიძახა.

შევედით ჩვენც, დავსხედით. ვუყურებთ - აღარ არი კაცი, ისიც კი არ იცის, რა გვითხრას, როგორ გვისაყვედუროს. ზის გაფითრებული, ტუჩებგათეთრებული. ძალიან შეგვეცოდა.

კარგა ხნის მერელა ამოღერდა: ეგ რა მიყავით, თქვენ ოხრებო, თქვენაო!

თავის მართლებას ხომ არ დავიწყებდით. ვსხედვართ თავჩაღუნულები, გამტკნარებულები.

ბოლოს ირაკლიმ გაბედა და ჰკითხა: რაო, რა გითხრესო.

რალა რა მითხრეს, ერთი ეგ იყო დედა არ მაგინეს, თორემ დანარჩენი ყველაფერი მაკადრესო.

მაინც, მაინცო? - ჩაეძია ირაკლი.

ასე მითხრეს: დავუშვათ, დაგიჯერეთ და შევუცვალეთ სახელი, მთელი სტადიონი რო აგუგუნდება - "ი-ბე-რი-ა! "ი-ბე-რი-ა! " ეგ ხო ბერია გამოვა და რა გინდათ, 80 000 კაცს ხალხის მტრის სახელი უნდა აძახებინოთო?

გადავხედეთ ერთმანეთს და წაგვსკდა სიცილი. ვხარხარებთ, მუცლები ხელით გვიჭირავს.

რედაქტორმა ერთხანს გაკვირვებული სახით გვიყურა, მერე თავი გადააქნია, გაიღიმა და ბოლოს ხარხარშიც აგვყვა.

რა გვაცინებდა, ბიჭიკო ქორქიას თქმისა არ იყოს, ორი აგური უნდა გვჭეროდა ხელში, მაგრამ, ახალგაზრდები ვიყავით და არც ანზორი იყო დიდად მორჭმული.

რალას ვიზამდით, ჩვენი გაფუჭებული საქმე ჩვენვე უნდა გამოგვესწორებინა, თორემ, ისევ ბიჭიკოს ფრთიან გამონათქვამს მოვიშველიებ, ციმბირს აქეთ დაგვატოვებინებდნენ.

წამოვიწყეთ ახალი "პიარ-კამპანია": ახლა საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს დავუკავშირდით, მაგალითად, ირაკლი აბაშიძეს, გივი კარტოზიას, სესილია თაყაიშვილს და ვთხოვეთ, მათი სახელით გაზეთში წერილების გამოქვეყნების ნება დაერთოთ.

კიდევ კარგი, "ლელო" მაშინ ყველას უყვარდა და უარი არავის უთქვამს.

საქმე გავინაწილეთ და წერილების წერას შევუდექით.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სულ მალე გამოვიდა გაზეთის ახალი ნომერი, რომლის გაშლილი გვერდი მთლიანად სახელმწოდება "დინამოს" მხარდასაჭერი წერილებით იყო გაძეძგილი.

იმავე დღეს ჩვენი რედაქტორი ცეკაში დაიბარეს. არ ვიცი, რა უთხრეს, მაგრამ იქიდან ძალიან გახარებული მოვიდა, სულ მალე კი საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, დავით პერტენავამ ანზორ ბასილაია ქების სიგელით დააჯილდოვა.

ასე რომ, ძალიან კი მოაქვთ თავი დღევანდელ ჟურნალისტებს, მაგრამ თავის დროზე არც ჩვენ ვიყავით ნაკლები "პიარშიკები".

**ნუგზარ შატაიძე**


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა